გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

www.ilori.ge

№127 (188) 19-26 ივლისი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი



# ღამე, რომელმაც საბოლოოდ ამაღებინა ხელი სამშობლოში დაბრუნებაზე!

ამას წინათ „ილორის“ რედაქციაში წერილი მივიღეთ გერმანიაში მცხოვრები ჩვენი ავტორისაგან:

„მე, ადრეც ხშირად ვწერდი „საზოგადოებრივ მორალსა და პასუხისმგებლობაზე“, მაგრამ აშკარად ვხედავდი, ნაკლებად თუ ფიქრობდა ვინმე ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე, რომელიც მეხივითა გვაქვს თავზე დატეხილი და ვერა ვგრძნობთ!

ყველაფერი უკითხავთ ჩემთვის მკითხველებს ახალი სტატიის დაბეჭდვის შემდეგ – ამაში რას გულისხმობ, აქ ვინ გყავს მხედველობაში და უამრავი კიდევ სხვა, მაგრამ არავის უკითხავს რას გულისხმობ „საზოგადოებრივ მორალსა და პასუხისმგებლობაშიო!“

იძულებული ვარ ეს კითხვაც მე დავსვა და პასუხიც თავადვე გავცე.

ჩემო ძვირფასო დებო და ძმებო, თანამემამულენო, „საზოგადოებრივი მორალი და პასუხისმგებლობა“ გახლავთ ის, რომელიც, თქვენდა სამწუხაროდ, თქვენ არ გაგაჩნიათ!

ვიდრე ამიმხედრდებოდეთ, უმორჩილესად გთხოვთ ეს წერილი ბოლომდე წაიკითხოთ და, მერე, თუ მაინც მე მიმიჩნევთ დამნაშავედ, გპირდებით, ჩემი ხელით შევკრავ მარყუჟს, გავუყოფ თავს და თავად აღვასრულებ თქვენს განაჩენს, რაოდენ მძიმეც არ უნდა იყოს იგი!

დავიწყოთ იმით, რომ ქართულ საზოგადოებას (და არა საქართველოს დანარჩენ არაქართულ მოსახლეობას. მათ არაფერს ვთხოვ, რადგან დიდი ხანია, ისინი, არაქართველები, მხოლოდ სიკეთეს ინაწილებდნენ ქართველებთან თანაბრად, ქვეყნის გასაჭირი კი მათ არ ეხებათ!) დღემდე არავისთვის მოუთხოვია პასუხი 1991 წლის ბოლოს და 1992 წლის დასაწყისში, საქართველოს ეროვნული მთავრობის დამხობისა და სახელმწიფოს მართვის სადავეების ყაჩაღებისა და უცხოეთის საიდუმლო სამსახურების აგენტების ხელში გადაცემისათვის.

ეს კითხვა მე ადრეც დამისვამს კონკრეტული პირების თუ აუდიტორიათა წინაშე, მაგრამ, მათგან, გარდა – „მაშინ ძალაუფლება მათ ხელში იყო და ჩვენ ვერაფერს გავხდებოდითო!“ არაფერი მსმენია.

მაშინ სხვა კითხვას დავსვამ – მოგვიანებით, როცა იმ ყაჩაღებს, სხვა ყაჩაღებმა სამსახურები და ძალაუფლებაც ჩამოართვეს, მერე მაინც ხომ არ იყვნენ ისინი თქვენთვის საშიში, ისინიც ხომ თქვენსავით დაუცველი, საზოგადოების ჩვეულებრივი წევრები გახდნენ? რატომ არ მოთხოვეთ პასუხი ჩადენილი ცოდვებისა და დანაშაულებათა გამო?

ჩემო ძვირფასებო – კარგა ხანს გელოდნენ ისინი შიშით და მოთმინებით, მაგრამ თქვენი უსასრულო დუმილის გამო, როცა იგრძნეს თქვენი უსუსურობა, მათ ეყოთ გამბედაობა (და არა სინდისი, რომელიც დაბადებიდან არ დაჰყოლიათ!), ხელახლა მიბრუნებოდნენ ე.წ. პოლიტიკოსობას და ხელახლა შესდგომოდნენ ქვეყნის დაქცევისა და ძარცვისკენ მიმავალ გზას, დღევანდელ საქართველოში „ხელისუფლებაში მოსვლას რომ ეძახიან!“

ჩემო თანამემამულენო, ჩემო ძვირფასო ქართველებო – ყველაფერი თქვენი დუმილის და მონური დამოკიდებულების ბრალია, სანამ ისინი ქვეყანას აქცევდნენ, იმიტომ გეშინოდათ, რომ „მათ ძალაუფლება ჰქონდათ“ ახლა კი, როცა ძალაუფლება არა აქვთ, მათი იმიტომ გეშინიათ, რომ – მათ უზარმაზარი ქონება და ფული აქვთ დაგროვილი, რომელიც წესით და რიგით თქვენ უნდა გრგებოდათ წილად, პატიოსანი შრომისთვის!

ვინმე არ შეცდეს და არ იფიქროს, თითქოს მე მხოლოდ ხელისუფლებიდან წასულებზე ვსაუბრობდე! არავითარ შემთხვევაში, გუშინდელი თქვენი უნიფხვო მეზობლები გაიხსენეთ – „რწყილებს ჩაქუჩით რომ დასდევდნენ“, მიშას გუნდში მოხვედრის შემდეგ „აღმა აშენდნენ“, და, ახლა, თქვენ ყავხართ ფეხქვეშ ამოდებული და „დაჩაქუჩებული!“

ესეც ფიქრის საგანია თქვენთვის ჩემო სისხლო და ხორცო, რადგან მათ საქციელზეც თქვენ მოგეთხოვებათ პასუხი, რაც „საზოგადოებრივი მორალისა და პასუხისმგებლობის“ შემადგენელი ნაწილია!

თქვენი დუმილისა და მონური ხასიათის გაცხადების შემდეგ აიშვეს, სააკაშვილის დროშის ქვეშ „საკუთარი სამშობლოს დაქცევის, ამერიკული სკოლის, წარჩინებულმა კურსდამთავრებულებმა“.

ხელმეორედ იხუვლეს (ზოგმა მათგანმა მესამედ და მეოთხედაც!) ხელისუფლებისკენ მიმავალი გზისკენ, შევარდნაძის ხელისუფლებაში გამოწრთობილმა ქვეყნის დამაქცევრებმა, მიშას გუნდიდან გაგდებულმა სახელმწიფო ჩინოვნიკებმა და როგორც ყოველთვის, ეგრეთ წოდებულმა „პოლიტიკურმა პარტიებმა“, რომლებიც ყველა მთავრობის ნასუფრალით იკვებებიან!

„საზოგადოებრივი მორალისა და პასუხისმგებლობის“ უქონელ ხალხს მოგიწყვეს კიდეც „ნაციონალური ბათლომეს ღამე“, მეორე დილას კი ზეიმი გაგიმართათ თქვენმა ხელმწიფემ, ღამით დახოცილთა ცხედრებზე, რომელთა რაოდენობა დღემდე არ არის დადგენილი!

მსგავსი რამ 1989 წლის 9 აპრილს არ უკადრებიათ საბჭოთა იმპერიის კაციჭამიებს, რომელთაც, კაცმა რომ თქვას, არც მორალური და არც ზნეობრივი პასუხისმგებლობა გააჩნდათ მომხდარის მიმართ, რადგან ისინი გადამთიელები იყვნენ. უბრძანეს და უცხო ტომს ხოცავდნენ!

ვინ იყვნენ „ნაციონალური ბათლომეს ღამის“ მბრძანებლები და აღმსრულებლები?

რა თქმა უნდა, – თქვენი შვილები და შვილიშვილები, ნათესავები, მეგობრები, მეზობლები, ნაცნობები და უცნობები, გადაჯიშებული ქართველები!..

რა დროც არ უნდა დადგეს, არცერთი თქვენგანი პასუხს არავის მოთხოვთ მომხდარის გამო და რაც მთავარია, ყოველივე ამის შემდეგ, ევროპას და მის წარჩინებულ საზოგადოებას თხოვთ, გვიშველეთ – რუსებმა ტერიტორიები დაგვიბრუნონო!

„საზოგადოებრივი მორალისა და პასუხისმგებლობის“ უქონელ ხალხს გიბედავთ, გუშინდელი პუტჩისტი, „საპროტესტო აქციაზე“ მოსული ლევან ღვინჯილია, რომ სიამაყით განაცხადოს – 20 წლის წინ ამ კიბეებზე ვშიმშილობდი და საწადელსაც მივაღწიეო!

საწადელი კი – დანგრეული, გაუპატიურებული, ამორალური საქართველო და მისი საზოგადოებაა, რომლისთვისაც ისინი იბრძოდნენ!

სათქმელი ყველას მისამართით უნდა ითქვას, ყველას შესახებ უნდა იცოდნენ თაობებმა, თორემ 20 წლის წინანდელ ქვეყნის დამაქცევრებს, საქმე ისე მიჰყავთ, თითქოს ისინი იყვნენ სამშობლოსთვის თავდადებული, წამებული და უერთგულესი შვილები!

სადღაც წავიკითხე, ერთ-ერთი “ზვიადმოძულე” დიდი კონსტანტინეს სიტყვებს იშველიებდა: „...რატომ ვერ ვგუობთ კარგს ჩვენს გვერდით? დიდი კონსტანტინეს სიტყვები მახსენდება: „ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს, მუდამ ჩვენს სიმცირეს მივტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდი კაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“.

ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ, 20 წლის წინ დაბადებულ თაობას ზემოდხსენებული არაკაცები მართლაც სამაგალითოდ წარმოუდგება და მათ არავინ მიუთითებს, ჰკითხონ:

– რატომ ვერ იგუეს მათ საქართველოზე თავგადადებული ზვიად გამსახურდია და მისი ხელისუფლება?

– რატომ მისტირიან დღესაც აფხაზეთის და სრულიად საქართველოს გამყიდველ შევარდნაძეს?

– მიშა სააკაშვილს რომ გვერდით დაეყენებინა ისინი, ჩაუდგებოდნენ მას ოპოზიციაში?

ჰკითხეთ რეზო მიშველაძეს:

– როგორ გახდა, ჯერ კიდევ გუშინ, მის მიერ ნალანძღი მიშა სააკაშვილი, სამაგალითო პრეზიდენტი?

აქ არ ვაპირებ ვისაუბრო ე.წ. პოლიტიკურ პარტიებზე, მათზე ზემოთ უკვე ვთქვი.

და ბოლოს, რატომ არ კითხულობთ – ვინ დაგხოცათ, ვინ დაგვინგრიათ 25 მაისის ღამეს ცხვირპირი?

– რატომ არ ამბობთ, რომ რუსების მოწყობილია იგი? რატომ არ ამბობთ, რომ რუსეთის კაცია მიშა სააკაშვილი?

თუ ეს არ გჯერათ, მაშინ – 25 მაისის ღამე (ისევე როგორც 2008 წლის აგვისტოს 3 დღიანი ომი!) ამერიკელების მოწყობილი ყოფილა, რომელიც საქართველოს „დამოუკიდებლობის“ დღესასწაულს მიუძღვნეს!

ყველაფერ ამას აკადრებენ ხალხს, რომელსაც „საზოგადოებრივი მორალი და პასუხისმგებლობა“ არ გააჩნია – მათმა კარგად იციან, რაც არ უნდა გიქნან, თქვენ ხომ არავის მოთხოვთ პასუხს!

და ბოლოს – რომელ დამოუკიდებლობას ზეიმობს 26 მაისს ქვეყანა, რომლის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, საკუთარ დედა-ენაზე მოსწავლე, წარჩინებულ სტუდენტს დიპლომს არ მისცემს, თუ კი იგი ინგლისურ ენას არ ისწავლის და გამოცდას არ ჩააბარებს?..

აღარ გავაგრძელებ – ჩვენ, დიდი ხნის წინ, სამშობლოდან გაძევებულ ქართველობას, იმ ერთმა ღამემ და თქვენმა უსუგულო დამოკიდებულებამ მომხდარისადმი, საბოლოოდ გადაგვიწურა სამშობლოში დაბრუნების იმედი!

დავით შოთაძე,

კობლენცი, გერმანია

**P.S.** რედაქციას ვთხოვ, გაიმეოროს გასული წლის 26 იანვრის 51-ე ნომერში გამოქვეყნებული ჩემი წერილი „მე სხვისი საბნის ქვეშ არ ვიხედები“.

**გაზეთ „ილორის“ კომენტარი** – ვასრულებთ ჩვენი ავტორის თხოვნას. წერილში პრაქტიკულად არაფერი შეგვიცვლია, რადგან დრო გადის, მასში მითითებული პრობლემები კი უცვლელია.

## მე სხვისი საბნის ქვეშ არ ვიხედები

*ეს წერილი დიდი ხანია მივიღეთ და მისი გამოქვეყნება რამდენჯერმე გადაიდო. მიუხედავად ამისა, მას აქტუალობა არ დაუკარგავს, რადგან, ქვეყანაში პრობლემები არ ძველდება! ხშირად კი ისინი სახეშეცვლილი და შეფერადებული გვიბრუნდება. ამიტომაც, მიგვაჩნია, რომ უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის თვალით დანახული საქართველო და მისი პრობლემები საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისათვის.*

...ნეტავ, როდის ვიყავით მართლები – ამ ათიოდე წლის წინ, როცა საქციელდაწუნებულ, ცირკის მიდამოებში სამეძავოდ გამოსულ გოგონებს ქრთამის ფასად რომ იყოლიებდნენ სასაუბროდ **„რუსთავი-2“** და მისნაირი ქართული ყვითელი პრესა, რაც მაშინ სენსაციად მიიჩნეოდა!.. (და ჩვენც მზად ვიყავით მათთვის ქვები დაგვეშინა!) თუ, დღეს, როცა – იმავე **„რუსთავი 2“**-ს ხუთი ქართველი ქალბატონი გამოჰყავს ეკრანზე (იმ ხუთეულიდან, ჩემთვის მხოლოდ ერთია ნაცნობი – ჩემი აზრით, ძალად სკანდალური ჟურნალისტი, რომელიც დღეს თბილისის საკრებულოს წევრია), რომლებიც ერთმანეთს იმაში ეჯიბრებიან, ვის უფრო მეტი ქმარი ჰყოლია!.. და ყოველივე ამას, ტელეეკრანს თვალმიციცინებული ვუყურებთ და თითებზე ვითვლით, რომელი აჯობებს ამ ხუთეულიდან ქმრების რაოდენობაშიო?!.

იქნებ ღირდეს ამ საკითხზე და სხვა რამდენიმე, უფრო მტკივნეულზე დაფიქრება, ხორცზე მეტად სულს რომ ამძიმებს?!.

ადრეც მითქვამს და ვიმეორებ – ქვეყანას და მის მაცხოვრებელ ხალხს, რომელსაც **საზოგადოებრივი მორალი და პასუხისმგებლობა** არ გააჩნია, მის გარშემო მიმდინარე მოვლენებზე, მომავალი არა აქვს!

...კიდევ ერთი, ძალზედ **„მნიშვნელოვანი“** პოლიტიკური და სულიერი ტრაგედიით დაასრულა 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულის ბოლოსწინა წელიწადი საქართველოს გამყიდველმა პრეზიდენტმა და მისმა მთავრობამ!..

**– ქუთაისში, ბერძენიშვილის ქმნილებას, რომელიც ევროპის (ბოდიშს ვუხდი მკითხველს, მე ამ კონტინენტს ვიცნობ საფუძვლიანად და ამიტომ ვზღუდავ მის მნიშვნელობას!) ნებისმიერ ქვეყანას დაამშვენებდა და საამაყოდ ეყოფოდა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით, „ნიკოლოზობა“ დღეს, როცა ქართველი მართლმადიდებელი მრევლი ეკლესია-მონასტრებში ლოცვას აღავლენდა, მიწასთან გასწორდა და თან გაიყოლა უდანაშაულო დედა-შვილის სიცოცხლე!..**

ტრაგედია ვის არ დასტეხია თავს და უბედურებით ამ ქვეყანას ვინ გააკვირვებს, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, მაგრამ გლოვის მაგიერ, ტრაგედიის მეორე დღეს, ტელეარხ **„რუსთავი 2“**-ის და **“იმედის”** ეკრანზე გამოყვანილი ქუთაისელი ქალბატონების თავგადაკლული შემართება დაეცვათ, დამნაშავე საქართველოს პრეზიდენტი და მისი მთავრობა მომხდარის პასუხისმგებლობისგან, სხვა არაფერია, თუ არა – **საზოგადოებრივი მორალის და პასუხისმგებლობის არქონა!..**

აბა როგორ უნდა ავხსნათ, რომ თითქმის არავის უხსენებია მომხდარი ტრაგედიის შემსწრეთაგან – **ვის და რატომ დასჭირდა ქალაქ ქუთაისის ერთ-ერთი დამამშვენებელი ნაგებობის მიწისაგან პირისა აღგვა?..**

გამოვუტყდეთ თავს და ხმამაღლა ვთქვათ, რომ – **აქ მხოლოდ, მხდალ-ნაძირალური სინდრომი მოქმედებს – „თუ ეს ზემოდან მოდის, დასაშვებია!..“** სამწუხაროდ იგი ყველასათვის ერთია, არა აქვს მნიშვნელობა იგი თბილისელი იქნება, ქუთაისელი, ზუგდიდელი, თელაველი თუ, ზოგადად, ნებისმიერი ქართული კუთხიდან – **ყველა ერთნაირად ნამუსახდილია საზოგადოებრივი მორალის და პასუხისმგებლობის წინაშე!..**

ქართველებო! – **თუ ეს მიმართვა თქვენთვის რამეს ნიშნავს, დავფიქრდეთ, ვის უსმენთ და ვის მიჰყვებით?!.** ქართველებო! – **დაფიქრდით, რომ თქვენი სიგლახე, თქვენი ორღობის მიღმა არ მთავრდება და იგი გაცილებით შორს ვრცელდება!.. თქვენ რომ არასოდეს გსმენიათ, ისე შორს!..**

ქუთათურებო – თქვენი გაყუჩება და მოლოდინი **„დავიცადოთ, ვნახოთ, რას იტყვის მთავრობა“** და მერე ავტეხოთ **„ვაი-ვიში და წყევლა-კრულვა“** მომხდარის და მისი ამფეთქებლის მისამართით, სხვა არაფერია, თუ არა – **ამორალური საზოგადოების რეალური სახის გამოჩენა!..**

ისე არ გამიგოთ, მარტო ქუთაისელებს ვსაყვედურობდე და ისინი იყვნენ გამონაკლისები – არა აქვს მნიშვნელობა თბილისელიც, ბათუმელიც, ზუგდიდელიც, სოხუმელიც და ცხინვალელიც ისევე მოიმოქმედებდა, როგორც ქუთაისელები მოიქცნენ – **რა ვიცი პრეზიდენტი და მთავრობა რას ფიქრობს, რაღა მე შევასკდეო!..**

*(გაგრძელება მე-9 გვერდზე)*

# სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ზუგდიდის ოფისიდან გვატყობინებენ

ოფისის გახსნის პირველივე დღიდან აქტიურად ვთანამშრომლობთ როგორც ადგილობრივ მოსახლეობასთან, ასევე დევნილებთანაც. მხარის საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები დაინტერესებული არიან ჩვენი მოძრაობის მიზნებითა და ამოცანებით. ვატარებთ ახსნა-განმარტებით საუბრებს და ვცდილობთ ამომწურავი პასუხი გავცეთ ყველა შეკითხვას, ვინაიდან, მიუხედავად დიდი დაინტერესებისა და სიმპატიებისა, მავანთ მაინც გააჩნიათ გარკვეული ეჭვები ჩვენი მოძრაობის მიმართ, რაც ძირითადად გამოიხატება შემდეგში:

**– ხომ არ მივდივართ სეპარატიზმისაკენ?**

**– ხომ არ ვმოქმედებთ სხვა ქვეყნის დაკვეთით?**

**– ეჭვქვეშ ხომ არ ვაყენებთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეას?**

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ზოგი მოქალაქე, ყოველივე ამით გულწრფელად არის დაინტერესებული, მაგრამ, სამწუხაროდ, არიან ისეთებიც, რომლებიც გამიზნულად და პროვოკაციულად მოქმედებენ. ამ ბოლო დროს აშკარად ვგრძნობთ, რომ ვიღაც-ვიღაცეები ლამობენ ჩვენს დისკრედიტირებას და აქ ნამდვილად შეიმჩნევა სპეცსამსახურების ხელწერა. მიუხედავად ამისა, საზოგადოების დიდი ნაწილის მორალური მხარდაჭერა ნამდვილად საგრძნობია და ამ მხრივ დიდად მადლიერი ვარ როგორც ადგილობრივი, ასევე დევნილი მოსახლეობისა. პრინციპში, უნდა ითქვას, რომ სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** ლიდერის ბატონ ალექსანდრე ჭაჭაიას პოლიტიკური რეიტინგი და პიროვნული ავტორიტეტი მოსახლეობის საღად მოაზროვნე ნაწილში ძალიან მაღალია, რომლის ძალისხმევითაც უნდა მოხდეს დიდი და სასიკეთო გარდატეხა ქართულ პოლიტიკაში, რომლის შემდეგაც უნდა დარეგულირდეს ქართულ-რუსული ურთიერთობა, ქვეყანა სწორი სტრატეგიით უნდა განვითარდეს და თანდათანობით შეუქცევადი გახდეს ტერიტორიული გამთლიანების პროცესი.

ვუბრუნდები ისევ სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** და აუცილებლად მინდა აღვნიშნო: გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო ამ ეტაპზე გაწევრიანებას არ ვაწარმოებთ, მაგრამ ეს საკითხი მალე მოგვარდება და ამის შემდეგ დროებითი საორგანიზაციო საბჭო უფრო აქტიურად და თამამად შესძლებს გაშალოს მუშაობა ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის მასშტაბით. მიუხედავად ამისა, მაინც მოვახერხეთ დასაყრდენი პიროვნებების მოძიება რამოდენიმე სოფელში და სამომავლოდ იქ ნაყოფიერი საქმიანობისათვის მყარი გარანტიების შექმნა. დროებითი საორგანიზაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შექმნილია მრჩეველთა და სახალხო დიპლომატიის ჯგუფები, რომლებშიც თამამშრომლობა ვთხოვეთ ჩვენი ადგილობრივი და დევნილი თანამემამულეების გონიერ და ავტორიტეტულ წარმომადგენლებს. დაგეგმილია და აუცილებლად გაიმართება თემატიური ღონისძიებები. უბრალოდ, ამას სჭირდება შესაბამისი დრო და სიტუაცია. აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საზოგადოებრივად აქტიური პიროვნებების დეფიციტიც აშკარად თვალშისაცემია, რაც თავის მხრივ პრობლემებს გვიქმნის. ჩემს მიერ ზემოდაღნიშნულ სიძნელეებსაც თუ გავითვალისწინებთ, რა თქმა უნდა, ყველაფერი არც თუ ისე იოლია, თუმცა გაზეთები **"ილორი"**, **"საქართველო და მსოფლიო"**, ჟურნალი **"ისტორიული მემკვიდრეობა"** და კრებული **"ჟამი ხსნისა"** სწორედ რომ ის საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც ვცდილობთ საზოგადოების აზროვნების სწორად ფორმირებას. სხვათა შორის, ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა ჩვენი არაკეთილმოსურნეებისათვის და უკვე მოდის ხმები, რომ ამ თვალსაზრისით ისინი ჩვენში მათთვის ყველაზე საშიშ და კონცეპტუალურად განსხვავებულ ოპონენტს ხედავენ. ალბათ არც ცდებიან, რადგან გზა, რომელიც ჩვენი მოძრაობის მიერაა არჩეული, პრინციპულად სწორია და მას მე, თანამოაზრეებთან და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას ხშირად ვუწოდებ **"ხალხოსნურ"** გზას. ანუ გზას, რომელიც აუცილებლად მიგვიყვანს საზოგადოების ცნობიერების, შეგნების გაჯანსაღებამდე და თვისობრივად ახალი, მძლავრი სახალხო მოძრაობის ჩამოყალიბებამდე, რაც საბოლოოდ უდავოდ გახდება წარმატებისა და მამულის ხსნის გარანტი.

**ზურაბ კვარაცხელია,**
**სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაციის დროებითი საორგანიზაციო საბჭოს თავმჯდომარე**

# ქვათა ღაღადი გრძელდება

გაზეთმა **"რეზონანსმა"** (№164, 24.06.2011) გამოაქვეყნა სომხური პერიოდული გამოცემის **"აიოც აშხარის"** გამოხმაურება საქართველოში გარეგინ მეორის ვიზიტის შესახებ. ვიზიტის შედეგით აშკარად უკმაყოფილო **"აიოც აშხარი"** აღშფოთებული წერს: **"სომხებმა საქართველოში პირველი ეკლესია ააშენეს, სომხებმა აღზარდეს თავისი პატარა ჩრდილოელი მეზობელი, რომელიც სერიოზულ ძალად X-XII საუკუნეში იქცა"... "ქართულმა ეკლესიამ უნდა აღიაროს ის ფაქტი, რომ საქართველოში ცივილიზაციის განვითარებაში უდიდესი როლი ეჩმიაძინმა ითამაშა..."** საქართველოს ეკლესიამ უნდა **"აღიაროს საკუთარი არასრულფასოვნების კომპლექსი"...**

**"დიდი"** სომხეთი პატარა საქართველოს რომ ჩაგრავს, გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგან თურმე სომხები იტალიელებისა და გერმანელების წინაპრები ყოფილან და როგორც საქართველოში, იქაც მათ დაუდეს სათავე ცივილიზაციას. თუ სომეხ ვაი-მეცნიერებს დავუჯერებთ, არმენები კიევის რუსეთის დამფუძნებლები ყოფილან და **"დიდი სომხეთი"** არარატიდან ქალაქ ვორონეჟამდე ყოფილა გადაჭიმული.

სომეხი ინტელექტუალების მანიაკალური ბოდვა ისეთივე ძველია, როგორც თვით სომეხი ხალხის ისტორია. ეპოქები იცვლება, მაგრამ მათ ტვინში ჩაბუდებული ბაცილა უკვდავია, ცვლილებას არ ექვემდებარება.

სომეხი ხალხის ინტელექტუალების უაზრო პრეტენზიები და მათი მოღალატური ბუნება უკვე ანტიკურ ხანაში იყო ცნობილი. აი, რას წერს რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი: **"სომხები არიან დასაბამიდან ორსახოვანი ხალხი, როგორც ხასიათით, ასევე გეოგრაფიული მდგომარეობით".**

შეიძლება მოვიტანოთ როგორც ძველი, ასევე ახალი დროის მოგზაურთა, ისტორიკოსთა, ორიენტალისტთა, ეთნოგრაფთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ისეთი დახასიათება, რომელთა გაცნობის შემდეგ ტაციტუსის სიტყვები სომხების მიმართ ქათინაურად მოგეჩვენება.

ფრანგი მოგზაური გრაფი დე შოლე წერს: **"მე ვერასოდეს მოვახერხე მათთან (სომხებთან – თ.კ.) დაახლოება, რადგან ვერ შევეგუე მათ ზიზღისმომგვრელ ცბიერებას, სულმდაბლობას და გულისამრევ სიმუხთლეს".**

წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი წერს: **"აღმოვაჩინე, რომ სომეხთა ნათესავი არა წრფელი, არამედ ფრიად მზაკვარი და ზღვის კლდეთა მსგავსია".**

რუსი სახელმწიფო მოღვაწე ალექსანდრე გრიბოედოვი იმპერატორ ნიკოლოზ პირველს ამგვარ ბარათს უგზავნის **"თქვენო აღმატებულებავ, არავითარ შემთხვევაში არ მისცეთ სომხებს ცენტრალური რუსეთის მიწებზე დასახლების უფლება. ეს ის ერია, რომელიც რამდენიმე ათეული წლების შემდეგ მიითვისებს და მთელ მსოფლიოს განუცხადებს, რომ ეს მათი უძველესი მიწაა".**

ახლა გრიბოედოვის სიტყვები. 2004 წელს რუსებმა კრასნოდარის მხარეში მცხოვრები სომხები დაარბიეს იმის გამო, რომ ჯერ ამ მიწაზე დასახლდნენ და შემდეგ სომხეთის ძირძველ მიწად გამოაცხადეს.

როგორ მინდა იცოდნენ ჩვენმა განაყარმა და ნაჩხუბარმა აფხაზმა ძმებმა, რომ სულ მალე ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის სომხები განაცხადებენ: აფხაზეთი დიდი სომხეთის ძირძველი მიწაა და ჩვენი ნებაა აქ ვინ იცხოვრებსო!

სომეხის ფსიქოლოგია, მის მიერ ჩადენილი საქმენი უკადრისი, ვფიქრობ, ყველაზე სრულყოფილად აქვს აღწერილი ვასილ ველიჩკოს თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში **"კავკასია".**

მინდა აღვნიშნო, რომ ბატონების როლანდ ჯალაღანიას, დავით ქობალიას, ნუგზარ გოგუას ავტორობით გამოიცა **"ბოროტსა სძლია კეთილმან..."** და **"ჭეშმარიტება და სომხური სიმართლე".** მათი დამსახურებაა კომუნისტი ხელისუფლების მიერ მიჩქმალული წიგნების თარგმნა და გამოცემა: ვ. ველიჩკო **"კავკასია",** პეტრე გელეიშვილი (ყარიბი) **"წითელი წიგნი"**, ივ. ჯავახიშვილი **"ქართველ ერის ისტორია"...**

ჩემს წერილში ამონარიდები მოტანილი მაქვს ამ ნაშრომებიდან გვერდების მიუთითებლად, რადგან ვთვლი, რომ ეს წიგნები ყველა ქართველის სამაგიდო წიგნებად უნდა იქცნენ, ხშირად უნდა ვკითხულობდეთ, რათა ქართული მიმტევებლური ბუნების გამო, არ დაგვავიწყდეს, თუ როგორ ებრძოდნენ და ებრძვიან საქართველოს სომეხი ვაი-მეცნიერები.

ვასილ ველიჩკო წერს: **"ისტორიულ-არქეოლოგიურად სომხები ქართველებს უსინდისოდ ძარცვავენ, იტაცებენ უძველეს მართლმადიდებლურ სამრეკლოებსა და დაცარიელებულ ეკლესიებს... სომხები თხზავენ ისტორიულ სისულელეებს და ძველ სომხურ სამფლობელოდ წარმოგვიდგენენ იმ სანახებს, სადაც ყოველი ქვა ქართული სამეფოს წარსულზე მიანიშნებს".**

ილია ჭავჭავაძის ქვათა ღაღადი გრძელდება და მას მონეტების ღაღადიც ემატება...

ფრანგმა სწავლულმა გრაფმა დე ბაიმ მოინახულა სომხეთი. სომხებმა მას წარუდგინეს **"წარმოუდგენლად"** ძველი ნივთები, რაღაც ფიალები, გვირგვინები, მოქარგული გადასაფარებლები... ეს მოხდა **„მსოფლიო ცივილიზაციის, კაცობრიობის სინდისისა და ნამუსის ცენტრში ეჩმიაძინში"...** გამოცდილი არქეოლოგი ბარონი დე ბაი უმალვე მიხვდა, რომ ეს ნივთები **"უუძველესი"** კი არა, გვიანდელი როკოკოს სტილს განეკუთვნებოდა. ბარონი ამ შემთხვევის შესახებ პრესაში ირონიულად წერდა, მაგრამ თავის მართლების და ბოდიშის მაგივრად, სომხურმა გაზეთებმა ბარონი უზრდელურად გალანძღეს.

სომეხი ვაი-მეცნიერები ჩვენ, გიჟ-ვრაცუებს, ხომ გვაბოლებენ და გვაბოლებენ, ისე გათავხედდნენ, რომ ევროპელ მეცნიერებსაც კი გაუბედეს მოტყუება.

როგორც იტყვიან, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ!

ჩეხურ ჟურნალში ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა მეცნიერ-ყალთაბანდ მკრტიჩიანის სტატია, სადაც იმას ამტკიცებს, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-19 საუკუნეში მოჭრილი მონეტები სომხურია. ექსპერტებმა ადვილად დაადგინეს წარწერებწაშლილი მონეტების ასაკი და სადაურობა. აღმოჩნდა, რომ ეს **"უძველესი სომხური"** მონეტები ხმარებაში იყო არა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2.000 წლის წინ, არამედ მოჭრილია ჩვენი წელთაღრიცხვის XII-XIII საუკუნეებში აზერბაიჯანის ათაბეკების მიერ...

მკითხველს ვთხოვ, ყურადღება მიაქციოს **"აიოც აშხარის"** გამოხმაურებას. ვიზიტის შედეგით უკმაყოფილო **"აიოცა"** ღვარძლს ანთხევს და საყვედურობს არა ხელისუფლებას, არამედ ქართულ ეკლესიას, მის მესვეურებს.

ჩნდება ეჭვი, რომ ხელისუფლება სომხებს დაპირდა ქართული ეკლესიების გადაცემას, მაგრამ საპატრიარქო მტკიცედ აღუდგა წინ სომხების თავხედურ მოთხოვნებს.

**"აიოცას"** ქართული ეკლესიის **"არასრულფასოვნების კომპლექსი"** აღმოუჩენია. უფლებას ვიტოვებ **"აიოცას"** სახარების სიტყვებით მივმართო:

**"რად უყურებ ბეწვს შენი ძმის თვალში, საკუთარ თვალში კი დირესაც არ ამჩნევ? თვალთმაქცო, ჯერ შენი თვალიდან დირე ამოიღე და მერე დაინახავ, როგორ ამოიღო ბეწვი შენი ძმის თვალიდან".**

სომხურმა ეკლესიამ ქრისტიანობის გარიჟრაჟზე უარჰყო დიოფიზიტობა და გახდა მონოფიზიტი, ანუ სომხური ეკლესია აღიარებს ქრისტეს როგორც ღმერთს და არ ცნობს მის ადამიანურ საწყისს, გადატანილ ტანჯვა-წამებას, ჯვარცმას.

სომხეთის კათალიკოსმა იოანე მეოთხემ (სომხების მიერ წმინდანად შერაცხულმა) ანათემას გადასცა ქალკედონიის კრება, წინ აღუდგა მსოფლიო კრების მიერ მიღებულ წმინდა დოგმებს... ეშმაკის ჩაჟინებით ამ დოგმების რაციონალისტური ჩხრეკვით და რევიზიით, ანუ მწვალებლობით ახალი ცრუმოძღვრება შექმნა. მართლმადიდებლური სამყარო გრიგორიანელობას ერესად მიიჩნევს. შეიძლება მწვალებლებმა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის არასრულფასოვნებაზე ილაპარაკონ?

სომეხმა ვაი-მეცნიერებმა კაცობრიობას თავი მოაბეზრეს იმის მტკიცებით, რომ ისინი ლამის წარღვნამდელი დროიდან ცხოვრობდნენ დღევანდელ მცირე აზიაში, კავკასიაში ვორონეჟამდე. სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე გადაჭიმული უზარმაზარი ტერიტორია სომხების საცხოვრისი ყოფილა.

გამოჩენილი ანთროპოლოგები შანტრი, ერკერტი, პანტიუხინი, ბერტინი კი სულ სხვა რამეს ამტკიცებენ. სომხები ბრაქიცეფალები (ბრტყელთავიანები) არიან. დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე, ზოგადად კავკასიაში არქეოლოგიური გათხრებისას არც ერთი ბრაქიცეფალი ნამარხი თავისქალა არ აღმოჩენილა.

სომხები სამხრეთიდან მოსული რასაა და როგორც ინგლისელი პროფესორი ბერტინი მიიჩნევს – პალესტინამდელი ებრაელების ტიპს განეკუთვნებიან.

კავკასიაში სომხების გადმოსახლების აზრს იზიარებდა პატრი მიხეილ თამარაშვილიც, რომლის ბურუსით მოცულ მკვლელობას იტალიაში, მეცნიერები ლენორმანი, როულინსონი, მიხაილ გუბოგლო, იური სეჩენოვი სომეხ ტერორისტებს მიაწერენ.

მცირე აზიის დიდ სივრცეზე, შუამდინარეთში, კაპადოკიაში, ურარტუს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ უძველესი ქართველური ტომები. ეს დასტურდება წერილობითი წყაროებით, არქეოლოგიური ნამარხებით, ლინგვისტების და ანთროპოლოგების დასკვნებით.

ამის შემდეგ თავს სასაცილოდ იგდებენ, ჰყვებიან ზღაპრებს სომხების მიერ ესპანეთიდან ქართველების გადმოსახლების შესახებ, სომხეთის ჩრდილოეთ პროვინციაში მათი დასახლებისა და დასაქმების (**"გრუზჩიკებად"**) შესახებ!

დავუშვათ და მეცნიერები ცდებიან. ძალიან ძნელია დაადგინო უძველესი დროის გარდასული ამბების ჭეშმარიტება, ძნელია დეტალურად ვიცოდეთ შოთა რუსთაველის ბიოგრაფია, შეიძლება ვიღაცამ დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის სომხობა დაიჯეროს... მაგრამ როცა სომეხი ინტელექტუალი მატიოდები გიჟის აღტკინებით აცხადებენ აკაკი წერეთელს სომხად და **"სულიკოს"** სომეხი ხალხის უკვდავ ქმნილებად, ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს, მათ შორის **"ჩაკრულოს"**, **"მრავალჟამიერს"**, **"ხორუმს"** სომეხი ხალხის სულიერ საგანძურად, მაშინ მეც გიჟი უნდა ვიყო და არ დავიჯერო ის, რასაც წერდნენ სომხების შესახებ ტაციტუსიდან დაწყებული ველიჩკოთი დამთავრებული.

შეიძლება ვიღაცამ არ დაიჯეროს ის, რომ მაშინ, როცა არზრუმთან რუსი და ქართველი ოფიცრები სომხეთის ინტერესების დასაცავად სისხლსა ღვრიდნენ, ამ დროს სომხეთის მხედრობა მშვიდობიან მოსახლეობას აწიოკებდა და მათ ქონებას ისაკუთრებდა.

შეიძლება ვიღაცამ არ დაუჯეროს იმ ოფიცრებს, რომლებიც აცხადებენ: **"არ სურთ შებღალონ რუსი ოფიცრის ღირსება იმ სომხურ არმიაში ყოფნით, რომელიც ებრძვის მშვიდობიან შეუიარაღებელ მოსახლეობას".**

მაგრამ აფხაზეთში ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის სომეხი მკვლელები ხომ ხოცავდნენ მშვიდობიან ქართულ მოსახლეობას და მათ ქონებას ისაკუთრებდნენ?

ეს მხეცობა ჩვენს თვალწინ ხდებოდა 1992-93 წლებში და არ საჭიროებს არც არქეოლოგიურ გათხრებს, არც არქივებში ძველი ქაღალდების ქექვას!

ამის შემდეგ მაქვს თუ არა უფლება დავუჯერო იმ ოფიცრებს, რომლებიც სომხებს ბრალს სდებენ ბრძოლის ველიდან გაქცევაში და მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტვასა და ძარცვაში.

მგონი კმარა. არ მინდა ვინმემ სომეხთმოძულედ მომნათლოს. მე მაწუხებს ნიჭიერი, შრომისმოყვარე, პატიოსანი სომეხი ხალხის ბედი შეშლილი ვაი-მეცნიერებისა და პოლიტიკანების ხელში. მათი გიჟური იდეა **"დიდი სომხეთის"** შესახებ, უპირველეს ყოვლისა ვნებს თვით სომხებსა და სომხურ სახელმწიფოებრიობას, სომეხ ერს მეზობელ ერებთან საბედისწეროდ აპირისპირებს!

ყველას უნდა გვახსოვდეს ღმერთის სიტყვა: **"არ ინდომო შენი თვისტომის სახლი... არც არაფერი მისი ქონებიდან"!**

**თენგიზ კუბლაშვილი**

გაზეთ **"ილორის"** კომენტარი: სომხური არმიის საქციელი თავისთავად განამტკიცებს იმ აზრს, რომ მშვიდობიანი მოსახლეობისა და მიცვალებულის გაძარცვა ერთი სიტყვით ხასიათდება – **მოროდიორობა!**

იმის გათვალისწინებით, თუ როგორ მოექცა ეს ხელისუფლება მიცვალებულ ბადრი პატარკაციშვილს და მის ოჯახს (მთაწმინდის პარკისა და ტელეარხ **"იმედის"** ყაჩაღურად წართმევა), ძნელი მისახვედრი არაა ის ჭეშმარიტება, რომ დრო ვერ ცვლის ვერც ცალკეული პიროვნებისა და ვერც მთელი ერის მოროდიორულ ბუნებას!

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაციის დროებითი საორგანიზაციო საბჭოს წევრები, გაზეთი „ილორი", ბატონი ზურაბ კვარაცხელია თანაგრძნობას უცხადებენ ნონა და რამინ თორდიებს**

**ლოლა**

**მირკუშოვა-თორდიას**

**გარდაცვალების გამო**

აფხაზეთის ღირსეული შვილები

# გიორგი ალექსის ძე ძიძარია

***ამას წინათ ჩვენმა აფხაზმა მეგობრებმა აფხაზეთიდან მოგვაწოდეს არველოდი კუპრავას სქელტანიანი წიგნი "ხალხი: დრო და ცხოვრება", რომელშიც შესულია ბიოგრაფიული ნარკვევები და ისტორიული პორტრეტები იმ აფხაზი მოღვაწეებისა, რომელთაც ნათელი კვალი დასტოვეს აფხაზეთისა და საქართველოს ისტორიაში. რუბრიკით "აფხაზეთის ღირსეული შვილები", ვაგრძელებთ წიგნში დასტამბული ბიოგრაფიების გამოქვეყნებას.***

გამოჩენილი აფხაზი საზოგადო მოღვაწე, კავკასმცოდნე ისტორიკოსი გიორგი ალექსის ძე ძიძარია დაიბადა 1914 წლის 6 მაისს გუდაუთის მაზრის სოფელ ლიხნში, გლეხის ოჯახში. მამამისი ალექსი ცნობილი იყო სოციალური უსამართლობისადმი შეურიგებელი დამოკიდებულებით და იყო გლეხთა რაზმ **"კიარაზ"**-ის წევრი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში. ამის გამო ალექსი ციხეში მოხვდა, მძიმედ დაავადდა და 1918 წელს გარდაიცვალა. გიორგი მაშინ 4 წლის იყო. მისი ბიძებიც **„კიარაზის"** მოძრაობის წევრები იყვნენ და გიორგის დედას – ზიზე ვარდანიას დიდი ჯაფა ადგებოდა, რომ შვილები გამოეკვება. გიორგი გულისყურით ისმენდა ამბებს მამის გმირულ საქმეებზე, რამაც დიდი როლი ითამაშა მისი სულიერი ფორმირების პროცესებზე და განაპირობა ყმაწვილის სამომავალო გზა.

1924-1929 წლებში გიორგი სწავლობდა გუდაუთის ბავშვთა სკოლა-ინტერნატში, შემდეგ კი სოხუმის სანიმუშო სკოლა-ინტერნატში. 1934-1939 წლებში იგი მოსკოვის ისტორიის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის ინსტიტუტში სწავლობს. შემდეგ, გიორგი თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნავდა: **"მოსკოვში მე ვსწავლობდი ისეთი დიდი მეცნიერების გვერდით, როგორებიც იყვნენ აკადემიკოსები ი.ვ. გოტიე, ე.ა. კოსმინსკი, მ.ნ. ტიხომიროვი, ს.ვ. ბახრუშინი, ი.ი. მინცი და სხვები, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს ჩემი, როგორც ისტორიკოსის ჩამოყალიბებაში"**.

1939 წელს გიორგი ძიძარია აფხაზეთში დაბრუნდა და სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა. ჯერ იყო აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-მუშაკი, შემდეგ კი უფროსი მეცნიერ-მუშაკი. 1952 წლიდან 1957 წლამდე იყო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, შემდეგ კი, წლების განმავლობაში სათავეში ედგა ინსტიტუტს.

იგი მეცნიერულ საქმიანობას წარმატებით უთავსებდა პედაგოგობას, კითხულობდა ლექციებს ისტორიაში, თავკაცობდა ინსტიტუტის (შემდეგ აფხაზეთის უნივერსიტეტის) ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კათედრას. ამავე დროს, აფხაზეთის ისტორიის კურსს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1946 წელს დაიცვა საკანდიდატო, 1958 წელს კი სადოქტორო დისერტაცია, 1960 წელს გახდა პროფესორი, 1974 წლიდან კი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

გიორგი ძიძარია ერთ-ერთი პირველი დადგა აფხაზეთის ისტორიის საწყისებთან და დიდი როლი ითამაშა ამ მეცნიერების შემდგომი განვითარების საქმეში. თუმცა, ვიდრე აღიარებული მეცნიერი გახდებოდა, განიცდიდა დიდ მატერიალურ გაჭირვებას, მრავალსულიანი ოჯახით ცხოვრობდა საერთო საცხოვრებლის ოროთახიან ბინაში, საიდანაც კინაღამ გამოასახლეს განსხვავებული მოსაზრებების გამო.

მთელი თავისი ნიჭი და მეცნიერული შესაძლებლობები მოახმარა გიორგი ძიძარიამ საკუთარი სამშობლოს ისტორიის შესწავლის საქმეს. შეიძლება მისი აზრი ყოველთვის არ ემთხვეოდა ქართველ ისტორიკოსთა თვალსაზრისს, მაგრამ არ შეიძლება არ დაუფასდეს დამსახურება იმ ადამიანს, რომელმაც დიდი შრომა გასწია, რათა შეექმნა აფხაზეთის **"ზუსტი"** ისტორია. და ეს ხდებოდა მაშინ, როცა საბჭოთა კავშირში ცხოვრება უაღრესად პოლიტიზირებული იყო და ცენზურისაგან განსაკუთრებულ დაწოლას ისტორიის დარგის სპეციალისტები განიცდიდნენ.

გიორგი ძიძარიას კვლევები ეფუძნებოდა არა მხოლოდ სანდო ისტორიულ წყაროებს, არამედ ხალხის ცხოვრების მრავალმხრივ ცოდნას, აფხაზთა ეროვნულ ხასიათს, მეურნეობის გაძღოლის ტრადიციებს, ფსიქოლოგიას, რამაც იგი ღრმად ეროვნულ მეცნიერად ჩამოაყალიბა.

მეცნიერის ბიბლიოგრაფიაში 400-მდე გამოქვეყნებული ნამუშევარია, მათ შორისაა 150 სამეცნიერო ტრაქტატი, 50 მონოგრაფია, კრებულები, ბროშურები...

გიორგი ძიძარია უდავოდ დიდი ავტორიტეტია აფხაზეთის ისტორიოგრაფიაში, რომლის მონოგრაფიები დღესაც არ ჰკარგავენ აქტუალობას. ესენია: **"აფხაზეთის სახალხო მეურნეობა და სოციალური ურთიერთობები XIX საუკუნეში"**, **"მუჰაჯირობა და აფხაზეთის ისტორიის პრობლემები"**, **"აფხაზეთის რევოლუციური ინტელიგენციის ფორმირება"**, **"აფხაზეთის 1866 წლის აჯანყება"** და სხვა.

გიორგი ძიძარია პირველი აფხაზი მეცნიერი გახლდათ, რომელმაც დაწვრილებით შეისწავლა XIX საუკუნის აფხაზეთის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა. თავის ნაშრომებში იგი სკულპტორის ხელოვნებით ძერწავს ყოველი სოციალური სუბიექტის საზოგადოებრივ მდგომარეობას.

როგორც გიორგი ძიძარიას ნაშრომშია გადმოცემული, ავადსახსენებელი მუჰაჯირობა მთელი XIX საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა, თუმცა მასში რამდენიმე ეტაპი გამოირჩეოდა, რომელიც ქვეყნის შიგნით მიმდინარე და საერთაშორისო პროცესებთან იყო მჭიდრო კავშირში. საქმეში ჩართული იყვნენ რუსეთი, თურქეთი და ინგლისი, რომელსაც თავისი მტაცებლური ინტერესები გააჩნდა კავკასიაში. სწორედ ინგლისელთა მეკობრეობის შედეგად დაჰკარგა საქართველომ ლორესა და ტაშირის რაიონები, რომელსაც ინტერვენტების ხელშეწყობით დაეუფლნენ სომხები. გიორგი ძიძარიამ, ხანგრძლივი კვლევა-ძიების შემდეგ დაადგინა, ასევე, თურქეთში გადასახლებულ აფხაზთა რაოდენობა, რასაც საბჭოთა ხელისუფლების დიდი აღფრთოვანება არ გამოუწვევია.

ძიძარიას კალამს ეკუთვნის მონოგრაფიები, რომელშიც ასახულია აფხაზეთის რევოლუციონერების, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეების ე. ეშბას, გ. ორჯონიკიძის, ნ. აქირთავას ცხოვრება და მოღვაწეობა. მანვე გამოაქვეყნა მონოგრაფიები ნ. ლაკობაზე, ვ. ლაკობაზე, ვ. ლადარიაზე, ი. ვარდანიაზე, ვ. აგრბაზე, პ. ძიგუასა და სხვებზე. იგი თავის მოვალეობად მიიჩნევდა, რომ ფერფლიდან აღედგინა რეპრესიათა მსხვერპლნი, რათა მათი სახელები დავიწყებას არ მისცემოდა.

აქტიურ მუშაობას ეწეოდა გიორგი ძიძარია საზოგადოებრივი მეცნიერების ფრონტზე. იგი იყო 1970 წელს მოსკოვში ჩატარებული ისტორიკოსთა მე-13 საერთაშორისო კონგრესის მონაწილე, სისტემატურად გამოდიოდა მოხსენებებით საერთაშორისო, საკავშირო და რეგიონალურ ფორუმებზე. მის ყველა მოხსენებას მაღალ შეფასებებს აძლევდნენ სამეცნიერო წრეებში.

გიორგი ძიძარია იყო სსრკ VI, VII და VIII მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XVII-XXVII ყრილობების დელეგატი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წევრი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და თავმჯდომარე, საქართველოს საზოგადოება **"ცოდნის"** აფხაზეთის ორგანიზაციის გამგეობის და საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე. იყო რამდენიმე სამეცნიერო საბჭოსა და ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი. დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის 2 ორდენით, **"საპატიო ნიშნის"** ორი ორდენით, ხალხთა მეგობრობის ორდენით და მედლებით.

როგორც მოქალაქე და ადამიანი, გიორგი ძიძარია აშკარად გამოირჩეოდა თავისი დემოკრატიულობითა და თავმდაბლობით, იყო მედგარი, უშიშარი ადამიანი. მეუღლესთან – ოლღა ალექსანდრეს ასულ გერიასთან ერთად მან სამშობლოს აღუზარდა ქალიშვილი – ანეტა და სამი ვაჟკაცი – ასტამური, გუდისი და ადგური. ქალბატონი ოლღა გრიგოლ ძიძარიას ერთგული მეგობარი და თანამებრძოლი იყო. იგი ერთ-ერთი პირველი ეცნობოდა მეუღლის ნაშრომს და **"რემენგტონზე"** ბეჭდავდა. როცა გიორგის მოსკოვში მძიმე ავადმყოფობის დიაგნოზი დაუსვეს, ქალმა იმდენად განიცადა, რომ რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

მხოლოდ სამი კვირა იცოცხლა ამის შემდეგ სულმნათმა გიორგი ძიძარიამ. მას სიცოცხლეში არასოდეს უღალატნია თავისი მეუღლისათვის და არც სიკვდილი გამოდგა გამონაკლისი. 1988 წლის 7 მაისს მან უდრტვინველად დასტოვა წუთისოფელი. დაკრძალეს ლიხნაშტში – ისტორიულ ველზე, რომელსაც ხალხი მოფერებით აფხაზეთის გულს უწოდებს.

ასეთი დიდი პატივი მიაგო მას მშობელმა ხალხმა!

ნიჭი და შრომისმოყვარეობა თავისთავად წარმოადგენს ძეგლს.

მას არ გამოუგონია ისტორია. მან შექმნა ისტორია იმით, რომ წარსულის ბნელად მოსილი ლაბირინთებიდან ამოაბრძანა და მსოფლიოს გააცნო ის აწმყო, რომლითაც დღემდე მოვიდა აფხაზი ერი!

# საქართველო (კოლხეთი) – კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი

*საქართველო (კოლხეთი) ჩვენი სამყაროს უპირველესი და უდიდესი ქვეყანაა.*

*იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე*

პროფ. ლევან სანიკიძე

დასაწყისი **№122, 123, 124, 125, 127,**

***ჩვენ გაზეთის წინა ნომრებში მკითხველებს მივაწოდეთ დიდი ქართველი მეცნიერის ბატონ კლიმენტი შელიას წერილების ციკლიდან მრავალი საინტერესო წერილი, რომელიც ნათელს ჰფენს საქართველოს შორეული წარსულის პერიპეტიებს. ზოგიერთი წერილი ამ ციკლიდან შეიძლება ადრე გამოქვეყნებულიც გვქონდეს, მაგრამ იმდენად დიდია მკითხველი აუდიტორიის ინტერესი ბატონი კლიმენტის შემოქმედებისადმი, რომ მისი ხელმეორედ გამოქვეყნებაც დიდად სასარგებლო და საშურ საქმედ მიგვაჩნია – გაზეთ "ილორის" რედაქცია.***

### ხოტუ (ჰოტუ) მატუა – აღდგომის კუნძულის პირველი მეფე

ვ. იანი წერს: **"კლდის უკან ჩრდილოეთით, ბედნიერი იბერიის მზიანი ნაპირები გადაშლილიყო. ამწვანებულ ჭალებსა და ველებზე საქონელი და ცხვრის ფარა ძოვდა. სამხრეთით, განიერი სრუტის იქით, აფრიკის მოვარდისფრო-ყვითელი მთები და კლდეები მოჩანდა. ამბობენ უწინ აფრიკისა და იბერიის ნაპირები ყელით იყო შეერთებული, მაგრამ ღმერთმა მელკარტმა ნაპირები ერთმანეთს დააშორა და გარეგანი და შიდა ზღვა სრუტით შეაერთა"**-ო.

### კასიტური (კისების) ენა – ქართველური ენაა

ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილია 11 ათასი წლის წინანდელი (ნეოლითის) პერიოდის ეკლესია-ტაძრები წარწერებით.

უკანასკნელ პერიოდში ცნობილმა უცხოელმა მეცნიერებმა გამოაქვეყნეს მასალები სათაურით **"უცნობი ქართველური ენა და მესოპოტამიაში ქართულ დინასტიის მმართველობის 600 წლისთავი"**. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი იური მოსენკინი წერს: **"შეიძლება გარკვევით ვთქვათ, რომ ასიტური (კისების) ენა ჯერ კიდევ უძველესი ენაა ქართველური ოჯახისა, მისი მატარებელი დინასტია მართავდა ბაბილონს XVIII საუკუნის შუაწლებიდან XII საუკუნის შუაწლებამდე ძველი წელთაღრიცხვით"**, რომ ქვეყანას მართავდნენ კოლხები და მმართველობა კოლხურ ენაზე ხდებოდა.

გარდა ამისა, გერმანელმა არქეოლოგებმა (კლაუს შმიდტის ხელმძღვანელობით) თანამედროვე თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, გიომეკლე-თებეს (თეფეს) მიდამოებში, ჭიპლარის მთაზე (ჭიპი – მეგრულად **"ჩუპა"** – ჩუპას მთაზე) აღმოაჩინეს ნეოლითის პერიოდის, 11 ათასი წლის წინანდელი ეკლესია-ტაძრები. კარგად შენახულ კირქვის სამშენებლო Ͳ-სებრი სვეტებზე გამოსახული იყო ქვის საუკუნის მთელი ზოოპარკი – ლეოპარდი, მელა, ველური ვირი, გველი, იხვი, ტახი, ველური ხარი წერო. უყურებ რა მათ, წარმოგიდგება, რომ **"იხვი ეს-ეს არის ყიყინს დაიწყებს, მელა თავს დაესხმის მსხვერპლს, ველური ხარი საშიშრად წამოვა თქვენსკენ. ამ ეპოქაში მსგავსი სილამაზე და დახვეწილობა არავის უნახავს"**.

შესაძლებელია სამშენებლო ორნამენტებზე, სვეტებზე გრაფიკული კომბინაციების უკან იმალება სიტყვები და ფრაზები: **N** და **H** შებრუნებული 90 გრადუსით, **H** ოვალური წრე, ჰორიზონტალური და ვერტიკალური და ვერტიკალური ნახევარმთვარე, ჰორიზონტალური თამასა, მათ გვერდით ძველი სტილიზებული **"ალაფები"**. ჩანს საქმე გვაქვს ინფორმაციის უძველეს სისტემასთან, რომ გიობეკლე-თებეს მშენებლები შეტყობინების შესადგენად და ადამიანებისათვის გადასაცემად სარგებლობდნენ რთული სიმბოლიკით – წერს კ. შმიდტი და აგრძელებს: **"თუმცა საეჭვოა, რომ უახლოეს მომავალში საიმედოდ იქნას განმარტებული გიობეკლე-თებეს სიმბოლიკა"** (კლაუს შმიდტი, **"ისინი იშენებდნენ პირველ ტაძრებს"**, ბერლინი, 2006 წელი).

მეცნიერები ერიდებიან საუბარს დამწერლობის შესახებ, რადგან ეს ამსხვრევს ადამიანური კულტურის ჩამოყალიბების შესახებ დამკვიდრებულ წარმოდგენებს. კ. შმიტდი ნათლად ხედავს, რომ **"ველურები ველურთა შორის აგებდნენ ეკლესია-ტაძრებს"** და **"აქ აღმოჩენილი ძველებური სიმბოლოები ძალიან გვანან დამწერლობას, მაგრამ შესაძლებელია კი ეს?"** და რომ ეს დამწერლობა 11 ათასი წლის წინანდელია, ნუთუ მაშინ შეიძლებოდა დამწერლობა ყოფილიყო? კ. შმიდტი პირდაპირ აღიარებს, რომ **"მე ვიტყოდი, რაც პირველად გავიფიქრე, ჩვენ კვლავ ვხედავთ გიობეკლე-თებეს ინოგრაფიას"**.

ჩანს დიდი მეცნიერი კ. შმიდტი შესაფერისად არ იცნობს სამეგრელო-კოლხეთის ისტორიას, კოლხ-პელაზგების ისტორიას. ნეტავ იცის მან რომ, არა მარტო დღევანდელი თურქეთის და მიმდებარე სივრცეები მეგრული მიწები იყო, არამედ სხვა უდიდესი ტერიტორიები უძველესი კოლხ-პელაზგების სამფლობელო-საცხოვრისი ყოფილა. კ. შმიდტის წიგნის გამოსვლის დროს მისთვის ცნობილი არ იყო გია კვაშილავას მიერ გაშიფრული **"ფესტოსის დისკო"** – 4 ათასი წლის წინანდელი კოლხური დამწერლობა.

### აფრიკაში "მეგრელი ზანგები" ცხოვრობენ

1897 წელს ჟურნალ **"მოამბის"** მიმოხილვაში: **"ჩვენსა და სხვაგან"**, აგრეთვე გაზეთ **"ივერიაში"** და **"ცნობის ფურცელში"** გამოქვეყნდა გამოჩენილი რუსი მეცნიერის, მეცნიერებათა დოქტორის, ცნობილი რუსი მოგზაურის, საქართველოში ნამყოფი და საქართველოს კარგად მცოდნე ა.ვ. ელისეევის ნაშრომი იმის შესახებ, რომ აფრიკაში, საჰარის უდაბნოს პირას, ქალაქ უარგალში (ვარგლაში) უძველეს დროიდან ცხოვრობდნენ და ამჟამადაც ცხოვრობენქართველები. ა.ვ. ელისეევმა ეგვიპტეში, ტუნისში, ალჟირში საჰარაში მოგზაურობის შედეგები და შთაბეჭდილებები აღწერა რუსულენოვან-წიგნში **„მთელ მსოფლიოში"** ა.ვ. ელისეევს ქართული საუბარი თვითონ აქვს მოსმენილი და ჩაწერილი (ახსენებს გვარებს: გუგუნავას, ჭანუყვაიას და სხვა).

აღნიშნულ საკითხზე გაზეთ **"ახალგაზრდა კომუნისტში"** (1989 წელი) მასალები გამოაქვეყნა ჟურნალისტმა გიორგი კურტანიძემ.

აფრიკაში ნავსადგულ ალჟირში ნამყოფი ქართველი მეზღვაურის სიორიძის მონათხრობის მიხედვით, აგრეთვე პირად საუბარში, სიორიძე აღნიშნავს, რომ მან და სხვა ქართველმა მეზღვაურებმა ნახეს ქართველი ზანგები, რომლებიც მძიმე ყუთებით ტვირთავდნენ ფრანგულ გემს. ქართველმა **"ზანგმა"** უთხრა ქართველ მეზღვაურებს, რომ: დღეს აქ ვმუშაობთ ათი ქართველი, ყველა ერთი სოფლიდან, და აქ, უჯდასთან (მაროკოს საზღვრისპირა ქალაქი) ქართველების რამდენიმე სოფელია, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გუგუნარის (ე.ი. გუგუნავას) გვარს ატარებს, მეტად ღატაკურად ვცხოვრობთ, ჩვენი ბავშვები ჩამოხეულები, ფეხშიშველები დადიან. ქართველმა მეხომალდეებმა ვერ მოახერხეს გაეგოთ **"ქართველი ზანგების"** სოფლების სახელწოდება და მათი წინაპრების წარმომავლობა, რადგან ფრანგმა ზედამხედველმა **"ქართველ ზანგს"** საუბარი შეაწყვეტინა.

ეს ვერ შეძლო ჟურნალმა **"მოამბემ"** საუკუნის წინ დაედგინა. პროფ. ილია ტაბაღუა ორჯერ იყო ალჟირში – 1964 და 1967 წელს, მაგრამ ვერ დაადგინა ქართველი (მეგრელი) **"ზანგების გაზანგების საკითხი"**.

1972 წელს **"აფრიკელი ქართველების"** საოცარი ისტორიის შესახებ გაზეთმა **"სოფლის ცხოვრებამ"** გამოაქვეყნა დ. ფაშტინის ვრცელი წერილი **"საიდან მოხვდნენ აფრიკაში?"** ქართველ საზოგადოებას აინტერესებს და აწვალებს კითხვები: მართლაც **"საიდან"** და **"როდის"**?

*(გაგრძელება იქნება)*



სერგეი კრემლიოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

სარაკეტო ტექნიკის განვითარების პირველ წლებში საქმეს იმგვარად მიუდგნენ, როგორც ურანის პრობლემას – ეს იყო გერმანული რაკეტების **ფაუ-1**-სა და **ფაუ-2**-ის კვლავწარმოება. ამ ინიციატივას, ჩვეულებისამებრ, სტალინს მიაწერენ, მაგრამ ბ.ე. ჩერტოკი გვამცნობს, რომ **ფაუ-2**-ის კვლავწარმოება დაიჟინა უსტინოვმა, რის გამოც **"არაერთხელ ჰქონია სერიოზული კონფლიქტი კოროლიოვთან"**. კოპირება, იმ დროისათვის, შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი ჭკვიანური გადაწყვეტილება იყო – სარაკეტო წარმოებაში, გერმანელები, სხვებთან შედარებით, ძალიან წინ გაიჭრნენ, ისევე, როგორც ამერიკელები – ატომურ საქმეებში.

მაგრამ აქტიურად მიმდინარეობდა საკუთარი კვლევებიც და 1947 წელს კოროლიოვის საკონსტრუქტორო ბიურომ მოაწყო ექსპერიმენტული რაკეტის გამოცდა. 1946 წლიდან საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომელი ა.ნ. ვოლსკი ოთხმოციან წლებში იხსენებდა, რომ რაკეტის ზოგიერთი საცდელი გაშვება პილოტაჟის უმაღლესი ფიგურის დემონსტრირებას წააგავდა, – რაკეტები, სტარტისთანავე, ვერტიკალურად სწორად აფრენის ნაცვლად რაღაც იდუმალ წრეებს ხაზავდნენ...

1948 წელს სტალინთან კვლავ გაიმართა თათბირი, სადაც სსრკ არტილერიის მარშალი იაკოვლევი (სტალინისა და ბერიას კიდევ ერთი **"უდანაშაულო მსხვერპლი"**), რაკეტული ტექნიკით საბჭოთა არმიის შეიარაღების კატეგორიულად წინააღმდეგი წავიდა. ამ გადაწყვეტილებას იგი რაკეტების სირთულითა და არასაიმედოობით ხსნიდა, ასევე იმითაც, რომ ანალოგიურ ამოცანებს უკვე წყვეტდა ავიაცია. მაგრამ მისი საპირისპირო აზრი ასევე კატეგორიულად გამოთქვა კოროლიოვმა...

ჩვენი პირველი ბალისტიკური რაკეტები მართლაც არასაიმედო იყო. მაგრამ მისი ჯარებში გამოჩენა გამოიწვევდა სერიოზულ ბიძგს ტექნიკის შედგომი სრულყოფის საქმეში, სამხედროები კი მისი ექსპლოატაციის გამოცდილებას შეიძენდნენ. სწორედ ამ აზრს დაუჭირა მხარი სტალინმა და აღნიშნა, რომ **"კოროლიოვმა უნდა შექმნას ისეთი რაკეტა, რომელიც არ გააწბილებს საბჭოთა სამხედროებს"...**

სიტყვისათვის! მათ, ვინც ცდილობენ საქმე ისე წარმოადგინონ, თითქოს სტალინის მიერ დათრგუნული საბჭოთა მერაკეტეები მხოლოდ გერმანული ტექნიკის ასლებს აკეთებდნენ, ზედმეტი არ იქნება იცოდნენ, რომ უკვე 1948 წელს კოროლიოვმა იაკოვლევის ბიუროდან თავის საკონსტრუქტორო ბიუროში მიიწვია საავიაციო კაბინების შექმნის სპეციალისტი – ინჟინერი ა.ბ. აფანასიევი, რათა შეექმნა პილოტირებული ხომალდი. მაშინ ეს პროექტი **"არ დაძრულა"**, მაგრამ მოგვიანებით აფანასიევი აქტიურად მონაწილეობდა კოსმოსური ხომალდების **"ვოსტოკისა"** და **"სოიუზის"** შექმნაში...

№2 სპეცკომიტეტში ბევრს წყვეტდა შეიარაღების მინისტრის უსტინოვის თვალსაზრისი, მაგრამ ბერიას **"სარაკეტო"** მნიშვნელობაზე შეიძლება გარკვეული აზრი ჩამოგვიყალიბდეს მისი ერთ-ერთი საუბრით, 1952 წელს, რომელიც აღწერილი აქვს გ. კისუნკოს.

მაშინ პრობლემები წარმოიქმნა №1 საკონ. ბიუროს ერთ-ერთ კონსტრუქციასთან დაკავშირებით და უსტინოვმა მოიწვია უწყებათშორისი თათბირი, სადაც კისუნკომ პირველად გაიცნო კოროლიოვი. თათბირის დამთავრების შემდეგ კისუნკო კოროლიოვს დაემგზავრა ამ უკანასკნელის **"პობედით"** და გზაში უსაყვედურა, რომ მან საკმარისი დახმარება არ გაუწია №1 სბ-ს, რომელსაც თათბირზე კისუნკო წარმოადგენდა...

მე არა ვარ მომხრე, რომ უცვლელად მოვახდინო მემუარების ციტირება, რადგან ეს ხშირად თუ თითიდან გამოწოვილი არაა, არც მთლად საიმედოა, მაგრამ, მოვიყვან კოროლიოვის ერთ-ერთ გამონათქვამს, რომელსაც კისუნკო იხსენებს:

**"– და თუ ოდნავ გადავაჭარბე, მხოლოდ იმიტომ, რომ მე მყავს ჩემი მინისტრი (უსტინოვი – ს.კ.), თქვენ კი თქვენი უფროსი გყავთ, რომელთაც ჩემი თხოვნის მიუხედავად არ ისურვეს თათბირში მონაწილეობა, რომელსაც თვით ბერიას წარმომადგენლებიც კი ესწრებოდნენ... მე ოდნავ უნდა დამეძრა აქცენტები №1 სბ-სკენ... თქვენ კი ბერიასკენ... თქვენ, ამისათვის, შეიძლება ყურიც აგიწიონ..."**

კისუნკო ბერიას (მამის) მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას ავლენს და, მით უმეტეს, დამაჯერებელია მის მიერ გადმოცემული კოროლიოვის დადებითი დამოკიდებულება **"ლპ"**-სადმი (ლავრენტი პავლეს ძე). საერთოდ, საბჭოთა მეატომეები პატივსაცემ პიროვნებებს (სახელის და მამის სახელის აღმნიშვნელი) ასეთი აბრევიატურებით მოიხსენიებდნენ: კოროლიოვს – **"სპ"**, ხარიტონს **"ი.ბ"** და ა.შ.

მოდით, კვლავ მოსკოვის საჰაერო თავდაცვას დავუბრუნდეთ.

1950 წელს სსრკ მინისტრთა საბჭოს 9 აგვისტოს **№3389-1426сс/ор** დადგენილებით მოსკოვის საჰაერო თავდაცვის სისტემას მიენიჭა სახელწოდება **"ბერკუტი"**. ძნელია დღეს იმის დადგენა, თუ რატომ ეწოდა ეს სახელი, მაგრამ №1 საკონსტრუქტორო ბიუროს ვეტერანები ვარაუდობენ, რომ ეს სახელი შედგა სისტემის მთავარი კონსტრუქტორების ბერიასა და კუქსენკოს გვარების საწყისი მარცვლების შეერთებით. ხოლო, **"მოსკოვის საჰაერო დაცვის სისტემა "ბერკუტის" დასაპროექტებლად და სახსრების მოსაზიდად"**, 1951 წლის 3 თებერვალს, სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, მასთან შეიქმნა მესამე მთავარი სამმართველო, ვ.ნ. რიაბიკოვის ხელმძღვანელობით, რომელიც უშუალოდ ემორჩილებოდა სპეციალურ კომიტეტს – ესე იგი, ლავრენტი ბერიას.

რიაბიკოვი მესამე მთავარ სამმართველოში №2 სპეცკომიტეტიდან გადაიყვანეს, მაგრამ სიტუაციის გამწვავებისას ბერია მას ვანნიკოვს დაახმარებდა ხოლმე. ამასთან, ვანნიკოვი ზოგჯერ ძალიან მკაცრად ლაპარაკობდა. მაგალითად, ასე: **"მე... ვაპირებ მოვახსენო ლპ-ს, რომ აქ ყველამ დაივიწყა, თუ რა არის პასუხისმგებლობის გრძნობა... თქვენ განებივრებულები ხართ და გგონიათ, რომ ყველაფრის უფლება გაქვთ. თქვენ გაძლევდნენ ყველაფერს, რასაც მოითხოვდით... ახლა კი კმარა... თავად მიხედეთ საქმეს..."** მაგრამ, როგორც კისუნკო იხსენებს, საუბარი საუბრად რჩებოდა და არავის **"აპატიმრებდნენ"**...

ახლა, როგორც სპეცკომიტეტის თავმჯდომარე, ბერია კურირებდა:

– პირველ მთავარ სამმართველოს, ბ.ლ. ვანნიკოვის ხელმძღვანელობით;

– მეორე მთავარ სამმართველოს, პ.ი. ანტროპოვის ხელმძღვანელობით, რომელიც უძღვებოდა ურანის მადნის მოპოვებისა და გადამუშავების საკითხებს, ამასთან დაკავშირებულ საწარმოო-ტექნიკურ საკითხებს, რაც ხორციელდებოდა გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთსა და პოლონეთში, ასევე ურანისა და თორიუმის საბადოების აღმოჩენის გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოებს;

– მესამე მთავარ სამმართველოს, რომელიც აწარმოებდა მართვად რაკეტებს და საჰაერო თავდაცვის სისტემებს და რომელსაც სათავეში ედგა ვ.ნ. რიაბიკოვი.

რიაბიკოვის მოადგილედ დაინიშნა ს.ი. ვეტოშკინი, მესამე მთავარი სამმართველოს სამეცნიერო ხელმძღვანელი აკადემიკოსი ა.ნ. შჩუკინი. №1 საკ. ბიურო კი ჩართული იქნა მესამე მთ. სამმართველოს შემადგენლობაში. კუკსენკოს და სერგო ბერიას მთავარი კონსტრუქტორების სტატუსი ჰქონდათ, მთ. კონსტრუქტორის მოადგილედ კი დაინიშნა მომავალი აკადემიკოსი, სოც. შრომის გმირი ა.ა. რასპლეტინი, რომელმაც მრავალსამიზნიანი რადიოლოკატორი შექმნა. ამერიკელთა რადიოლოკატორს კი მხოლოდ ერთი მიზნის მოძებნა შეეძლო.

**"ბერკუტის"** საზენიტო მართვადი რაკეტების (სმპ) მთავარი კონსტრუქტორი გახდა ავიაკონსტრუქტორი სიმონ ლავოჩკინი, რომლის რაკეტას მიენიჭა ინდექსი **Б-300**.

საკონ. ბიუროს უფროსად კი ბერიამ დანიშნა სოც. შრომის გმირი **ამო სერგოს ძე ელიანი,** რომელიც ომის დროს საარტილერიო ქარხანას დირექტორობდა. სწორედ მაშინ მოხვდა ელიანი ბერიას თვალსაწიერში, როგორც უნარიანი ხელმძღვანელი. ბერია კი ყველგან და ყოველთვის ასეთ ადამიანებს ეძებდა და ამიტომაც წაიყვანა თავისთან ელიანი.

თუ ურანის პრობლემაში **"პირველ ვიოლინოს"** წარმოადგენდნენ ფიზიკოსები (ამ პრობლემის არსს მხოლოდ ფიზიკოსთა მჭიდრო წრე თუ ჩაწვდებოდა), სარაკეტო პრობლემაში ყველაფერი გარკვეული იყო. და ამ სფეროში თავიდანვე მოიყარეს თავი ახალგაზრდა მერაკეტე ენთუზიატებმა, მოტორისტებმა, მართვის საბორტო სისტემების შემქმნელებმა რომელთაც დინამიური კოლექტივი შექმნეს. ამიტომ, როგორც კუქსენკო იხსენებდა, სამუშაო ფრონტი თავიდანვე ფართოდ გაიშალა. 1951 წელს დაიწყო საცდელი ეკზემპლარების გამოშვება.

1952 წლის ნოემბერში გაუშვეს პირველი საზენიტო მართვადი რაკეტა **(სმრ)**, რომელმაც საჰაერო მიზანი დააზიანა. წარმატებით განხორციელდა ექსპერიმენტი 1953 წლის აპრილშიც, როცა **სმრ**-მა ჩამოაგდო სასწავლო ბომბდამშენი **"ტუ-4"**. ამავე წლის მაისში დასრულდა რადიომართული საფრენი აპარატების შექმნის პირველი ეტაპი.

აი, ბერიას მიერ გაწეული ღვაწლი ამ საქმეში, რომელიც მოგვიანებით აღნიშნა გენერალმა მ.ი. ნაუმენკომ:

**"იგი არაერთგზის ჩამოვიდა კაპუსტინ იარში მდებარე პოლიგონზე, სადაც ცდებში მონაწილეობდა მისი შვილი – სერგო. ვიდრე ბერია ამ საქმეს ხელმძღვანელობდა, აქ ჩავარდნა არ ყოფილა..."**

ცნობილი საბჭოთა მერაკეტე, აკადემიკოსი, გენერალ-ლეიტენანტი ა.გ. ბატისტოვი იგონებდა:

**"1952 წლის აგვისტოში მე მოვახსენე ამხანაგ ბერიას მოსკოვის საჰაერო დაცვის მდგომარეობის თაობაზე. ბერია ჩვენთან ობიექტზე მოვიდა... გვესაუბრებოდა მშვიდად, თავაზიანად... მაშინ მან კოლექტივის კვების პრობლემა გადაწყვიტა. ჩვენ დღეღამეში 18 საათის განმავლობაში ვმუშაობდით, სასადილო კი არ გვქონდა. მისი ვიზიტის შემდეგ კი ყველაფერი გაჩნდა..."**

აქ მე შევწყვეტ ანატოლი გიორგის ძე ბატისტოვის ციტირებას, რათა გაგაცნოთ ვიღაც ინკოგნიტო (2000 წელსაც კი) **"მოსკოვთან მდებარე ერთ-ერთი სარაკეტო ბაზის მეთაურის"** მიერ მიცემული **"აღიარება"**, რომელიც მოიძია ე. ჟირნოვმა და გამოაქვეყნა 2000 წლის 6 ივნისის, ჟურნალ **"კომერსანტში"**, სათაურით: **"მათ ბერია ტუტეში გახსნეს"**. ამ **"მებრძოლი ოფიცრის მტკიცებით, რომელმაც მთელი ომი ფეხით მოიარა, ათწლეულების შემდეგაც კი ბერიას სახელის ხსენებაზე მუხლები უცახცახებდა..."** მკითხველმა ახლა თავად შეუდაროს ეს **"აღიარება"** ბატისტოვის მოგონებას. მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ბერიას დაპატიმრების დროს მოსკოვთან არ იყო განთავსებული **"ბერკუტის"** არავითარი სამხედრო ბაზა, რომელიც მაშინ მხოლოდ ექსპერიმენტი გახლდათ. ჟირნოვს ასევე მოჰყავს ამ უხილავი ოფიცრის მოგონება იმის თაობაზე, რომ ბერიას დახვრეტის შემდეგ მისი გვამი ტუტეში გახსნეს, საიდანაც ავტორმა აიღო კიდეც სტატიის სათაური.

ახლა კი მოვიყვან ბატისტოვის შეფასების დასკვნით ნაწილს:

**"ტექნიკაში იგი დიდად ვერ ერკვეოდა, მაგრამ ზედა დონეებზე ძალიან ძლიერი, იყო, ტოლი არ ჰყავდა..."**

ამ მაღალკვალიფიციური სპეციალისტის თავშეკავებული შეფასებამ **"დიდად ვერ ერკვეოდა...",** არ შეიძლება თავისებური აღტაცება არ გამოიწვიოს. და ეს შეფასება განსაკუთრებით ფასეულია იმ განცხადების ფონზე, რომელიც გააკეთა №1 საკონსტრუტორო ბიუროს და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება **"ალმასის"** დამსახურებულმა ვეტერანმა კარლო სამუელის ძე ალპეროვიჩმა. ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა, ორდენოსანმა, მეცნიერებათა დოქტორმა 2007 წლის ოქტომბერში (მაშინ იგი 86 წლის იყო) ინტერვიუ მისცა ჟურნალ **"სამხედრო-სამრეწველო კურიერს"**, სადაც უარყოფითი აზრი გამოთქვა სერგო ბერიაზე, შედარებით თავშეკავებულად შეაფასა კუქსენკო, ხოლო ბერიას როლი მოსკოვის საჰაერო თავდაცვის საქმეში შემდეგი სიტყვებით აღნიშნა:

**"ლავრენტი ბერიას განსაკუთრებული მდგომარეობა ხელისუფლებაში და მისი განსაკუთრებული "ხასიათი"** (აქ უკვე იმაზეა მინიშნება, რომ ბერია მაღრჩობელა უწყებას თავკაცობდა, თუმცა მაშინ სპეცსამსახურებს კრუგლოვი და იგნატიევი ხელმძღვანელობდნენ – **ს.კ.) აძლევდა მას საშუალებას, რომ მოეზიდა დიდძალი ოდენობის მატერიალური და შრომითი რესურსი** (გამოდის, რომ **"მეატომეებს" "მერაკეტეთა"** ნასუფრალი ერგებოდათ ხოლმე **– ს.კ.). როცა ჩვენ თხოვნით მივმართავდით ამა თუ იმ სამინისტროს, არაფერზე უარს არ გვეუბნებოდნენ – არავის უნდოდა თავს დასტეხოდა ბერიას რისხვა. სწორედ ეს გვაძლევდა შეუფერხებლად მუშაობის საშუალებას** (მაგრამ, ბერიამ ხომ პირადად გადაწყვიტა პოლიგონზე ინჟინრების კვების საკითხი – **ს.კ.). რაც შეეხება ჩვენს მიერ გადაჭრილ პრობლემებს, ბერიას ამ საკითხებზე ელემენტარული წარმოდგენაც კი არ გააჩნდა. ასე რომ, უკანასკნელ დროს ვიღაცეების სურვილი – წარმოადგინონ ბერია ქვეყნის უძლიერეს მენეჯერად, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. არ შეიძლებოდა, რომ ბერია მართლაც ამგვარი მენეჯერი ყოფილიყო..."**

აქ ელემენტარული სიძულვილი გამოსჭვივის **"ბოროტმოქმედ"** ბერიასადმი. ალპეროვიჩმა კი ბერიას შვილს ბრალდებად ის წაუყენა, რომ **"მამის დაპატიმრების შემდეგ იგი საერთოდ არ დადიოდა სამსახურში..."** სერგო, მაშინ, დაპატიმრებული იყო, შემდეგ კი მოსკოვიდან გააძევეს, მაგრამ მიუხედავად ამის, წლების შემდეგ მაინც აღიდგინა პროფესიონალური სტატუსი – სხვა მერაკეტის, სერგო ხრუშჩოვისაგან განსხვავებით. საინტერესოა, როგორ დამოკიდებულებას იჩენდა ალპეროვიჩი თავისი კოლეგა სერგო ხრუშჩოვის მიმართ, რომელმაც ამერიკაში გადაინაცვლა, მაშინ, როცა სერგო ბერია სიცოცხლის ბოლომდე ემსახურა თავის სამშობლოს?

რაც შეეხება ალპეროვიჩის ბრალდებებს უფროს ბერიაზე, მას აცამტვერებს თავად ბერიას **"მენეჯერული"** მუშაობის სტილი და მეთოდები. ეს ნიკიტა ხრუშჩოვს შეეძლო **"გენიალური"** ყოფილიყო ყველა წვრილმანებში და მხატვრებისათვის მხატვრობა ესწავლებინა, ბერია კი ხშირად ტუქსავდა თავის ქვეშემრდომ მმართველებს იმისათვის, რომ ისინი წვრილმანებში იწყებდნენ ჩხირკედელაობას. **"თქვენ ორგანიზატორები ხართ და საქმის ორგანიზაციულ ნაწილს უნდა მიხედოთ!"** – წვრთნიდა მათ ლავრენტი ბერია და მკაცრად მოითხოვდა, რომ მოეწესრიგებინათ საორგანიზაციო საკითხები და არ დაეკარგათ დრო წვრილმანების ჩხრეკით.

ბერიას იმიტომ არ სურდა ალპეროვიჩის საქმეში არსებულ წვრილმანებში **"ჩახედვა"**, რომ იგი მართვის საქმის უმაღლესი რანგის პროფესიონალი იყო და საკუთარ ამოცანად ისახავდა ალპეროვიჩისა და მისი კოლეგებისათვის შეუფერხებელი სამუშაო პირობების შექმნას.

ამ ამოცანას კი ბერია ყოველთვის ბრწყინვალედ ართმევდა თავს.

აი, კიდევ რამდენიმე სიტყვა აღნიშნულ თემაზე... **"დემოკრატები"** გულისწყრომას გამოთქვამენ 40-იანი წლების საბჭოთა კავშირში კიბერნეტიკის შებოჭვაზე. სინამდვილეში კი მთელი სახელმწიფოს პოტენციალი მიმართული იყო სააღრიცხვო-ანალიტიკური და მათემატიკური ელექტრონული ციფრული მანქანების წარმოებაზე. მინისტრი პ.ი. პარშინი (ბერია მას კარგად იცნობდა ომის დროს ნაღმტყორცნების სახალხო კომისარიატიდან) სწერდა ბერიას 1949 წლის 29 აპრილს, რომ პირველ მთავარ სამმართველოს აღმოეჩინა დახმარება ელექტროციფრული მანქანების ტექნიკური პირობებისა და პეროექტების შემუშავებაში. ეს მანქანები საჭირო იყო საჰაერო თავდაცვის სისტემებისა და თერმობირთვული ჭურვების შექმნისათვის.

**"ბერკუტის"** სისტემას დამკვრელური ტემპებით ქმნიდნენ ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოსალოდნელი რეალური ბირთვული აგრესიის გამო. მაგრამ ჩქარი ტემპები ბერიას დამსახურებაცაა, რადგან 50-იანი წლების დასაწყისში მან იმდენად კარგად აითვისა ეკონომიკა და გაერკვა ქვეყნის შესაძლებლობებში, რომ ყველა მისი წამოწყება **"განწირული"** იყო წარმატებისათვის.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# სამეგრელო დავით დადიანის დროს

ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის იონა მეუნარგიას 1939 წელს გამოცემული წიგნიდან "სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი" (ავტორისეული სტილისტიკა შენარჩუნებულია).

**მიწის მეურნეობა: სიმინდი, პურის ჯიშები, მეაბრეშუმეობა, სხვადასხვა კულტურები.**

თუ არა უმეტესი ნაწილი სამეგრელოს სამთავროს ნიადაგისა, ნახევარი მაინც ხომ დღესაც მოფენილია გვიმრით, ეკალით, ბარდ-მაყვლით, ბუჩქნარით, ისლით, ტყეტევრით. დავით დადიანმა სამთავროს გამგეობას რომ მიჰყო ხელი ამ სამოცდა ათი წლის წინათ კაცის ხელით მოწევნილი მიწა ბევრად უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ახლა არის, დავითის მამა ლევანი ზუგდიდის ნაპირას ირმებს ნადირობდა. იმ დროს ხალხიც ცოტა იყო სამეგრელოში და სიმინდს – ამ უმთავრეს საზრდოს ხალხისას – მარტო თავის სარჩოდ იწევდნენ, რადგანაც მაშინ გარეშე ქვეყნებში სიმინდს არ ეზიდებოდნენ, როგორც დღეს.

ხშირად სამეგრელოს ჭაობიანი და ცოტად დამუშავებული მიწა სამეგრელოს მკვიდრთ საკმაო საზრდოსაც არ აძლევდა. სამეგრელოს მთავრის კანცელარიის საქმიდამ ჩანს – ხსენებული კანცელარიის საქმეები დღეს ქუთაისის გუბერნიის სამმართველოში ინახება, – 1851 წელს სამეგრელოში სიმინდი ნაკლებ მოსულა და დავით დადიანს კაცები გაუგზავნია სათათრეთში სიმინდის მოსატანად.

იმ ქვეყანაში, სადაც არც გზები იყო, არც არხები, არც ფაბრიკები და არც ქარხნები, დადიანისათვის ცხადი იყო, რომ სამთავროს მკვიდრთა წინ-წაწევა კეთილდღეობისადმი შეეძლო მხოლოდ მიწის მუშაობას და მთავარმა ამ მიწის მუშაობას მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება.

შემოიღო სამეგრელოში კომბოსტოს თესვა და კარტოფილის მოწევა.

კუბიდამ მოაყვანია მცოდნე კაცები და სენაკის მიდამოში დააწყებინა ენდროს პლანტაცია.

აბასთუმანში გააშენებია ზეთის-ხილი.

ხელი მიჰყო სამთავროში თუთის ხეების გაშენებას და 1850 წელს ზუგდიდში ააშენებია აბრეშუმის ამოსახვევი ფაბრიკა.

გამოაწერია კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საშუალებით სამი ამერიკული გუთანი.

ცდილობდა კარგი ჯიშის ხარი და ძროხა გაემრავლებია სამთავროში.

ერთს შესანიშნავ **"უსტარში"**, რომელიც არის შედგენილი 1852 წელს და გადასწორებული თითონ დავით დადიანის ხელით, არის აწერილი დაწვრილებით, თუ რა მოიწეოდა სამეგრელოში მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. ეს **"უსტარი"** არის დაწერილი 1852 წელს პასუხად თავად ბებუთოვის წერილისა. 28 დეკემბერს 1951 წელს ბებუთოვი სთხოვდა სამეგრელოს მთავარს – გაეგზავნა **"რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოებისათვის"** სამეგრელოს მოსავლის და ვაჭრობის აღწერილობა, რომელიც ამ საზოგადოებას უნდა მოექცია რუსეთის ვაჭრობის აღწერილობაში.

ამ წერილის პასუხში, აი, რა გვარად არის აღწერილი სამეგრელოს მიწის მეურნეობა:

"ღომი: ძველთა ჟამთა შინა, უხსოვარის დროიდგან სამეგრელოს სამთავროსა შინა მიღებულ არს თესვა ღომისა; ამას სთესენ სიხშირით და ხმარობენ პურის წილ, ხოლო გარემოებასაცა შინა სყიდიან მებრ-საჭიროებიასათა, აფხაზეთს, გურიას და იმერეთს. რიცხვი გასასყიდელთა რაოდენობისა მიზეზის გამო ცნობასა არ მოყვანილებისასა შეუძლებელ არს, ხოლო ნაყოფი ესე არს სიუხვით მომცენარე და თავსა შორის თვისსა ხუთასჯერ მამრავლი.

ღომის ჩალასა თივისა წილ ხმარობენ საზამთრო საკვებად უსიტყვოსათა და ყანასა მარგვლენ მცხოვრებნი თოხითა ორგზის, ვიდრემდე მოიკრიფებოდეს. ტომი ღომისა ორგვარობენ: ერთი ზედ იწოდების მოცოროზათ. ესე მოცოროზი არს საადრეო, გარნა უმცირესსა ნაყოფისა გამომღებელ, ხოლო მეორე ღომი მოგვიანებო, რომელი ოქტომბერში მოიწევის განაღა უუხვესი და ითესების ივნისის განსაშვალებადე.

სიმინდი. სიმინდისა თესვა სამეგრელოსა შინა, ვითა მასმიეს მოხუცებულთაგან, იქნების ოთხმოცდა-ხუთი წელი რაც შემოუღიეს დუნაიას სამფლობელოთაგან *(ამრიგად, სიმინდის თესვა უნდა იყოს შემოღებული სამეგრელოში 1767 წელს. მაგრამ ეს ასე არ არის. იტალიის მისიონერი ლამბერტი, რომელმაც 1633 წლამდე – 18 წელი იცხოვრა სამეგრელოში, წერს თავის სამეგრელოს აღწერაში:* ***"პირველს წელიწადს აქ სთესენ ღომს, მეორეს სიმინდს და მესამეს პურს"*** *ნახე ალ. ჭყონიას გამოცემა, გვ. 58. მაშასადამე, სიმინდი სამეგრელოში 134 წლით ადრე იყო ცნობილი)*, რომელიც მოზავებისა ძალით ავასა და ნოტიოსა შინა უგამძლისობითსა და კაკალთა სიუხვისა ჟამად-ჟამად განუვრცელებიათ მცხოვრებთა მოწევა მისი და აწ გარეშე იმისა რომელ ზოგად იზრდებიან ამა ნაყოფითა, რომელსაც აცხობენ პურსავით და აგრეთვე ღომებრცა შებოლვენ. ჟამსა კეთილ ნაყოფიერებისასა საზღვარგარეთსა სათათრეთში ჰყიდიან, რაისაცა რაოდენობა არა ეგრეთ ცნობილი არს ესთავე მეზობელთა ქვეყნებთა ქველყოფენ მიხედვისამებრ მუნ შინათა მოსავლისა და მათ შორის საჭიროებათასა, ნაყოფი ესე თავისა შორის თვისსა მიხედვისამებრ პოხიერისა აგარაკისა, გინა მწირისა ერგასისგან ვიდრე ორასამდე თავისა შორის თვისისა გამომღებლობით მამრავლობელ არიედ: ყანისა გამარგვლიილობასა სამგზის მოითხოვს – ესე მცენარე მოიწევის დამლევ ეკენისთვიდან ოქტომბრის შვამდის და მაშვინ მოსტეხენ ხოლო ნაქრცველთა უნახავენ საზამთრო საკვებად ძროხათა და თხათა და აგრეთვე ჩალასა და სიმინდისასა მოსჭრიან ესე ვითარცა თვის საჭირო სახმეველთა: მსუხე ადგილთა შინა აღიზრდების ესეოდენ სიმაღლეზედ რომელ ცხენოსანი კაცი ჩალასა შორის ვერ გამოჩნდების, ხოლო ოთხსა და ხუთსაცა ტაროსა გამოიღებს თითოეული ლერწამი და არს ორგვარი: ერთი საგვიანო და უხვად გამომცენარე მოყვითანო, მეორე თეთრი პაწაწა ტარო, გარნა ორმოცს დღეზედ მოიწევის დათესვის შემდეგ.

პური: იფქლსა და პირად პირადთა ხორბალთა სთესენ მხოლოდ ზემო მეგრელიისა შინა მხარესა, რომელსა ეწოდების ლეჩხუმი, რამეთუ ქვეყანასა მენგრელიის ქვეყნებთა ადგილებს იფქლსა ძნიადრე და ვერა მარადის მოიყვანენ რამეთუ სინოტიისა ძალით კერძო – ესე ექვემდებარება გაზაფხულის წვიმიერობასა და წყალდიდობას, ესთა რა მზე მოიქცევა გაზაფხულისა იწყებს ხშირთა წვიმათა ადიდროვდებიან მდინარენი და ლანქერი ჩამომავალნი მათთაგან საშინელისა ოხვრითა ჩამოედინებიან მიდამოთა ველთა ზედა და მორწყავენ ყოველთა ვაკეთა, ხოლო მთის კალთისა ფერდობთა ჩამორეცხენ და მოხვეტს. ესე გაგრძელდების უხშირესათ მარტის ცხრიდან მაისის შვამდე. ამისთვის მცხოვრებნი შემდგომად გაზაფხულის წვიმებისა რაც ჩამოიდინებიან ლანქერი, დასთესვენ სიმინდს ვიდრე ათ ივნისამდე და ღომს პირველ რიცხვს ივლისამდე, რომელიც აროღა უკვე ქვეემდებარებიან შიშსა წალანქერვისასა გარნა ზემოსა სამეგრელოსა ლეჩხუმისა მდებარეობა ესე ვითარცა არს, რომელ არც ეგოდენ ხშირად წვიმს როგორცა ქვემოსა მეგრელიასა ოდიშს და არცა მდინარენი ჟამსა სდიდროებისა გარდივლენ, რამეთუ აქვს დივილნი ლოდნაროვანსა შორის კალაპოტსა. ქვემოსა მეგრელიასა ოდიშს რამოდენიმე ითესვის იფქლი, განა სხვა ხორბალი ზემოთქმულთა მიზეზთა გამო უხშირესათ შორს ვერ გამოიტანენ აღდგინებსა ნაშრომთასა ხოლო ზემოსა მეგრელიასა ლეჩხუმს ითესებიან ხორბალი შემდგომისა ტომისანი: ა) იფქლი, ბ) მახა, გ) ზანდური, დ) ხულუგო, ე) ქუბა. იფქლი მისცემს ხუთგზის სიმრავლით და ითესების შემოდგომაზედ, მახა ითესების სემოდგომაზედ და ერთი სამად ნაყოფიერ არს მსგავსად ფქვილისა, ფქვილი მისი არს სპეტაკი, მარცვალი მსხვილი და მოკლე და არ მომკიან მას არამედ მოსჭრიან ხუვლსა და კოროლსა მისსა ხმარობენ დასახურავათ სახლთა და საბძელთა ხოლო უადრეს იფქლისა მოიწევის და არ გაერევნის მავნებელი ვიდა იგი ღვარძლი და მსგავსნი. ზანდური ითესვის მარტში გაიზრდების სიმაღლით ვიდრე ორ ალაბ ნახევარი, თავი აქვს მობრტყელო, მოიწევა აგვისტოში, მოკრეფენ მახასაებრ და ნაყოფიერობს ერთი ოთხათ. ხულუგოს სთესაბენ მარტში, მარცვალი აქვს სხვილი, გალეწავენ იფქლსავით, მოსავალი აქვს ერთი ხუთად და ოდეს ცუდი ზამთარის ძალით იფქლის მოსავალი დაზარალდება, მაშვინ უმეტეს დასთესავენ მარტის თვეში, გარნა უხმს-ყე ფრიადი სიმკაცრე და დარაჯი რამეთუ დათვს მწიფეთ უყვარს და სჭამს მას. ქუბა, რომელ არს არჟანოი. ქუბასა სთესენ სამეგრელოსა სამთავროსა სვანეთსა, აქვს ნაყოფი მომცემლობა უხვი ვითა ერთი ათათ, თავი მსხვილი და მოგრძო და არს შავი ფქვილი მისი, ამისათვის სთესავენ მრავალსა. არა უწყებულ არს რიცხვი თუ რაოდენ ისყიდება, ხოლო სყიდიან იმერეთში და უმეტეს რაჭაში და ზემო სვანეთსაც სიმრავლით გააქვს. ქერსა სთესავენ ზემო მეგრელიასა შინა ლეჩხუმსავე და უხვს თავსა შორის თვისსა ერთს ათ თხუთმეტამდე, სყიდიან რაჭასა და სვანეთში".

(გაგრძელება იქნება)

## ილია მეორე: „საქართველო და რუსეთი მტრებად ვერ დარჩებიან"

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია მეორეს განცხადებით, **„საქართველო და რუსეთი მტრებად ვერ დარჩებიან"**.

როგორც პატრიარქმა **„ეხო მოსკვის"** ეთერში განაცხადა, **„საქართველო კვლავინდებურად ღრმა პატივისცემითაა განწყობილი რუსეთისადმი, მისი კულტურის, ისტორიისა და ფილოსოფიისადმი"**.

**„ვფიქრობ, რუს ხალხსაც ახსოვს საქართველო. ცოტა ხნის წინ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა მითხრა – ჩვენ აფხაზეთი არ გვჭირდებაო. მადლობა ღმერთს, რომ ის არ არის საჭირო. ნუთუ შეიძლება, აფხაზეთი საქართველოზე გაცვალო?! საერთოდ, რატომ უნდა გააკეთო ეს? ჩვენ რა, რუსებს აფხაზეთში ან საქართველოში არ ვუშვებდით?!"** – ბრძანა პატრიარქმა.

მისივე თქმით, **„ჭკვიანი ადამიანები ამბობენ, რომ ჩიხიდან, სულ ცოტა, ორი გამოსავალი არსებობს"**.

**„ეს გამოსავალი უნდა ვეძებოთ, რადგან მტრებად ვერ დავრჩებით – ეს არაბუნებრივია საქართველოსა და რუსეთისთვის. როგორი ახლობლებიც ვიყავით ერთმანეთისთვის, ისეთივე უნდა დავრჩეთ. ძალიან მტკივა. ადამიანები არაერთგზის გამოხატავენ საკუთარ ტკივილს იმასთან დაკავშირებით, რომ 200 წლის განმავლობაში რუსეთმა ქართველი ხალხის სიკეთის დანახვა ვერ შეძლო, ვერ შეძლო იმ პატივისცემისა და სიყვარულის დანახვა, რომელსაც ქართველი ხალხი რუსეთისადმი, მისი კულტურისა და ისტორიისადმი იჩენდა. თუმცა ვფიქრობ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ვენდობით ერთმანეთს და პატივს ვცემთ"**, – განაცხადა ილია მეორემ.

**გრიგოლ ორბელიანი**

## მისი სახელი კიცხვითა...

საბაბაჩიო ჸოროფა

თიში სახელი საყალოთ
ირი შვანს იშინუდასი,–
საბაბაჩიო ჸოროფა
მამულშო ვაგინუდასი,
უსაშველოთი გოქანჩილს
უგურეთ უჯინედასი,
თიშ დამრსხებელო სიცოცხლე
მუშისუ იზოგენდასი.
ტერსი ლაბაშათ ერჩიფილს
მით ჰამას ვაჸიშენდასი,
დო კუსაფიში გერჩქილათ
ვახიოლ, ვაჰამენდასი.
მუ სანარტო რე დორინა
ვაითუ მუშნაულასი,
იალუ შვანშა უთურიშ
უღუსი ათაშქვიდასი?
აუჯგუშუაფ ღურან იქ –
შუროთი ვადეარსასი.
თეცალ ფურბედიქ აჭარუნ
ბორჯო დო ანაწერობათ,
მისუთ ნუგეში რინაში
ვასკილად ართ ენცერობათ,
დო, დუდშულობაშ იალონს
ვემიელ გამკურჩქინდასი. –
ვავა ქიანა-მუხურშენ,
ძალფალო თიშ დადიასი:
ყამა რჯულს მუნოხუნელი
კანონეფს გუჸონანდასი.

**გრიგოლ ორბელიანი**

## მუხამბაზი: ნუ მასმევ ღვინოს

ეშხით შუმილი

მა სქან ეშხით, შუმილი თეშით,–
ღვინ ვადმანძალე,
გემეთამამებ, გეკუოლუ
ნინას სანწალე.
თესხი ხანს გურ ჩქიმს სალამუსოთ
ალაჩუალირს,
სქან გოჸოროფის, უიმენდოთ
ეკოთქუალირს,
გილანძგერა დო ჩილამურიშ
თი გილათქვარშალს,
გინოკინაშა, ნინა ირფელს
ქოთქუანს მორტალს.
მა სქან ეშხით, შუმილ თეშით,
–
ღვინ ვადმანძალე.
გურ უდუჯერიშ დუმარჩქალეთ
ჭიჭე გონება
მა ასქილადირ დო თიშ გოკოსი დარუმება,
სქანი სისქვამეთ, ქიჸ უაფდა,
იშ გაჭკორება,
ართ მუკოჯინა გურჸ უჯულით
გაჸოროფება
იჸუაფ, გიჩქუ, იშენ ყანწის
ძიცინით მარზე.
ვაჰ, თე ღვინი დო ეშხი სქან შქას
მა ვაგუარზე?
მა სქან ესხით, შუმილ თეშით,
–
ღვინ ვადმანძალე.
რახანს ვათმე ჩქიმ ოღურალო
მოკორინს სქან თის,
დო ჯილდოგამე ვარდით, მუჟანს
მიშაბხუხ ყანწის,
თიშ მანგიორო შურ ქუნთხუენ
პეულს სქან ღვაში?
იწკმა ხიოლით ემახუხუ
გვალო ღურაში.
მუშ მოკო ღვინი, ვაიწიდა:
ბწანქ შუმილ ეშხით.
ღვინს ნუ მანძალე, ეშხს
ვაბრალე,
ხუხილი თეშით.
მა სქან ეშხით, შუმილ თეშით,
–
ღვინ ვადმანძალე.
მინშახ, ძიცინით ეშხიშ ეფშა
მა გიცქვირინა,
ნუშიშ პეული გინგორჩ ღვალეფს,–
თეშ გიღვიფინა,
დო, მუმეკორნებ გოვჯუნენი
მა თინწკმა თინა.
ძალაქ თვინაშიქ გიშამილუ,
გოკონო პილენ,
ჩინებაქ მემდინ, ეშხშე ფხანგე,
ჰა, გომირჩქილენ...
მა სქან ეშხით, შუმილ თეშით,
–
ღვინ ვადმანძალე.

**რაფიელ ერისთავი**

## სამშობლო ხევსურისა

სადაბადო ხევსურიში

სოდეთ ჭვირთი ემიჸოთამ,
ებრჩქინდი დოო ეიბრდინი,
მოგულ იალუშ ფიცარე,
თურ სასაფლეფს გივარჩხინი,
ჩქიმ თინა რე სადაბადო,
ლულვობაშე დიბრჩქვანინი.
სალი კირდეს ვაგოფთირა
უღურობაში ჯაშა,
სადაბადოს, სამოთხეშა
ქიანაში ემერ შხვაშშა.
მა მისხუნუ კირდე უჩა
თი თირამი, თი ჸინამი,
საარწივე, გიმენთქილიშ
წყუ ჩქარ ბროილ, ხვეხვეჩამი,
ა, ჯიხვი დო რინტუ ემობაღ,
ხორცი უღუ ჯიმუამი.
სალი კირდეს ვაგობთირა
უღურობაში ჯაშა,
სადაბადოს, სამოთხეშა
ქიანაში ემერ შხვაშშა.
თუდო ვე-რზენს გივლაჸაფდე,
შურ გვალაშა გელმენტებუ,
შალი კირდე ოხვით, გურსით
გვალაჸურე ეხუჯებუ,
თექ მისხუნუ დღაშ დალია,
ვე-რზენს რინა ინწარებუ.
სალი კირდეს ვაგობთირა
უღურობაში ჯაშა,
სადაბადოს, სამოთხეშა
ქიანაში ემერ შხვაშშა.
ვე-რზენს მუჩე, დიდებეფი,
უთვალ მაქონებდასუნი,
ხორია დო ორქოშ ოხვენჯ,
ახამ ნიშეფ პჸუნდასუნი?
ვებკორინა მა ენეფი,
დუდქი ვადომღურასუნი.
სალი კირდეს ვაგობთირა
უღურობაში ჯაშა,
სადაბადოს, სამოთხეშა
ქიანაში ემერ შხვაშშა.
სადაბადო, ნანინაში
ძუძუ, შხვაშა ვაგითირე,
ჟირიხოლო მოგემუან,
თოლეფ ცალო ველითირე,
სადაბადოც იანთარუ,
ქიანასი ხომ ართი რე?
სალი კირდეს ვაგობთირა
უღურობაში ჯაშა,
სადაბადოს, სამოთხეშა
ქიანაში ემერ შხვაშშა.

(მეგრული თარგმანების ავტორი
– ეპისკოპოსი ბენედიქტე
(ბეჟითი ჯალაღონია)

# მე მართლაც მრცხვენია, რომ ქართველი ვარ!!!

### (ქართველის სირცხვილი საქართველოში მცხოვრები და საქართველოს გულშემატკივარი ყველა სომეხის სირცხვილიცაა)

ჩვენი დღევანდელი ყოფის შემხედვარეს სინანული მიპყრობს და ხშირად ამეკვიატება ხოლმე **"მკრეხელური"** აზრი: ნუთუ ქართველები ასეთი უსუსურები ვიყავით ყოველთვის, ნუთუ ყოველთვის ასეთ საშინელ შეურაცხყოფას გვაყენებდა გადამთიელი და ამას მონური მორჩილებით ვიტანდით, ნუთუ ვიღაც მუდამ მოგვდევდა ყალამითა და ეტრატით და რეალურად სამარცხვინო ისტორიას გვილამაზებდა?..

მაგრამ, ხომ იყო დიდგორი და ბასიანი, ხომ იყვნენ დავითი, კონსტანტინე, ცოტნე, თევდორე ხუცესი (და სომხის მღვდელი სააკაშვილი), გიორგი სააკაძე, 300 არაგველი, მეფე ერეკლე, პროფესორი ჟორდანია...

უცხოტომელთათვისაც ხშირად გვიბოძებია ქართველი მამულიშვილები, მათი სახელმწიფოსა და მემკვიდრეობითი გენის გასაგრძელებლად: ოსმალებისათვის – მათი სახელმწიფოს აღორძინების ქვაკუთხედად ქცეული ლაზები, სპარსელებისათვის – უნდილაძეები და ფერეიდანელი ქართველები, ეგვიპელებისათვის – მამელუქები, ბურებისათვის – ნიკო ბაგრატიონი, პოლონეთისათვის – გრიგოლ ფერაძე, იტალიელებისათვის – ფორე მოსულიშვილი, ამერიკისათვის – გიორგი ქართველიშვილი, რუსეთისათვის – ალექსანდრე ბატონიშვილი, პეტრე ბაგრატიონი, იოსებ სტალინი, ლავრენტი ბერია...

ალბათ, ერთი წიგნი არ გვეყოფა იმ ქართველთა ჩამოსათვლელად, უცხოთა თესლსა და ქვეყანას რომ აძლიერებდნენ და მათთვის თავს დებდნენ!

და რაც მთავარია, ისინი თავდაუზოგავად იბრძოდნენ იმ სახელმწიფოს მტრების წინააღმდეგ, რომელსაც თუნდაც დროებით თავის სამშობლოდ აღიარებდნენ. იმიტომ, რომ ვერ ეგუებოდნენ ძალმომრეობას, უზნეობას და უსამართლობას!

არსად, არცერთ მათგანს არშინიანი ჯოხი არ აუღია ხელში და არ უვაჭრია პირადი სარფისათვის. შიმშილით დაიხოცებოდნენ, მაგრამ მათხოვრობასა და ვაჭრობას არ იკადრებდნენ.

მათ მხოლოდ ხმლები ეპყრათ ხელთ!

სწორედ ამიტომ შურთ ჩვენი იმ ხალხებს, რომელთაც მხოლოდ ეშმაკობითა და მზაკვრობით დაამახსოვრეს თავი კაცობრიობას. ჩვენ მრავალგზის მოგვიწოდებია თქვენთვის ძველი თუ ახალი თაობის ისტორიკოსთა გამონათქვამები ამ ერების არც მთლად ღირსეული წარმომადგენლებზე, და ამიტომ, აღნიშნულზე აღარ გავჩერდებით!

რატომ არ ვიზიარებთ ამ მიუკერძოებელ ისტორიკოსთა აზრს? რატომ ვეძებთ არარსებულ სიკეთეს მტრის დამოკიდებულებაში? რა დაგვემართა, ასეთი რა ბანგი დაგვალევინეს მოყვარედ შემოთესლილმა მტრებმა, რომ მთელი ქართველი ერი გათანგულა, საკუთარი თავის საშველად ხელი ვერ გაუტოკებია, საპროტესტო ხმა ჩახშობია და თავდახრილი ელოდება აღსასრულს!..

დღეს მთელი მსოფლიო ცდილობს გადაარჩინოს თახვი, წაულა, პინგვინი, მარტორქა, კენგურუ, მაწანწალა ძაღლები და კატები, თევზები, ქვეწარმავლები...

საქართველოს ხელისუფლება კი ყოველნაირად ცდილობენ გაანადგუროს და ისტორიის არქივთა კუთვნილებად აქციოს ქართველი ერი – ამოგვიშალეს პირადობის მოწმობებიდან ეროვნებისა და მამის სახელის მიმანიშნებელი გრაფა, ახლა გვარებს შეგვიმოკლებენ, შემდეგ ალბათ საიდენტიფიკაციო ნომრებს მოგვაკუთვნებენ, საქართველოს არაქართველებით გადაავსებენ და ეჭვის ქვეშ დააყენებენ ჩვენს ისედაც გაჭირვებულ ყოფას!

ამის ჟინი არ ეყოფათ თუ ჩვენდამი პატივისცემა და სიყვარული შეაჩერებთ?

მაგრამ, მიუხედავად ქართული საზოგადოების ინდეფერენტულობისა, მათ თავზე დატეხილი რისხვისადმი, არა მგონია ჩვენი მტრების თუნდაც რამდენიმე თაობამ საწადელს მიაღწიოს! მაგრამ, ისიც ხომ გაგიგიათ: **„ზღვა კოვზით დაილიაო"!**

ვერც საქართველო გაუძლებს ასეთ დაწოლას!

მაგას მირჩევნია მართლაც თახვად, წაულად ან მინდვრის თაგვად ვიქცე!

არა და, ქართველების პირისაგან მიწისა აღგვის შემდეგ უკვე ძნელი იქნება იმის მტკიცება, რომ **"მრავალჟამიერი"** და **"ჩაკრულო"** ქართული ხალხური სიმღერაა და იგი ყოველთვის შრომისა და ბრძოლისაგან გადაქანცული ქართველი კაცის სულიერებისა და ფიზიკური ძალის ამაღორძინებელი ჰიმნი იყო, რომ მესროპ მაშთოცმა კი არ შექმნა ქართული ანბანი (რასაც ურცხვად ამტკიცებს ინგლისში გამოცემული ერთ-ერთი ენციკლოპედია), არამედ, სწორედ სომხებმა მიითვისეს კოლხურ ცივილიზაციაზე დაფუძნებული ქართული ანბანი და უკანონოდ დაესაკუთრნენ მას!

განა არაერთგზის არ გამოაშკარავებულა, რომ **„ქართული რელიგიური ძეგლების სომხური წარმომავლობა"** დასტურდება ისეთივე ყალბად გამოჩორკნილი ქვებით, რომლითაც თურმე მტკიცდება, რომ ერევანი 2.750 წლისაა (იმ წლებში რომს 2.700 წელი შეუსრულდა და ჩვენმა მეზობლებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ ერევანი რომზე უძველესი ქალაქიაო), მაშინ, როცა ჰეროდოტე კავკასიის სივრცეში მხოლოდ კოლხების ცივილურ ცხოვრებას ადასტურებს და არც ტექსტებსა და არც რუქებში სხვა ქვეყნები არსად არ ჰყავს მოხსენებული.

ამიტომ არ უყვართ სომეხ ისტორიკოსებს ჰეროდოტე, ამიტომ არ უყვართ მათ ქართველები! და კიდევ იმიტომ არ უყვართ მართლმადიდებელი ქართველები და ზოგადად მართლმადიდებლობა, რომ, როგორც დიდი რუსი პუბლიცისტი ვასილ ველიჩკო ამტკიცებს, მათი მონოფიზიტური რელიგია მწვალებლურია!

თქვენ კი ამბობთ, სააკაშვილმა პატრიარქის ღაღადისი არად ჩააგდოო! რა გასაკვირია, რომ ადამიანმა თავისი რელიგიის მიერ მტრად აღიარებულ სხვა სარწმუნოების საჭეთმპყრობელს არ დაუჯეროს?

მე პარლამენტში მოკალათებულ იმ ქართველებზე მტკივა გული, რომლებმაც **"არა იციან, რასა იქმენ"...**

და კიდევ, მსურს ჩემი მოკრძალება და პატივისცემა გამოვხატო იმ **"ნაციონალების"** მიმართ, რომლებმა მონაწილეობა არ მიიღეს ამ სამარცხვინო კენჭისყრაში და გულწრფელი ბოდიში მოვუხადო, თუკი ოდესმე თუნდაც უნებლიედ მიმიყენებია მათთვის გულისტკივილი.

სულიერებით და კულტურით სხვებზე მდიდრები რომ ვართ, ამიტომაც ეტანებიან დაურიდებლად ყოველივე ქართულს – დაწყებული ჩურჩხელით, ხვანჭკარით, შოთი პურით, საფერავითა და ხაჭაპურით და დამთავრებული მრავალხმიანი ქართული სიმღერითა და უძველესი ქართული ანბანით! სწორედ ამან გადააქცია ამ ერის რეაქციული ნაწილი მოროდიორად, რასაც ერთხმად აღნიშნავდნენ შორეული თუ ახლო წარსულის ისტორიკოსები, მოგზაურები და მკვლევარები!

ერთადერთი, რაშიც ვერავინ გვედავება – მართლმადიდებლობაა, განსაკუთრებით მონოფიზიტები, რადგან ისინი ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოებისაგან შორს დგანან, ვიდრე სხვა აღმსარებლობის წარმომადგენლები. ამის დასტურია სომხური ეკლესიის მიერ წმინდანად აღიარებული კათალიკოს ოვანეს IV-ის მიერ, მე-5 საუკუნეში, მთელი საქრისტიანოს ანათემაზე გადაცემა, და ეს წყევლა ეჩმიაძინს ჯერ კიდევ არ მოუხსნია! ამიტომ ვერ იჩემებენ სომხები მართლმადიდებლობის პიონერობას და საგულდაგულოდ მალავენ, რომ ეჩმიაძინი მათ ჭეშმარიტ ქრისტიანებთან დამოყვრებას და მათთან ყოველნაირ საქმიან კონტაქტებს უკრძალავს, გარდა ვაჭრობისა.

ვაჭართან ვაჭრობა კი იმას ნიშნავს, რომ ყოველთვის მოტყუებული დარჩები!

და ასეთი ეკლესია იჩემებს ქართულ ეკლესიებსა და რელიგიური კულტურის ძეგლებს!

ეს მათ მხოლოდ იმის საბუთად სჭირდებათ, რომ თავიანთი ისტორიული ყოფა დაამტკიცონ ქართველების სისხლით გაჟღენთილ და ჩვენი წინაპრების ძვლებით მოფენილ ქართულ მიწაზე, როგორც ეს ჯავახეთში მოხდა. **„დაშნაკებს"** ეზიზღებათ ჭეშმარიტება, რადგან ისტორიული სინამდვილე აშიშვლებს მათ და რეალური სახით წარუდგენს მსოფლიოს საზოგადოებრიობას.

და ქართველები ამას ვეგუებით! ვეგუებით იმას, რასაც არ ეგუებიან მუსულმანები და თუნდაც რუსები, რომელთაც 2004 წელს ჭკუა ასწავლეს კრასნოდარელ სომხებს იმის მტკიცების სანაცვლოდ, რომ **"დიდი სომხეთი"** არარატიდან ვორონეჟამდე იყო გადაჭიმულიო!

მე კი ამ წერილს როცა ვწერ, სინანულის განცდა მიწევს იმიტომ, რომ სომეხი მეგობრები მყავს, რომლებიც მართლაც ჩემნაირად არიან შეყვარებული საქართველოზე და ამიტომაც არ მინდა, რომ ეს სტრიქონები წაიკითხონ. აი, ეს გახლავთ ტოლერანტობა!

არ მინდა, მათ გული აიყარონ იმ ქართველობაზე, რომელმაც სხვა სომხებისაგან განსხვავებით გაუჩინა ნოსტალგიის განცდა, რაც თავისთავად მამულისადმი რიდსა და სიყვარულს ნიშნავს!

ამას წინათ ერთმა სოლოლაკელმა სომეხმა მეგობარმა გენომ მითხრა: **"ქართველებზე უარესი გავხდი, მოსკოვში დიდი ხნის უნახავ შვილებთან რომ ჩავდივარ, სამი დღის შემდეგ ველარ ვისვენებ, გული თბილისისაკენ მომიწევს, ვერ გამიგია, როგორ ძლებენ იქ ქართველები თვეობითა და წლობით..."**

და ამას ამბობს არა იმიტომ, რომ **"თბილისი სომხური ქალაქია"**, არამედ იმიტომ, რომ ან **"ოდაბადეს"** სიყვარული ისწავლა ჩვენგან.

ჩვენ ძალიან კარგად ვიცოდით, თუ რა ცოდვის კალოს ატრიალებდნენ აფხაზეთში ავადსახსენებელი ბაგრამიანი სახელობის ბატალიონის წევრები, მაგრამ, მაშინ ქართველთა რიგებშიც იბრძოდნენ და დაიღუპნენ სომხები, და სწორედ მათი ხსოვნისადმი ღრმა პატივისცემა იყო იმის მიზეზი, რომ **„ბაგრამიანელთა"** მტრობა და სისასტიკე უმალ დავივიწყეთ და სატისფაქცია არ მოვთხოვეთ სომხებს აფხაზეთში დაღვრილი ქართული სისხლის სანაცვლოდ.

განა ეს არ არის ტოლერანტობა და მოყვასის ამაგის დაფასება?

ამიტომ არ მინდა, რომ ეს წერილი წაიკითხონ სოლოლაკელმა გენომ, ერიკ ახსახალიანმა, რომელსაც ზღვა ამაგი უდევს ქართული წიგნის გამოცემის საქმეში, ჩემმა აღზრდილმა არმენ ტონოიანმა, რომელსაც საქართველოს საყვედურს ვერავინ გაუბედავს და იმ ავლაბრელი ალბერტას მშობლებმა (რომლის თაობაზეც მე წერილი გამოვაქვეყნე **"ილორში"**), რომელიც აფხაზეთში დაიღუპა და თბილისში ჩამოსვენება არ ეღირსა. და თუ მაინც წაიკითხავენ, წინასწარ მინდა ბოდიში მოვუხადო მათ ამ სიბრაზემორეული სტრიქონებისათვის (ისე კი, სასურველია, ეს სტრიქონები ბაიბურთმაც წაიკითხოს, რომელიც ახლა ბუჩქებშია მიმალული მისთვის რაღაც **"სასიამოვნოს"** მოლოდინში)!

ალბათ თქვენს ნათესავ-მეგობრებს შორისაც მოიძებნებიან ასეთი (მაგრამ არა – ვან ბაიბურთისნაირი) სომხები!

მაგრამ ისიც ფაქტია – **ძაღლმა ყეფა არ იცოდა, ადამიანებმა ასწავლეს!**

ამიტომ, საქართველოს მოჭირნახულე სომხებმაც უნდა შეუძახონ იმ სიხარბემორეულ სომხებს, რომელთაც სხვისი და საკუთარის გარჩევა უჭირთ და ხელჩოსავით მუდამ თავისკენ მიითლიან.

უნდა უთხრან, რომ ეს ანგრევს ჩვენს მრავალსაუკუნოვან ძმობას და თანადგომას!

სხვა (სლავები, ლათინები, მონღოლოიდები, ზანგები...) ხალხებისაგან განსხვავებით ჩვენ ობოლი ერი ვართ, არასდროს არავის იმედი გვქონია და მხოლოდ ერთმანეთის მხარდამხარ ვიკვლევდით გზას ისტორიის ხიფათიან ლაბირინთებში. ახლა კი რა ღმერთი გაგვიწყრა, რატომ ვერ ვეტევით იმ მიწაზე, რომელიც უფალმა მოგვიზომა საარსებოდ?

ქართველებს ხომ ვერც სომეხი და ვერც სხვა ერის წარმომადგენელი ვერ გვასწავლის მეზობლისა და მოყვასის სიყვარულს!

ჩვენ ვერც მტრობასა და სიძულვის გვასწავლის ვერავინ, თუ მისი ამოხეთქვა გახდება საჭირო. მაგრამ ჩვენგან არასოდეს წამოვა ზიზღი, რომელიც ვინმეს გენოციდის საფრთხის წინაშე დააყენებს! ამან კი არავინ უნდა გაათამამოს...

ჩვენ არასოდეს გვიამაყია იმით, რომ ოდესღაც ვიღაცას ჩვენი ეშინოდა. ჩვენ ის უფრო გვიხაროდა, როცა გვუყვარდით და პატივს გვცემდნენ. განა ეს არ უნდა იყოს სამაგალითო სხვა ხალხებისათვის?

ქართველებს ხომ მხოლოდ ვაჟკაცობამ, სიყვარულმა და ტოლერანტობამ გადაგვალახინა მრავალი ისტორიული განსაცდელი და მოგვიყვანა დღემდე!

დღეს კი რა გვემართება? რატომ ვითმენთ იმას, რომ ჩვენ თვალწინ, დაურიდებლად, მოყვარის ქურქმოსხმული მგელი გვინადგურებს **"ენას, მამულს და სარწმუნოებას"**, ჩვენ კი საღათას ძილიდან ვერ გამოვრკვეულვართ და ქართველების ხელითვე ვსპობთ ქართველებში პროტესტის გრძნობას?

რა გვაჭამეს, ან რა დაგვალევინეს ასეთი?

რატომ არ ვიღებთ ხმას მაშინ, როცა ერეტიკოსები დაუნდობლად ეჯაჯგურებიან მართლმადიდებლურ ეკლესიას, თუნდაც იმ სამარცხვინო კანონით, რომელიც ფაცხაფუცხით მიიღო საქართველოს პარლამენტმა ახლახან და მალულად და მზაკვრულად მოაწერა ხელი პრეზიდენტმა, ისე, რომ (უფალი მომიტევებს), არად ჩააგდო უწმინდესისა და უნეტარესის ღაღადისი?

ჩვენ ხომ ვიცით, რომ ამას ბოროტად გამოიყენებენ ქართველების წინააღმდეგ ეთნიკურად და რელიგიურად ფლიბუსტიერებად ქცეული **„დაშნაკები"**!

რა გაგვაჩნია ჩვენ, მართლმადიდებლობის გარდა? არაფერი და ამიტომაც გვიქციეს წინაპრებმა ერთ განუყოფელ მცნებად **"ქართველობა და ქრისტიანობა"**!

ისიც ფაქტია – რელიგია საქართველოში სწორედ მაშინ ძლიერდებოდა, როცა იგი იდევნებოდა!

დღეს მართლმადიდებლური იდეა აშკარად იდევნება და ითრგუნება საქართველოში, ხელისუფლების მხარდაჭერით!

**"ტყუილად ცდილობთ, ღორებო, ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა!"** – სიკვდილისადმი ზვიადაურის ამგვარი ირონიული დამოკიდებულება ვაჟას უკვდავი შემოქმედების მხოლოდ ლიტერატურული პასაჟი კი არ არის, იგი ქართველი ერის გენეტიკური კოდია, რომელიც აზრს უკარგავს რწმენასა და ქართველობას ატლანტად შემდგარი ზნემაღალი ქართველი ვაჟკაცის ფიზიკურ არყოფნის გარდაუვალობას. სწორედ ვაჟასეულმა ზვიადაურმა უნდა გაიღვიძოს დღეს თითოეულ ქართველში, რათა საბოლოოდ შევაგნებინოთ საქართველოს ხელისუფალს და სხვა რელიგიურ მოძალადეებს – რწყილი მუხას ვერაფერს დააკლებს, მხოლოდ რამდენიმე ფოთოლს თუ შემოახიხნის!

ჯერ იეღოველები და სხვა ანტიქრისტესეული სექტები შემოგვასიეს ბოკერია-დარჩიაშვილ-რამიშვილ-თუთბერიძე-თევზაძე-სოროსელებმა, მეჩეთებისა და მინარეთების ტყე აღმართეს საქართველოში, სინაგოგები და სომხური ეკლესიები აღადგინეს (თავისთავად ეს ყველაფერი მისასალმებელია), ჩვენი ეკლესია-სალოცავების კარები კი სატვირთო მანქანებით შეანგრიეს, სულიერ მოძღვარს ღირსება აჰყარეს და ტელემაყურებელთა თვალწინ დააპატიმრეს, მის დასაცავად მისულ მრევლს ხელჯოხებით სასტიკად გაუსწორდნენ, უწმინდესის აზრი არად ჩააგდეს...

სწორედ ეს გახლდათ **"ნაციონალთა"** მიერ მოწყობილი **"ბათლომეს დღე"**, რამაც, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენი სირცხვილი და პროტესტი გამოეწვია, მრავალი ჩვენგანის მოწონებაც კი დაიმსახურა.

სატანასთან წილნაყარიაო, – იტყვიან ყოველივე არაადამიანურის შემოქმედზე!

როგორ შეიძლება გიყვარდეს სხვისი, როცა საკუთარი არ გიყვარს! მაგრამ არის კი ქართული რელიგიური და სულიერი ღირებულებები **"საკუთარი" "ნაციონალებისა"** მათი ნეტარღიმილიანი ბელადისათვის?

მათთვის ხომ **"საკუთარი"** მხოლოდ ის არის, რაც ჯიბეში ან საბანკო ანგარიშებზე უდევთ!

და არც ეს არის ქართული ბუნების გამოვლინება.

ასე რომ, ვაჟასი არ იყოს: **"ტყუილად ცდილობთ, ღორებო..."**

არავისი საქმე არ არის, რომ მე ჩემი ქართველობისა მრცხვენია, ეს მხოლოდ ჩემი იმ ქართველების საქმეა, რომელთაც ჩემსავით რცხვენიათ თავისი ქართველობისა!

საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ასეთი ქართველები სჭარბობენ საქართველოში!

ჩვენი ისტორიიდან კარგად ვიცით – მოძალადეებიის მიერ ხალხის დამცირებით გამოწვეული სირცხვილი ძალიან ხშირად მათ საწინააღმდეგო რისხვად იქცეოდა ხოლმე.

მეშინია, ეს რისხვა იმ ხალხს არ დაატყდეს თავს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული მოღალატეობრივი დადგენილებით აღჭურვილები რომ მოინდომებენ ქართული რელიგიური და კულტურის ძეგლების უსამართლოდ მისაკუთრებას, რისი სურვილიც უკვე საჯაროდ გააჟღერეს. ამას ხომ ისინი ყოველგვარი დადგენილების გარეშე ესწრაფვოდნენ და ახლა რაღა შეაკავებთ?

ღმერთო, ავად აუხდინე ჩვენი ეს სირცხვილი მუდამ ჩვენსკენ ბოროტად მომზირალ ქართველთყლაპია მტერს, მოყვრის მანტიამოსხმული, სატანის ღიმილით რომ უთხრის ძირს სრულიად საქართველოს და იხსენ საქართველო მოსალოდნელი ხიფათისაგან!

ღმერთო მიეც ჯანის სიმრთელე და გამძლეობა ქართველ ხალხს და მის სულიერ მამას – უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს!

ამინ!

**როლანდ ჯალაღანია,**
**"ჩარეცხილი" საპატიო დოქტორი,**
**„ფაზისის" აკადემიის**
**ნამდვილი წევრი**

### ციტატა-შეხსენება

"ქვეყნის დღევანდელ პოლიტიკურ ელიტას (ზოგს ნებით, ზოგს უნებლიეთ) საქართველო მიჰყავს საყოველთაო კატასტროფისაკენ, რომლის შედეგად ქართველი ერი, როგორც კომპაქტურად მცხოვრები კულტურულ-ისტორიული ერთობა, შეწყვეტს თავის არსებობას..."

ალექსანდრე ჭაჭია,
2000 წლის დეკემბერი.

# როგორ მოვიგოთ არჩევნები

*(ანუ პოლიტიკური იმიჯის ფორმირება საარჩევნო კამპანიის პერიოდში)*

**ვაგრძელებთ პუბლიკაციებს ბეჭდვას ახალგაზრდა ქართველი პოლიტოლოგის ზურაბ ჯამბურიას ამავე სახელწოდების წიგნიდან.**

უფრო ადრე, როცა საზოგადოების პოლიტიკური ურთიერთობები მონარქიული ცხოვრებით რეგულირდებოდა, გაბატონებული იყო თეოლოგიური დოქტრინა, რომელიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა საზოგადოების **„პარტიებად“** (ნაწილებად) დაყოფას. უფრო მეტიც, ღმერთის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად გაიგებოდა ნებისმიერი იდეა, რომლითაც პარტიის შექმნის კონტურები იკვეთებოდა. მაგალითად, თეოლოგიური თეორიის უძლიერესი წარმომადგენელი თომა აქვინელი, თვლიდა, რომ პოლიტიკური დაჯგუფებების არსებობა დამღუპველ ზემოქმედებას ახდენს სახელმწიფოზე და საშიშროებას წარმოადგენს საზოგადოებისთვის (ერისთვის), რადგან მრავალთა ბატონობით წარმოებული წინააღმდეგობები შეუთავსებელია სახელმწიფოს (სამყაროს) ღმერთისმიერ გაგებასთან. იგივე შეხედულებას ავითარებს წმინდა აგუსტინე, რომელიც გმობს ყოველგვარ ფრაქციულობას და მიიჩნევს, რომ ისინი ანათემას იმსახურებენ.

მრავალი მეცნიერი პარტიათა წარმოშობის სხვადასხვა თეორიებს გვთავაზობს. ასე მაგალითად: თ. ჰობსი პარტიების წარმოშობის მიზეზად თვლიდა ადამიანის სულისთვის ბუნებრივად დამახასიათებელ წინააღმდეგობრიობას. ა. დე ტოკვილი პარტიებს განიხილავდა ადამიანთა პირადი თავისუფლების გამოვლინების ფორმად. ხოლო პარტიათა წარმოშობის მიზეზად ბურჟუაზიული საზოგადოებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაჩენას მიიჩნევდა.

პარტიათა აღმოცენებას თავისი მიზეზი და მიზანი ჰქონდა. მიზეზად შეიძლება დავასახელოთ კლასობრივი, სოციალური, ნაციონალური, რელიგიური და სხვა ტიპის კონფლიქტები. პარტიების აღმოცენებას წინ უსწრებდა ადრებურჟუაზიული სახელმწიფოების პოლიტიკური სისტემების შექმნის პროცესი დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში, თუმცა ეს არ იყო იოლი პოლიტიკური პროცესი, რადგანაც თან ახლდა ბურჟუაზიული რევოლუციები (ინგლისი, საფრანგეთი) და სამოქალაქო ომი (ამერიკა), რომლის გაანალიზების შემდეგ თვალნათლივ დავინახავთ, რომ ეს იყო პოლიტიკური პროცესი, სადაც განსხვავებული შეხედულების ადამიანები ახალი სახელმწიფოებრიობის სხვადასხვა მიმართულებით ფორმირებისკენ ისწრაფვოდნენ, რის შედეგადაც ყალიბდებოდა დაპირისპირებული დაჯგუფებები. მაგ. არისტოკრატები და ბურჟუები, კათოლიკეები და პროტესტანტები და ა. შ.

ხოლო პარტიათა უპირველეს მიზანს წარმოადგენდა: აბსოლუტური მონარქიის შეზღუდვა, პოლიტიკურ ცხოვრებაში **„მესამე წოდების“** ჩართვა, საერთო საარჩევნო უფლების შემოღება, წარმომადგენლობითი სისტემის განვითარება და ა. შ.

ბევრი მეცნიერ-მკვლევარი პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების, განვითარების და ზრდადობის ისტორიის სხვადასხვა ეტაპების მიხედვით გამოყოფენ სამ ტიპს.

1. პარტიები, როგორც არისტოკრატიული დაჯგუფებები. ისინი იყვნენ საზოგადოების სოციალური ზედაფენის ინტერესების დამცველები, რომლებიც იბრძოდნენ მეფის ხელისუფლებაზე გავლენის მოხდენის მიზნით;

2. პარტიები, როგორც პოლიტიკური კლუბი. ისინი იყვნენ საერთო ინტერესების გარშემო გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც იბრძოდნენ კონკრეტული პოლიტიკური ამოცანის გადასაწყვეტად;

3. თანამედროვე მასობრივი პარტიები, რომელთა უპირველეს პოლიტიკურ ამოცანას ხელისუფლების მოპოვებისთვის ბრძოლა წარმოადგენს. სწორედ აღნიშნული სამი ეტაპი გაიარეს ინგლისის ლიბერალურმა (ვიგები) და კონსერვატორულმა (თორები) პარტიებმა. ისინი მეოცე ს-ის 60-80-იან წლებში ჩამოყალიბდნენ როგორც მმართველი კლასის პარტიები, რომლებიც ერთმანეთს კონკურენციას უწევდნენ მეფის ხელისუფლებაზე გავლენის მოსახდენად. შემდეგ კი დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში შეიქმნა ბურჟუაზიული პარტიები, რომლებიც აქტიურად იბრძოდნენ ხელისუფლების მოპოვებისათვის, ხშირად წარმატებითაც. 20-30-იან წლებში ჯონსონის პრეზიდენტობის პერიოდში აშშ-ში ჩამოყალიბდა ორი დიდი პარტია: რესპუბლიკელები და დემოკრატები, რომლებიც თანამედროვე აშშ-ში ყველაზე მძლავრ და გავლენიან პარტიებს წარმოადგენდნენ.

პარტიებმა და პარტიულმა სისტემებმა ფორმირებისა და ევოლუციის გრძელი გზა განვლო და ისინი წარმოადგენენ ყოველი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების შედეგს. **„პოლიტიკური პარტია“** თანამედროვე გაგებით გაჩნდა მეოცე ს-ში, როცა იგი (პარტია) პოლიტიკური ცხოვრების აქტიურ წევრად გადაიქცა, მთელ რიგ მიზეზთა გამო, კერძოდ კი, როდესაც ყალიბდებოდა წარმომადგენლობითი ინსტიტუტები (პარლამენტი) და გაფართოვდა მოქალაქეთა საარჩევნო და პოლიტიკური უფლებები. წარმომადგენლობითი ინსტიტუტები წარმოადგენენ პარტიის წარმოქმნისათვის აუცილებელ ატრიბუტს, რომელშიც ორგანულად კონცენტრირებულია წარმომადგენლობითი დემოკრატიის ორი უმთავრესი აზრი – ერთის მხრივ ის, რომ არც ერთ პიროვნებას არა აქვს უფლება მართოს მეორე პიროვნება ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე, და მეორე – ყველა ინდივიდს არ შეუძლია უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში. ამიტომ მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტის ინტერესები ხელისუფლების სისტემაში წარმოდგენილი უნდა იყოს გარკვეული პირით (ან პირთა ჯგუფით), რომელსაც დელეგირებული აქვს შესაბამისი პრეროგატივა და უფლება. სწორედ ზემოთ აღნიშნულ საუკუნეში (XXს.) განვითარდა წარმომადგენლობითი ინსტიტუტები, რა დროსაც პარტიებმა გაიმაგრეს თავიანთი მდგომარეობა პოლიტიკურ სისტემაში, რითაც გადაიქცნენ საზოგადოების ინტერესების გამომხატველ მძლავრ წარმომადგენლობით მექანიზმად.

## პოლიტიკური პარტიის ფუნქციები

პოლიტიკური პარტიები ასრულებენ უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს, რომელიც მათი არსებობის განმაპირობებელია. მაგრამ პარტიების ფუნქციები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის პარტიებია, საქმიანობის რა კონკრეტული პირობები აქვთ, რა ადგილი უკავიათ საზოგადოების პოლიტიკურ სტრუქტურაში და ა. შ. მაგრამ პოლიტიკური პარტიის ბუნების დადგენა მისი ფუნქციების გაანალიზებით შეგვიძლია. ზოგადად კი პოლიტიკურ პარტიებს გააჩნიათ შემდეგი უმთავრესი ფუნქციები:

1. სოციალური წარმომადგენლობის ფუნქცია, რაც გულისხმობს იმას, რომ პარტია არის იმ სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი პოლიტიკურ არენაზე, რომელიც მის ელექტორალურ დასაყრდენს წარმოადგენს საზოგადოებაში.

2. პოლიტიკური სოციალიზაციის ფუნქციის მეშვეობით პოლიტიკური პარტიები უზრუნველყოფენ ამომრჩევლებს პოლიტიკური ინფორმაციით. ისინი ასწავლიან, აწვდიან ინფორმაციას და არწმუნებენ ამომრჩევლებს, რითაც უზრუნველყოფენ მათში ფასეულობების და თვალთახედვის ფორმირებას.

3. პოლიტიკური რეკრუტირების ფუნქცია. პარტიებს, რომლებსაც სურთ ჰყავდეთ ძლიერი წარმომადგენლობა სახელისუფლებო შტოებში ახდენენ პოლიტიკური ლიდერების და ელიტების შერჩევას და რეკრუტირებას. უპირველესად ამას ისინი აკეთებენ თავიანთი ნიჭიერი წევრების დაწინაურებით, ან მოიძიებენ და გამოიყენებენ კანდიდატებს, რომელიც მათი სახელით მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში.

4. პოლიტიკურ ინტერესთა აგრეგირების ფუნქცია. პარტიების უპირველესი მიზანია საზოგადოებაში სოციალური კონფორმიზმის მიღწევა. კერძოდ, პარტიები ისწრაფვიან განსხვავებული სოციალური ჯგუფების ინტერესების გაერთიანებას, რითაც მათი პროგრამა უფრო მიმზიდველი და საინტერესო ხდება.

5. პოლიტიკური ელიტების მომზადების ფუნქცია. პარტიები, რომლებიც მოღვაწეობენ პოლიტიკურ სარბიელზე, აყალიბებენ პოლიტიკურ ელიტებს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლიდერთა მომზადების საქმეში.

6. ინტერესთა არტიკულირების ფუნქცია. პოლიტიკური პარტიების მთავარ ფუნქციას წარმოადგენს საკუთარი ელექტორატის ინტერესების არტიკულირება (გამოთქმა), ანუ ე. წ. **„საზოგადოებრივი დაკვეთის“** გაცხადება.

7. საზოგადოების მობილიზების ფუნქცია. პოლიტიკური პარტიები საზოგადოებას უკეთებენ მობილიზებას არჩევნებში თუ სხვა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მისაღებად.

მართალია პოლიტიკური პარტიების ზოგად ფუნქციებზე ზემოთ ვისაუბრეთ, მაგრამ საინტერესო იქნებოდა ცალკე გამოგვეყო მმართველი და ოპოზიციური პარტიების მთავარი ფუნქციები.

მმართველი პარტიის უმთავრესი ფუნქციებია:

1) პოლიტიკური პარტიის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში აუცილებელია ჩამოაყალიბოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება;

2) გაუწიოს მთავრობის საქმიანობას კოორდინაცია და კონტროლი;

3) განახორციელოს წინასაარჩევნო პროგრამების და დაპირებების შესრულება, მათი კანონად ტრანსფორმირების გზით;

4) კომუნიკაციის ფუნქცია. პარტია, რომელიც მოვიდა ხელისუფლებაში არჩევნების გზით, აუცილებელია კომუნიკაციურ ურთიერთობაში დარჩეს საზოგადოებასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში დაკარგავს ნდობას საზოგადოების მხრიდან, რაც გამოიწვევს **„მორალური ლეგიტიმურობის“** დაკარგვას. ამიტომ, კავშირი ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის აუცილებელია.

ოპოზიციური პარტიის ფუნქციებია:

1) ხელისუფლებისათვის ბრძოლის ფუნქცია. პარტიები ისწრაფვიან შეცვალონ არსებული ხელისუფლება მშვიდობიანი და კანონიერი გზით;

2) ალტერნატიული სამთავრობო პროგრამების შემუშავების ფუნქცია. პარტიები, რომლებიც წარმოადგენენ ოპოზიციურ ძალას **„ვალდებულნი“** არიან შეიმუშავონ ალტერნატიული პროგრამა მომავალი არჩევნებისთვის, სადაც ნათლად იქნება ასახული საზოგადოების ინტერესები და ხელისუფლების ცვლის შემთხვევაში სახელმწიფოს განვითარების მკაფიო სურათი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, პოლიტიკურ პარტიებს გააჩნიათ შინაგანი ფუნქციები, რომლებიც ბაზისურ როლს ასრულებენ პარტიის განვითარებისა და გაძლიერების საქმეში. შინაგან ფუნქციებში იგულისხმება:

1) პარტიის ბიუჯეტის ფორმირება;

2) ხელმძღვანელობის არჩევა;

3) შიდაორგანიზაციული ურთიერთობის (ხელმძღვანელ რგოლსა და რიგით წევრებს შორის) ჰარმონიზაცია.

## პოლიტიკური პარტიების ტიპები და პარტიული სისტემები

პოლიტიკური პარტიები თავიანთი არსით, მიზნებით, ფუნქციებით, პროგრამებით და მოქმედების არეალით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. აქედან გამომდინარე შეიძლება განვასხვავოთ პარტიათა ტიპები და მოვახდინოთ მათი კლასიფიკაცია. პოლიტიკური პარტიების კლასიფიკაციის პირველი ცდები მეტად მარტივ კრიტერიუმებს ეყრდნობოდა. კერძოდ, იგი პარტიებს განასხვავებდა **„კარგი“ და „ცუდი“** (მორალური) და **„დიდი“** და **„პატარა“** (რაოდენობრივი) კრიტერიუმების მიხედვით.

თანამედროვე პოლიტიკურ თეორიაში შემუშავებულია პოლიტიკური პარტიების ტიპოლოგიზაციის განსხვავებული მიდგომები. ყველაზე გავრცელებული ვარიანტის მიხედვით იდეური საფუძვლის მქონე პარტიები შემდეგ ტიპებად იყოფიან:

1. დოქტრინალური;
2. პრაგმატული;
3. ქარიზმატული.

### დოქტრინალური პარტიები

ორიენტირებულნი არიან თავიანთი პარტიული იდეოლოგიის დაცვაზე. ამ ტიპის პარტიები ზედმიწევნით იცავენ პარტიულ იდეალებს და პრინციპებს, რაც ხშირ შემთხვევაში შეიძლება საზოგადოების ერთიანობაზე უარყოფითად აისახოს. კერძოდ, თუკი პარტიული იდეოლოგია ანტაგონისტურ ღირებულებათა საფუძველზე არის ფორმირებული, მაშინ პოლიტიკური პროცესების განვითარება საზოგადოების პოლარიზაციას გამოიწვევს. ამიტომ აუცილებელია დროის ცვალებადობასთან ერთად იდეოლოგიური ღირებულებების გადაფასება.

**პრაგმატული პარტიები** მოქმედებენ პრაქტიკული მიზანშეწონილობიდან გამომდინარე და არამც და არამც იდეოლოგიურ შეზღუდვებს არ ემორჩილებიან. პოლიტიკური სტაბილურობა მათთვის მნიშვნელოვანია. ამიტომ კონსენსუსის ტექნოლოგიას ხშირად იყენებენ ხელისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში.

**ქარიზმატულ პარტიებში** ადამიანები გაერთიანებული არიან ლიდერის ქარიზმის გარშემო. მათთვის ლიდერის ნება უპირველესია, რის გამოც უსიტყვოდ ემორჩილებიან მას.

ყველაზე დიდი რეზონანსი ჰპოვა მ. დიუვერჟეს მიერ შექმნილმა კლასიფიკაციამ. იგი გამოყოფს: მასობრივ, საკადრო და მკაცრად ცენტრალიზებულ პარტიებს.

მასობრივი პარტიები ცენტრალიზებული და დისციპლინირებული გაერთიანებები არიან, რომელთათვისაც დამახასიათებელია წევრთა იდეოლოგიური ერთობა და შეხედულებათა ერთიანობა. ეს პარტიები პარლამენტს გარეთ არიან წარმოქმნილნი, რის გამოც მათ სოციალური მოძრაობის ხასიათი აქვთ. ასეთ პარტიებს შეიძლება მივაკუთვნოთ დასავლური, კომუნისტური, ფაშისტური და პოპულისტური პარტიები.

საკადრო პარტიები ყალიბდება პოლიტიკურ მოღვაწეთა ჯგუფის გარშემო. ამიტომ ამ ტიპის პარტიების ფორმირება ხდება **„ზემოდან“**, ანუ საპარლამენტო ჯგუფის ბაზაზე. მათი ორგანიზაციული აგებულების საფუძველს წარმოადგენს ლიდერთა და აქტივისტთა კომიტეტი. ისინი მხოლოდ არჩევნების დროს აქტიურდებიან, რადგანაც მათ მთავარ ამოცანას წინასაარჩევნო კომპანიის ორგანიზება და გავლენიან პირთა მოზიდვა წარმოადგენს.

მკაცრად ცენტრალიზებულ პარტიებს ახასიათებთ იდეოლოგიური კომპონენტის ძირითად მიმართებად გადაქცევა. დიუვერჟეს აზრით, ასეთ პარტიებს წარმოადგენს კომუნისტური და ფაშისტური პარტიები, რომელთაც ახასიათებთ იერარქიულ რგოლთა სიმრავლე, თითქმის სამხედრო დისციპლინა, მაღალი ორგანიზაციული მოქმედება და პოლიტიკური ბელადისადმი მორჩილება.

პოლიტიკურ მეცნიერებაში მიღებულია პარტიების სხვადასხვა სახის ტიპოლოგიზაცია:

1. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში წარმომადგენლობით:

ა) მმართველი პარტია, რომელიც იმარჯვებს საპარლამენტო არჩევნებში და აყალიბებს მთავრობას;

ბ) ოპოზიციური პარტია, რომელიც დამარცხდა არჩევნებში, მაგრამ მაინც იბრძვის ხელისუფლებისათვის. აკრიტიკებს ხელისუფლებას და საზოგადოებას სთავაზობს სახელმწიფოს განვითარების და პრობლემების გადაჭრის ალტერნატიულ მოდელებს;

2. პროგრამის შესრულების მეთოდებით:

ა) რეფორმისტული – მისი მიზანია მკვეთრი სტრუქტურული ცვლილებების გარეშე საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესება;

ბ) რევოლუციური ტიპის პარტია ისწრაფვის საზოგადოების რადიკალური, თვისობრივი გარდაქმნისკენ;

3. პოლიტიკური სპექტრის ადგილის მიხედვით:

ა) მემარცხენე;
ბ) მემარჯვენე;
გ) ცენტრისტული;

4. ორგანიზაციული სტილით:

ა) პარლამენტარული;
ბ) ავანგარდიული;

5. პარტიულ ლიდერებსა და რიგით წევრებს შორის ურთიერთობის სტილით:

ა) დემოკრატიული;
ბ) არადემოკრატიული და ა. შ.

---

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ და გაზეთი „ილორი“ მწუხარებით იუწყებიან, რომ 81 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული პატრიოტი**

**ოტია იოსელიანი**

# ჰამლეტ ნადარაია

ჰამლეტ ნადარაია დაიბადა 1919 წელს, მარტვილის რაიონის სოფელ დიდი ჭყონში. წარჩინებით დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა. შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას – მუშაობდა მარტვილის რაიონის სხვადასხვა სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ბოლო წლებში მოღვაწეობდა კულტურის სფეროში. იყო რაიონული გაზეთის (**„შრომის დროშა“**) აქტიური კორესპოდენტი.

ჰამლეტ ნადარაია იყო ფართო ერუდიციის და უბადლო ნიჭის მქონე პიროვნება. მან ზეპირად იცოდა **„ვეფხისტყაოსანი“**. ჰამლეტის უსაზღვრო სიყვარულს **„ქართულ ბიბლიად“** წოდებული მსოფლიო შედევრისადმი უკვალოდ არ ჩაუვლია. მან მეგრულ ენაზე თარგმნა **„ვეფხისტყაოსანი“** (სამწუხაროდ დღეს მხოლოდ ნაწყვეტებია შემორჩენილი), რომელიც როგორც ამბობენ **“მარტვილის მხარეთცოდნეობის მუზეუმში ინახება“**.

საქართველოში მეგრულ ენაზე **„ვეფხისტყაოსნის“** რამოდენიმე თარგმანი არსებობს, თუმცა ჰამლეტისეული თარგმანი გამოირჩევა რუსთაველისეული სადებავებითა და მხატვრული დონით. ნიმუშად მოვიყვანთ ერთ სტროფს:

*„მუს მოგიღანს ინგარდე დო ჩილამურიშ ღვარით მიშე,*
*ვამოხვადას ვეუაფუ გეჭარილი საქმექ ჟიშე,*
*წესი ორე ქომოლიში გაჭირებას ვედეშიშე,*
*განგებაში გინორთელი ვეშილებე მუთუნიშე“.*

ჰამლეტ ნადარაია იყო თავის დროზე საკმაოდ ცნობილი პოეტისა და დრამატურგის – შალვა კუჭავა-პონტოელის დისშვილი.

ახალგაზრდობისას, სტუდენტობის წლებში მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს პოეტთა მეფე – გალაკტიონ ტაბიძესთან. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მათ პოეზიისადმი და, ზოგადად ლიტერატურისადმი სიყვარული აკავშირებდათ. თურმე გალაკტიონი აღტაცებაში მოჰყავდა ჰამლეტის მიერ მისი ლექსების წაკითხვას.

ჰამლეტი თვითონაც წერდა ლექსებს, თუმცა არასოდეს უზრუნია მათ გამოქვეყნებაზე. დატოვა შესანიშნავი პოეტური მემკვიდრეობა, ლექსების ციკლი – **„ჩემი თავშესაქცევი“** (ხელნაწერი ოჯახში ინახება და სამწუხაროდ დღემდე არ უნახავს დღის სინათლე), რომელიც სავსეა სენტენცია–აფორიზმებით.

გაზეთ **„ილორის“** მკითხველებს ვთავაზობთ ჰამლეტ ნადარაიას რამდენიმე პოეტურ აფორიზმს, რომელიც ამოკრეფილია მისი ლექსებიდან და ქვეყნდება პირველად.

**ზურაბ ჯამბურია**

***

ის ნაკლებად დაშავდება
ვინც საკუთარ აზრით დადის,
მაგრამ იგი უნდა იყოს
თანამგრძნობი სხვისი დარდის,
ყველა საქმე კარგი არის
რასაც ცუდი სუნი არ დის,
ვარდის ზეთი მიყვარს, მაგრამ
მოსასპობად განა ვარდის?

ყოველგვარი დაფარული
საჭიროებს ახდას ფარდის,
ვარდი მაშინ აღარ ვარდობს
სურნელება თუკი არ დის,
ქაღალდის ვარდს აკეთებენ,
გასაყიდად იგიც გადის,
ქაღალდების ვარდის კონას
სად ექნება სუნი ვარდის?

***

ეს ცხოვრება რთული არის
განუწყვეტლივ მიდის, ბრუნავს,
მოსაცლელად სად სცალია,
საქმისათვის ვინცა ზრუნავს,
განათლება არ იძლევა
ბუნებრივი ნიჭის უნარს,
ეს შენზეა, როგორ მოსპობ
სარეველა ეკალს თუ ნარს.

***

არ იქნება არ იხაროს,
მონდომებით ვინც გზას კაფავს,
წამოწყება დასრულდება
და ომეგა მოაქვს ალფას;
დაისვენებს გემრიელად,
ვინც მორჩება შრომა-ჯაფას,
თუ ეს ცოდნა სიბრძნის ცარცით
მიაწერე ტვინის დაფას.

***

სულით, გულით შეიყვარე
შენიანი, გინდა ვინცა,
გაჭირვებულს დაეხმარე
აიყვანე თუ წაიქცა,
ყველა ერთად რომ ნეტარებს
ლამაზია მაშინ იქ ცა,
სიყვარული არ მოკვდება
თუკი ჩვევად გადაიქცა.

***

გერიდებოდეს ავისა
და მისი მყრალი სუნისა,
არასდროს ბოლო არა აქვს
მის წადილსა და სურვილსა.
წინათ რაც იყო, იცოდე,
ახლაც ის არის, სულ ისა,
არ შეუძლია აავსოს
სიცარიელე სულისა.

***

სიტყვა მხოლოდ მაშინა სთქვი
როცა მოვა შენი რიგი,
ყველა საქმეს მოუხდება
სიფრთხილე და თადარიგი,
ზოგჯერ ბრძენსაც ისე ვხედავთ
თითქოს ჩვენგან სწავლობს იგი,
მოგვისმენს და ვითომ არის
ჩვენი ჭკუის დასარიგი.

***

ეზოს კარგად იგი დაჰგვის
ვის ხელში აქვს შინდის არგა,
იგი რაღა მებაღეა
ნარგავები თუ არ დარგა.
ღირსებას კი ვერ იპოვი
თუ გქონდა და დაგეკარგა,
ხელოვნება მითხარ, თორემ
შეგირდად ხომ ყველა ვარგა.

***

კეთილმოქმედს არ შეშვენის
ლაქუცობა, ქნევა კუდის,
ძნელია, რომ შეიწყნარო
გამომწვევი საქმის ცუდის;
ძლიერისგან შენდობაც კი
უძლურისთვის სასჯელს უდრის,
რადგან ყოველ პატიებას
მაინც ცუდი სუნი უდის.

***

ვინც კი საქმეს გააკეთებს
ავსულებთან დავანებით,
მაღლა მზეზე რომ ავიდეს,
შავ ბნელეთში დავა ნებით.
გიჯობს თავი დაიტვირთო
ნისიებით და ვალებით,
ვიდრე საქმე გააკეთო
ბოროტების დავალებით.

***

არ გაშინებდეს არასდროს
მოპირდაპირის შერისხვა,
არწივს ებრძოლე, როდესაც
ბეღურა მხრებზე შეისვა.
მიზანს კი მაშინ მიაღწევ
როცა სწორია შენი სვლა,
გამოდარებას ელოდე
ნუ დაგაღონებს ნელი სვლა.

***

მიწაა ჩვენი მშობელი
მასთან ვართ შესისხორცებით,
მაგრამ ის თავის შობილებს
დაჰგვის სიკვდილის ცოცხებით.
დადგება დრო და ყველანი
მოვკვდებით დავიხოცებით,
მიწა ისევე გაძღება
ჩვენი ძვლებით და ხორცებით.
მაგრამ ვერაფერს მოვიგებთ
ვაებითა და ვიშითა,
სიკვდილის მერეც ამქვეყნად
ვიყოთ ცოცხლების ნიშნითა,
ამისთვის უნდა ვიზრუნოთ
მხნეობით, არა შიშითა,
რად გინდა ფუჭად ვიაროთ,
გადავირბინოთ იშინთა.

***

ვინ გაიგებს ეს სამყარო
რა ხნისაა და რა ზომის,
მის დინებას ვეღარ შეცვლის
ტიტანური ძალა ომის.
ყველაფერი სწრაფად გარბის,
არ არსებობს ჟამი დგომის,
დღეები კი ცვივა, ცვივა, –
ფოთლებია შემოდგომის.



*გვეხმაურება მკითხველი*

# მადლობა გამოცემის ორგანიზატორებს!



ქართველი ერის ისტორიული წარსულით დაინტერესებულმა საზოგადოებამ უძვირფასესი საჩუქარი მიიღო. პეტრე თუმანიშვილის მიერ 1908 წლის გამოცემის შემდეგ, განმეორებით გამოქვეყნდა (გამოცემის ორგანიზატორები: **როლანდ ჯალაღანია, დავით ქობალია**, – საპატიო დოქტორები) კომუნისტების მიერ ტაბუდადებული, დიდი ქართველი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის **„ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი“**, რომელშიც დღემდე უცნობი და საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ენების ფენომენზე.

ჭეშმარიტი ისტორიკოსისათვის მეტად საყურადღებო და აუცილებლად გასათვალისწინებელია ის აბსოლუტური ჭეშმარიტება, რასაც დიდი მეცნიერი ერის ენობრივ მონაცემებს ანიჭებს: **„ნივთიერ ნაშთების შემდეგ ერის პირვანდელი ყოფაცხოვრებისა და მის თანდათან განვითარების შესახებ ყველაზე უფრო მეტ ცნობებს ადამიანის ენა და ის მეცნიერება გვაძლევს, რომელიც მას იკვლევს; იმიტომ, რომ ენას, რაც უნდა განვითარებული და წარმატებული იყოს იგი, ყოველთვის ის სიტყვები და ანდაზებიც ბლომად შერჩება ხოლმე, რომელიც ეროვნების ცხოვრების უძველესს, თავდაპირველ ხანას განეკუთვნება და მაშინდელ საზოგადოებრივ ვითარებასა და აზროვნებას გვიხატავს“** (ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, 2011, გვ.7).

წიგნში მეცნიერი ქართველებს სამ უმთავრეს შტოდ ჰყოფს: ერთ შტოს ქართულად მოსაუბრეთ, ქართლელებს, კახელებს, ფშავ-ხევსურებს, მესხებს, იმერლებს და გურულებს აკუთვნებს, მეორეს – იბერებს, ანუ მეგრელ-ჭან-ლაზებს, ხოლო მესამეს – სვანებს და სწავლობს რა ამ სამი შტოს ლექსიკის ფონეტიკურ აგებულებას და მათს დამახასიათებელ თვისებებს, მიუხედავად იმისა, ამ ჭეშმარიტებაზე ხმამაღლა საუბარი მე-14 საუკუნიდან აკრძალული იყო და, განსაკუთრებით, მეგრელებს არასრულყოფილი ეთნოსის სინდრომს უნერგავენ, რაც ჩვენს დროშიც გაიმეორა მურმან ლებანიძემ და ზოგმა ენათმეცნიერმაც, თამამად აცხადებს: **„ჩვენ ყველამ ვიცით, რომ თანამედროვე ქრისტიანობის ნიადაგზე აღმოცენებულ ქართულ მწერლობის ენა ქართლურია, ხოლო ქართველ ხალხის უძველეს ხანის კულტურის შესწავლა უეჭველ ჰყოფს, რომ ქართველებს ქრისტეს წინათაც მრავალ საუკუნეების განმავლობაში მწერლობა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ, შესაძლებელია, შემდეგ გამოირკვეს, რომ ამ ხანის მწერლობის ენა ქართლურ შტოს კი არ ეკუთვნოდეს, არამედ მეგრულ-ლაზურს, ან სვანურ შტოს. ამის გამო ქართულ ენაკილოკავების შესწავლას ჩვენი ერის უძველეს წარსულის შესწავლისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს და ექნება კიდეც ყოველთვის“** (იქვე, გვ.19).

წიგნში ნათლად ჩანს, თუ რა დიაპაზონის მეცნიერი იყო ივანე ჯავახიშვილი, როგორ ფლობდა უცხოურ ენებს და უცხოურ ინფორმაციებს საქართველოზე.

მართალია, იმ დროისათვის ინფორმაციების უქონლობის გამო, მეგრულ და სვანურ ენებს კილოკავებად თვლის და ამით, უნებლიედ, ხელს უწყობს სომხური ცრუ სურვილების ჭეშმარიტებად დამკვიდრებას, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, რამდენად სრულყოფილი ისტორია გვექნებოდა ქართველებს, რომ დიდ ივანეს ჰქონებოდა ის ინფორმაციები, რაც უკანასკნელი გამოკვლევებით იქნა მოპოვებული მამანტი და ცირა ძაძამიების მიერ **„მეგრული ენის ლექსიკაზე და სიტყვათ წარმომავლობაზე“**, კუკური ფიფიას მიერ ჩვენი მხედრული და ასომთავრული დამწერლობებისა და სამეტყველო ბგერების წარმოშობაზე, ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ძირისეული ფორმების სინქრონიული და დიაქრონული პროცესების შესწავლაზე. ყოველივე ამაზე ინფორმაციები, რომ ჰქონებოდა დიდ ივანეს, უეჭველია, ვერ იტყოდა **„შეუწყნარებელია ნიკო მარის აზრი, რომ მხედრული ნუსხურზე უძველესი იყოსო“**. მეგრული (იბერიული) ენის ენობრივი მონაცემები, აშკარად მეტყველებენ, რომ პროტოქართული ენა – ესაა დღეს მეგრულად წოდებული იბერიული ენა, რომელიც კაცობრიობის დასაბამიდან მომდინარეობს.

ამას განსაკუთრებულად იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ, სამწუხაროდ, ქართველი ერის წიაღიდან ვერ იშვა კომპეტენტური მეცნიერი, რომელიც დიდი ივანესავით კეთილსინდისიერად მიუდგებოდა ქართველი ერის ისტორიის შესწავლას. არადა, არსებული **„ქართული“** წყაროების მიხედვით სომხები (არმენები) ყოფილან ქართველთა წინაპრები და **„უმჯობესი“** ქართული მიწების მფლობელები, როცა **„ისტორიის მამა“** ჰეროდოტე (ძვ.წ.აღ. V საუკუნე) დეტალურად აღწერს კავკასიაში ბინადარ ეთნიკურ წარმომადგენლებს, მაგრამ სომეხ-არმენებს ერთი სიტყვით არ მოიხსენიებს.

მე მივესალმები ნიჭიერ სომეხ ხალხს, მსურს მათთან კეთილმეზობლური ურთიერთობა და ვუსურვებ კეთილდღეობას, სულიერ და კულტურულ აღმავლობას, მაგრამ საკუთარი შრომის ხარჯზე და არა ჩვენი ეროვნული მონაპოვრებისა და კულტურული ღირებულებების მითვისების ხარჯზე. სომხებად წოდებული (მხოლოდ საქართველოში) არმენები, არც ანთროპოლოგიური მახასიათებლებით (ისინი გრძელთავიანები არიან, ქართველები კი მოკლეთავიანი ეთნოსია) და არც ენობრივად არ არიან ქართველთა მონათესავე (ლექსიკური თანხვედრები არ ნიშნავს ნათესაობას, ნასესხობებია).

მე არაფერი მაქვს ღირსეულ სომეხთა საწინააღმდეგო, პირიქით, მივესალმები იმათ, ვინც თავის სომხობას არ მალავს და პატიოსანი შრომით ცხოვრობს. საბედნიეროდ, არიან ასეთი სომხები. ისინი თავიანთი ღირსებითა და ზნეობრივი სიმაღლით პატივისცემას და თანადგომას იმსახურებენ. ვუსურვებ მათ საქართველოში ქართველებთან ერთად ღირსეულ და ბედნიერ თანაცხოვრებას. მაგრამ ხმამაღლა ვაცხადებ: ქართული მიწები და ქართველი ერი სხვა ერის წარმომადგენელთა სამართავად და საბატონოდ არ მემეტება. არადა, ტრადიციული ვერაგი სუნი უდის იმ ფაქტს, რომ 2008 წელს 1599 სომეხმა გადაიკეთა გვარი ქართულად, 2009 წელს – 2310-მა, 2010 წელს კი – 2399-მა (იხ. გ-თი **„საქართველო და მსოფლიო“**, №12, 2011, გვ.5).

რაშია საქმე? სომხები საქართველოში იჩაგრებიან? ასეთი რამ არასდროს მსმენია. პირიქით, რამდენად პრივილეგირებული იყვნენ სომხები საქართველოში, კარგად აქვს აღწერილი ცნობილ რუს პუბლიცისტს – ვ. ლ. ველიჩკოს თავის ნაშრომში **„კავკასია“**. მაშ, რატომ იცვლიან გვარს სომხები?

აშკარაა, მათ ვერ აკმაყოფილებს რიგითი ქართველი მოქალაქის დარად ცხოვრება და ხედავენ რა, ქართველები ვერ ვპატრონობთ საკუთარ სიმდიდრეს, ჰეგემონური ამბიციები უჩნდებათ და სხვის ხარჯზე ცხოვრებისკენ მიილტვიან. [ფიქრობენ: გვერქვას დროებით ქართველები და, როცა ქართველებზე უფრო გაძლიერდებით (ისინი ჭიანჭველებივით მრავლდებიან, ხოლო ქართველთა დემოგრაფიული მდგომარეობა კატასტროფულად უარესდება), გვარსაც გამოვიცვლით და ეროვნებასაცო].

დღეს ასეთი ლტოლვა ქართველებშიც მოდადაა ქცეული. შეუძლია თუ არა, ყველა ხელისუფლებისაკენ მიილტვის. სწორედ ასეთმა ლტოლვამ და იბერთათვის შეუსაბამო ცხოვრების წესის შეძენამ დაგვამცირა და დააკნინა ლეგენდარული იბერიული ცივილიზაცია, რომელიც **„პირინეიდან ინდოეთამდე ვრცელდებოდა“**. (იხ. კუკური ფიფია, ქართული მისალმებელი სიტყვები და საზოგადოების სრულყოფის პრობლემა, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შრომათა კრებული, ტომი 2. 2010, გვ.142), რადგან სხვის ხარჯზე ცხოვრება არაადამიანურია, ველურთა ცხოვრების წესია, საზოგადოების განვითარებას ამუხრუჭებს და, საბოლოოდ, თვით აქეთკენ მიმსწრაფი პიროვნებისთვისაც არაა ხელსაყრელი. ხოლო ვინც თავისი ზნეობითა და ღირსეული ცხოვრების წესით პატივისცემასა და და ლიდერობას იმსახურებს, ღმერთიც არ გასწირავს. მაგრამ ვერ ჩავწვდით ქართველები ჩვენი დაცემის მიზეზებს და ჩვენს შეცდომებს სხვებს ვაბრალებთ. საკუთარი შეცდომებისა და სისუსტის სხვისთვის გადაბრალება კი ლაჩართა წესია, ხოლო დაუფლება უპატრონო და მიტოვებული სიმდიდრისა, რომელიც შეიძლება უპატრონობით განადგურდეს, უზნეობად ვერ ჩაითვლება. ეროვნული მონაპოვრებისა და კულტურული ღირებულებების უპატრონოდ მიტოვებაში ქართველ მეცნიერებს ლომის წილი მიუძღვით და თუ ეს ხარვეზები მოკლე დროში არ იქნება გამოსწორებული, მათ აკადემიიდან გამოძევება და ქართველი ერის რისხვა ვერ ასცდება.

**ხვთისო (ხითოს) უთუთაური,**
**ისტორიკოსი.**

# ღამე, რომელმაც საბოლოოდ ამაღლებინა ხელი სამშობლოში დაბრუნებაზე!

*(1 გვ-დან)*

ეს არის დღევანდელი, ქართული **საზოგადოებრივი მორალი და პასუხისმგებლობა,** რომელსაც მომავალში კიდევ უფრო საშინელი, ამაზრზენი და გადამშენებელი სნეულებები მოჰყვება, რომელსაც საბოლოოდ გადაჰყვება ჩვენი ჯიში და ჯილაგი, დროზე თუ არ გამოვფხიზლდით!..

—ქვეყანა რომ უჩვენოდაც გადაშენების გზას გაუყენეს არახალია, მაგრამ იმდენი მაინც შევიძლოთ – ამ პროცესს ხელი მაინც რომ არ შევუწყოთ!

ამ თემაზე მე ადრეც მითქვამს ორიოდ მოკრძალებული სიტყვა და გადაწყვეტილი მქონდა მომავალში არ მივბრუნებოდი, მაგრამ ისევ „**რუსთავი-2**“-მა და მისმა სტუმრებმა მაიძულეს ხელი ამეღო ჩემს განზრახვაზე, ახალი წლის წინა დღეებში, რუსეთში სამშვიდობო მოლაპარაკებაზე მიწვეულ ქართველ ჟურნალისტებს რომ ლანძღავდნენ საგულდაგულოდ!..

არა მგონია, ეს, ახალი ამბავი იყოს ვინმესთვის. იგი არც ჩემთვის ყოფილა გასაკვირი, მაგრამ სტუდიაში მოწვეულ სტუმრებში ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პროფესორად ნახსენები (თვითონ განაცხადა!) ქალბატონი ლალი მოროშკინა მეცნო, რომელიც რამდენიმე თვის წინ სხვა ოთხ (თურმე ძალიან ცნობილ!) **„ჯერ კიდევ საკმარისზე მეტი ქალური რესურსის მქონე“** მიმზიდველ ქალბატონთან ერთად გამოდიოდა, სწორედ ზემოთნახსენებ „**რუსთავი-2**“-ის ეკრანზე და ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს შეჯიბრში – ვის რამდენი და მეტი ქმარი ყავდა აქამდე!..

თუ დამიჯერებთ, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო (დიდ ბოდიშს მოვიხდი იმ ნაწილის წინაშე, რომელიც „**რუსთავი-2**“-ის აღვირახსნილობის პროპაგანდის წინააღმდეგია!) საზიზღრობაა თქვენი დღევანდელი **„გაქანება“** ევროპის და დანარჩენი მსოფლიოს განვითარებული ცივილიზაციისაკენ!

არაა ეს ასე, თქვენ რომ დაგაჯერეს – **არსად, დედამიწის ზურგზე, მეძავობა, გაუკუღმართებული სექსუალური მიდრეკილებები საამაყოდ არ ითვლება და მას სახელმწიფო არ ახალისებს, საქართველოს გარდა!**

...ჩემდა სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ მიწევს ჩემი და ჩემისთანების უცხოეთში ყოფნის მიზეზის გახსენება: იგი არ ყოფილა უკეთესი, უზრუნველი ცხოვრების ძიებით გამოწვეული (თუმცა უნდა ვთქვა – დიდი უმრავლესობა ქართველთა და არაქართველთა, სწორედ ამის გამო გამოიქცა საქართველოდან და ტანჯულის მანტია მოისხა უცხოეთში... მათ სინდისზე იყოს ის ყველა დაუმსახურებელი სიბინძურე, რაც ჩვენი სამშობლოს მისამართით უვრცელებიათ, ოღონდ დამკვიდრებულიყვნენ იქ, სადაც მათ არ ეკუთვნოდათ! ჩვენ, საკუთარი სამშობლოდან სიკვდილს გამოვექეცით, რომელიც შევარდნაძის, ქართველთა გადაშენების გეგმის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა! ამიტომ (და არა მარტო ამიტომ!) ჩვენთვის მიუღებელია ის „**ჭირთათმენა**“, როგორც ამას მიხატავენ (სხვა რა უნდა ქნას მეძავობის გარდაო?!.) და მარწმუნებენ სხვაგან უარესი ხდებაო!..

**– მე სხვისი საბნის ქვეშ არ ვიხედები, ჩემი სისუფთავე მაინტერესებს მხოლოდ!**

გამომდინარე აქედან, გაოგნებული დავრჩი, როცა ამ შემოდგომაზე აფრიკაში (ძირითადად ნიგერიაში) მომიწია ყოფნა. თავიდანვე უნდა აღვნიშნო – იქ არავის არაფერი უკვირს, ყველა იმას აკეთებს, რისი საშუალებაც გააჩნია, ოღონდ ჩვენგან განსხვავებით – იმას არ იჩემებს, რაც თვითონ არ არის!..

ბოდიშს მოგიხდით, ცოტა გადავუხვიე, ვატყობ კალამი გამექცა, აქ დავსვათ წერტილი და ისევ დავბრუნდეთ ნიგერიაში!

შვეიცარია რომ ევროპის „**ბრილიანტია**“ ამას ჩემი მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ ამ „**ბრილიანტის**“ გულისგულში, კიდევ უფრო კაშკაშა ბრილიანტი „**ლიხტენშტეინი**“ რომ დევს, არც ამას სჭირდება ჩემი საგანგებო „**გახმოვანება**“ (ხედავთ?.. – ვერც მე გავექეცი ამ მახინჯ, მაგრამ ქართულ მედიაში დამკვიდრებულ გამოთქმას „**გახმოვანება!**“), მაგრამ ის კი აუცილებლად უნდა აღვნიშნო – ევროპის შუაგულის (და არა მარტო შვეიცარიის!) სამოთხის სადარ, პაწაწკინტელა სახელმწიფოს ერთადერთი ზანგი მოქალაქე ჰყავს – სახელად მანდეი ჰქვია მას და ჩემი მეგობარია!.. სწორედ მისი დახმარებით მოვიარე აფრიკის ულამაზესი კონტინენტი და მისი ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო ნიგერია.

მოსაყოლის მეტი რა მაქვს, მაგრამ ყველაფრის მწვერვალი იყო ლიხტენშტეინში დაბრუნებულს მანდეი რომ მეკითხება: – **დავით, რას ფიქრობ, რა განსხვავებაა ქართველებსა და ნიგერიელებს შორის?**

თითქოს მარტივი კითხვაა, მაგრამ მაინც გამიჭირდა – რა არ გავიფიქრე, ყველაზე მძიმედ კი მეგობრის წყენინება მომეჩვენა, ჩემი მომავალი პასუხით!..

თითქოს ყველაფერი ეს, უსიტყვოდ ამოიკითხა ჩემში და მანდეიმ თვითონვე მომიგო: – ჩემო ძვირფასო მეგობარო, ტვინს ნუ იჭყლეტ – განსხვავება ფერშია მხოლოდ, ქართველებსა და ნიგერიელებს შორის! ...ამიტომაც არიან ისინი დაუნდობელნი თავიანთი გაჭირვებული მეზობლების მიმართ – როგორც ნიგერიელს, ისევე ქართველს არ შერცხვება სამშობლოსთვის მოპარული ფულით, საგანგებოდ ძვირადღირებული მანქანებით თვალწინ უტრიალონ სტუმრებს და ამ დროს მეზობელს შიმშილით უკვდებოდეს შვილები. ან კიდევ... რა მნიშვნელობა აქვს, კიდე რა?!.

—კიდევ ერთი განსხვავებაა, აგრძელებს მანდეი,— ხალხი ჩვენთან გაცილებით კანონმორჩილია (კრიმინალებს არ ვგულისხმობ!), ვიდრე თქვენთან საქართველოში!.. მე იქ არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ათიოდე წლის წინ გაეროს მისიით მიპირებდნენ საქართველოში გაგზავნას და ერთი წელი თქვენს უძველეს და აქტუალურ ისტორიას ვსწავლობდი. ბევრი რამ კიდევ, თქვენს ქვეყანაში ნამყოფი ჩემი კოლეგებისგან მოვისმინე და ამიტომ ვაკეთებ შენთან ასეთ თამამ დასკვნებს!.. პრესის წინაშე ამას არ ვიტყოდი!.. უეცრად გაჩუმდა და მეკითხება – დავით, მგონი შენ არ მისმენ!..

– არა, როგორ არ გისმენ, უბრალოდ დავფიქრდი!

—მოვიტყუე!..

სინამდვილეში მანდეის მონაყოლმა ჩემი ერთი გერმანელი მეგობარი გამახსენა, საქართველოში ხანგრძლივი მისიის შემდეგ, როგორი აღფრთოვანებული ყვებოდა ჩვენი ძველი ისტორიის შესახებ (აქვე მინდა მკითხველი გავაფრთხილო: ნუ იფიქრებთ ყველა ჩამომსვლელი ჩვენი ისტორიის სიძველეზე ჭკუას კარგავდეს. იშვიათად ჩამოდიან ასეთები, ვისთვისაც ისტორია ჰობი, ან პროფესიაა!) და როგორი გულდაწყვეტილი იყო დღევანდელი საქართველოს მოსახლეობის საქციელით: – **თუ შენს სიახლოვეს ძვირადღირებული მანქანა მოძრაობს, განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებს, რადგან მას ათიდან ცხრა შემთხვევაში კანონდაუმორჩილებელი, ახალგამდიდრებული ქართველი, პარლამენტარი, მაღალი თანამდებობის „სამართალდამცველი“ ან ჩინოვნიკი მართავს, რომელთათვის სახელმწიფო კანონები მხოლოდ ქაღალდზე არსებული ნორმატიული აქტებია!**

ცხადია, ამას მანდეის ვერ მოვუყვებოდი და ამიტომაც მოვიტყუე!..

ეტყობა მანდეიმ იგრძნო ჩემი უხერხულობა და თვითონვე სცადა სიტუაციის განმუხტვა. და კარგადაც გამოუვიდა – **დავით, შენ კარგად იცი, ჩვენთან მრავალსეზონური ტანსაცმელი საჭირო არ არის, მაგრამ ყველა გლეხს ერთი „საგარეო“ ფეხსაცმელი მაინც აქვს ქალაქში წასასვლელად!..**

– მარტო ფეხსაცმელი? –კითხვა მივაგებე...

**– დიახ, ძირითადში მარტო ფეხსაცმელი!., მაგრამ, შენ ხომ არ გგონია ფეხსაცმელს იმიტომ იცვამენ ვიღაცას თავი მოაწონონ?!. (თუმცა ასეთებიც მომრავლდნენ ამ ბოლო დროს... ცხოვრებას მოაქვს!) ასფალტია ქალაქში ცხელი და იმიტომ არის საგანგებო ფეხსაცმელი აუცილებელი!.. თქვენთან კი, ქალები და კაცები მოდელებივით გამოწყობილები დადიან ქალაქში!..**

თითქოს ნაღველი დაეტყო მანდეის ბოლო სიტყვებს... მთლად მასე არ არის ჩემო მანდეი – კარგა ხანია ჩვენთანაც გამოჩნდნენ დაგვაჯულ და დაფხრეწილ ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდობა!.. ამერიკული ცივილიზაცია ჩვენთან სწრაფად შემოდის!..

თავის მოსაწონებლად რომ არ მითქვამს უკანასკნელი ფრაზა, მანდეი უჩემოდაც მიხვდა და განაგრძო:

– ეგ საქმე არ არის დიდად სასიხარულო!.. ბოლო 20 წლის მანძილზე, სადაც კი მომიწია გაეროს მისიით ყოფნა, ყველგან ამერიკული სიბინძურეები დაგვხვდა – ადრე, მათივე აღზევებული კრიმინალების გასანეიტრალებლად გვიწევდა ყველგან იარაღის და საფრთხის ქვეშ მუშაობა... ბენ ლადენი ხომ გახსოვს?.. ვინ აღზარდა და შექმნა იგი?!. ეს საშიშროება თქვენც მოგელით, მითუმეტეს თქვენი ხალხი განსაკუთრებით ნიჭიერია და ასეთი ხალხის ხელში დაუმსახურებლად მოხვედრილი დიდი ფული და იარაღი განსაკუთრებით საშიშია!.. უფრთხილდით ამერიკულ ექსპანსიას, დღეს რომ საზეიმოდ და საამაყოდ მიგაჩნიათ, იგი მომავალში სისხლით და სიცოცხლის ფასად საზღვევი არ გაგიხდეთ!..

მანდეის საუბარმა ისევ ფიქრებში გადამისროლა. გასულ ზაფხულს, ომის დაწყების წინ, გელათში, სრულიად შემთხვევით, დიდი ხნის უნახავ, ჩემს უფროს მეგობარ და მასწავლებელ ექსკურსიამძღოლს შევხვდი. გავიხსენეთ ის დრო, როცა მეც, იმჟამად სტუდენტი, შაბათ-კვირას ტურისტებს დავყვებოდი მეგზურად და ხშირად ჩემთვის საექსკურსიო კონსპექტები მოუცია... ჩემი მოულოდნელი ნახვით და გერმანიაში ცხოვრებით გახარებული მოხუცი, კინაღამ დასაბმელი გახდა:

**—კარგი დრო იყო კარგი, ქვეყანა დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, დიდი და პატარა ერთი კაცის გარშემო, ერთი დიადი მიზნისკენ ისწრაფვოდა. მივაღწიეთ კიდეც, მაგრამ ყველას დაგვავიწყდა, რომ დამოუკიდებლობა თავისუფლების გარეშე ისეთივე „ფრინველია“, როგორიც სირაქლემაა ჩემო დავით!.. გონს რომ მოვეგეთ, ის კაცი კი მოგვიკლეს, ვისაც ამ გზაზე მივყავდით და დავრჩით ასე – უპატრონოდ, უსამშობლოდ, უიდეოდ, უმიზნოდ და ვინ მოთვლის – რამდენი „უ“-ა კიდევ სათქმელი!..**

**ეს კიდევ არაფერი, ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ საქართველოში დიდი ფული იმ ადამიანებმა მოიხვეჭეს, რომლებსაც არასოდეს წიგნთან ურთიერთობა არ ჰქონიათ!.. სამშობლო, ეროვნული, ტრადიციული, რელიგიური მცნებები მათს გენეტიკაში არასოდეს დებულა. ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი უბედურება სწორედ ეს ადამიანებია, რომლებმაც, ყოველივე ზემოთხსენებული ღირებულებების გაყიდვით მოიხვეჭეს უზარმაზარი სიმდიდრე!.. ამ საკითხს არავინ უფიქრდება, არცერთ ოპოზიციონერს არ დაცდენია სიტყვა ამ – ჩემის აზრით დაუძლეველ გასაჭირზე და იცი რატომ ჩემო დავით?.. ნუ მათქმევინებ თუ კაცი ხარ, შენ თვითონაც კარგად იცი, ხელისუფლებაში რომ მოვლენ ისინიც წინამორბედთა გზას გააგრძელებენ!..**

თავზარდამცემი იყო ჩემთვის დიდი ხნის უნახავი, ოთხმოცდაათს მიტანებული უფროსი მეგობრის მძიმე „**აღსარება**“... თბილისში დავპატიჟე, შეხვედრაც დავთქვით, მაგრამ აგვისტოს ომმა მომისწრო მაშინ და დროზე ადრე მომიწია საქართველოდან წასვლა.

ამ ფიქრებში ვიყავი ჩაძირული და ვერც კი გავიგე, როდის შეწყვიტა მანდეიმ საუბარი. სააქაოს ისევ ჩემმა შავმა მეგობარმა მომაბრუნა. მხოლოდ მაშინ შევნიშნე როგორი გაკვირვებული მიყურებდა.

– **ყავა ხომ არ დაგველიაო!** – შემეკითხა.

მაშინვე დავეთანხმე. იმ დღეს მეტი არ გვისაუბრია ამ თემაზე.

მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ შევხვდით ერთმანეთს ვადუცში. გამარჯობისთანავე გახუმრება სცადა და ჩვენი ბოლო საუბარი შემახსენა – **ხომ არ დაგავიწყდა დავით, ჩვენს შორის რომ მხოლოდ ფერშია განსხვავება?!. ამიტომაც გვექცევიან ერთნაირად, საქართველოსა და ნიგერიაში, ვითომ ჩვენი, ფულიანი, ოკეანისგაღმელი კეთილისმსურველები.**

**– კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ჩემი ფერის** (მანდეი, მართლაც „**გულმოდგინედ გაფერადებული**“ შავია!) **ხალხს ვინმესთვის სამშობლო წაერთვას!.. თუ კი სადმე გავმრავლდით, ჩვენგან დაუკითხავად ჩავყავდით ყველგან, ისიც იმიტომ, რომ მათ იქ ვჭირდებოდით!..**

კინაღამ გულზე შემომეყარა! მანდეი მართლა ძალიან მიყვარს, მაგრამ მის სამშობლო ნიგერიაში, ლიხტენშტეინში და თუ მაინც და მაინც საქართველოში – მაშინ მხოლოდ და მხოლოდ სტუმრად!

დასწყევლოს ღმერთმა! უცებ, თვალწინ წარმომიდგა ახალგაზრდობისგან დაცლილი ჩემი სამშობლო – სახურავჩანგრეული და კიბეებზე ბალახამოსული სახლებით, რომელიც რამდენიმე წელიწადში შესაძლოა მანდეის ჯიშის და ფერის ხალხის მოსავლელი გახდეს...

ეტყობა სახეზე ფერი წამსვლოდა და მანდეი შეწუხებული შემეკითხა

**– ცუდად ხომ არ ხარ, რა გჭირს დავით?**

მე არაფერი ჩემო მეგობარო – ჩემს სამშობლოს ჭირს უკურნებელი ჭირი, რომელსაც მე ვერაფერს ვშველი!..

**დავით შოთაძე,**
**კობლენცი, გერმანია**

**P.S.** გული არ მიზამს აფეთქებულ ობელისკებს არ მივუბრუნდე. ამ გაზაფხულზე, ჩემს გერმანელ სტუმრებთან ერთად, ახმეტიდან განმუხურამდე მომიწია მგზავრობამ. სამწუხაროდ, ეს არის ის, რაც საქართველოდან დღეისათვის შემოგვრჩა. გზა და გზა საგანგებოდ ვაკვირდებოდი ომში დაღუპულთა მემორიალებს, რომლებიც უმეტესწილად გზის პირასაა მოწყობილი და ოდესღაც ყველა სოფლის და ქალაქის სიამაყეს და ღირსებას წარმოადგენდა.

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, ოდესღაც დიდი სამამულო ომის გმირების ნათელსაყოფად აღმართულ ობელისკებს ახალი ომი გადაეტანოთ – ზოგან სურათები ჩაუმტვრევიათ, ზოგან ძვირფასი მარმარილოს ფილები აუგლეჯიათ ფასადებიდან, ზოგან კიდევ ომში დაღუპული შვილების მოტირალი დედის ქანდაკება შეულახავთ!..

ყველგან ერთი და იგივე ხელწერა, ყველგან **“საზოგადოებრივი მორალისა და პასუხისმგებლობის”** არ არსებობა!

სხვას ვერაფერს ვუწოდებ, საკუთარი თვალით ნანახს, რომელთაც თვალნათლივ ეტყობათ ამერიკული ვანდალიზმით შეპყრობილი **“ახალი ქართული საზოგადოების”** უტყუარი კვალი!

**– ევროპა ასე რომ არ იქცევა?!**

ერთი, პატარა, ბელგიური ქალაქ “**Sint Truiden**”-ის მაგალითიც კი კმარა ამის დასტურად. 1000 წლის დაარსებული ქალაქის ცენტრს – 1812-14 წლების, პირველი და მეორე მსოფლიო ომებში დაღუპულთა უკვდავსაყოფად აღმართული ობელისკი ამშვენებს, რომელსაც საგანგებო პატივს მიაგებს ყველა თაობის ბელგიელი თუ ჩამოსული სტუმარი. მე ხშირად მიწევს იქ ჩასვლა და დღე არ მახსენდება, ცოცხალი ყვავილებით მიმსვლელი კლებოდეს მას.

ჩემი ბელგიელი მასპინძლები მომიყვნენ – **აქ, ადგილობრივზე ბევრად მეტი, დამპყრობია დაცემული, მაგრამ ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს – ისინი, მათ და უნებურად, ბოროტი ძალის ბრძანებას ასრულებდნენ და მათი სულებიც მოფერებას და პატივისცემას საჭიროებს, ჩვენ მათთვისაც აღვავლენთ ლოცვას ჩვენს ტაძრებში!**

ჩემო ძვირფასებო, ჩემო ქართველებო **– ეს გახლავთ საზოგადოებრივი მორალის და პასუხისმგებლობის მაგალითი, თქვენგან, ხშირად, სარწმუნოებადაწუნებულ (მათი არამართლმადიდებლობის გამო!) ბელგიელებს რომ გააჩნიათ!**

წელს, თებერვალში ყაზახი სტუმრები მყავდა ბერლინში. ქალაქის ექსკურსიაზე წაყვანა მთხოვეს. დასასრულს, მიუხედავად ცუდი ამინდისა **“ტრეპტოვ პარკის”** დათვალიერებაც ისურვეს. მე თითონაც არ ვიყავი იქ დიდი ხნის ნამყოფი და სიამოვნებით ვეწვიეთ თითქმის ოც ჰექტარ ფართობზე გაშენებულ, მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლთა უკვდავსაყოფად **სსრკ**-ს მიერ გაშენებულ მემორიალს, რომელსაც ევროპის განმათავისუფლებელი საბჭოთა ჯარისკაცის გრანდიოზული ქანდაკება და მავზოლეუმი ამშვენებს. მოკლე ისტორიული ექსკურსის შემდეგ, სტუმრები თავის გემოზე მივუშვი და მავზოლეუმსა და ქანდაკებას შორის მოწყობილი, ერთ კილომეტრამდე სიგრძის სქვერის ორივე კიდეზე განლაგებულ მემორიალურ დაფებს მივაშურე, რომლებზეც მეორე მსოფლიო ომის დიდი შემომქმედის, ფაშიზმის დამმარცხებლის იოსებ სტალინის გამონათქვამები მეგულებოდა. ერთერთი მათგანი იყო ჩემთვის საგანგებოდ საინტერესო, რაც **Potsdam**-ის კონფერენციაზე ითქვა

**“ჰიტლერები მოდიან და მიდიან, გერმანელი ერი კი რჩება!”**

და გერმანელი ერის ბედიც გადაწყვიტა.

ამერიკელები, ინგლისელები და ფრანგები კი საბოლოო გადაშენებას უქადდნენ მათი შემდეგი პროექტებით:

1. **ომის დამთავრების შემდეგ, გერმანელები უნდა გადავასახლოთ მსოფლიოს ყველა კუთხეში, ისე, რომ მათმა ერთად თავმოყრა ვერასოდეს შეძლონ!**
2. **ომის დამთვრების შემდეგ, გერმანელებს არ მივცეთ ერთმანეთზე ქორწინების უფლება გერმანიაში ჩავასახლოთ ფერადკანიანები და ასე გადაწყდება გერმანული პრობლემა!**
3. **ომის დამთავრების შემდეგ, გერმანელები გადავასახლოთ შავ კონტინენტზე, სადაც მათი ასიმილირება მოხდება შავკანიანებთან და გერმანული საშიშროებაც აღარ იარსებებს!**

—როცა საბჭოთა ქვეყნის ლიდერის ჯერი მოდგა, გამოეთქვა თავისი აზრი, სწორედ მაშინ ბრძანა მან მოკლე, მაგრამ ყველა მონაწილესთვის გადამწყვეტი ფრაზა:

**“ჰიტლერები მიდიან და მოდიან, გერმანელი ერი კი თავის სამშობლოში რჩება!”** – რომელმაც გადაწყვიტა კიდეც ომის შემდგომი გერმანელი ერის ბედი!

ამაოდ ვეძებე ჩემთვის ნაცნობი და საგანგებოდ საინტერესო წარწერიანი დაფა!

ყველაფერი საუცხოოდ აღუდგენიათ და შემოუნახავთ გერმანელებს **“ტრეპტოვ პარკში”** გარდა იმ ისტორიული დაფისა... გული დამწყდა, უმადურობა არ სჩვევია გერმანელებს, მაგრამ მალევე გამიარა წყენამ, რადგან მივხვდი, ეს გადაწყვეტილება მარტო გერმანელების მიღებული არ იყო – **გერმანელებზეც არანაკლები ზეგავლენა აქვთ ამერიკელებს, რომელთა პროექტის შედეგია 85 მილიონიანი გერმანიის საგარეო სახე – კაცზე გათხოვილი კაცი, ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი (არ ვიცი როგორ მოვიხსენიო ბატონად თუ ქალბატონად!) გიდო ვესტერველე!**

რაც იმის ნიშანია (არ მეშინია ხმამაღლა ვთქვა), რომ გერმანიას სასწრაფოდ სჭირდება იმ მასშტაბის არა, მაგრამ პატარა ადოლფი!.. როდის გველირსება თორემ, საქართველოსაც არ აწყენდა პატარა სტალინი!

...არავის მოსვლია აზრად, რუსთმოძულე გერმანიაში, მათი მამაპაპათა დამმარცხებელი ქვეყნის და ხალხის მიერ აშენებული ობელისკის აფეთქება, რომლის აღდგენარესტავრაცია 28 მილიონი ევრო დაუჯდა ხელახლა გაერთიანებულ გერმანიას!

ეს იმიტომ, რომ, გერმანელ ერს – **საზოგადოებრივი მორალი და პასუხისმგებლობა გააჩნია!**

ილორი

# ინფორმაცია ინფორმაცია ინფორმაცია

## ზუგდიდიდან აფხაზეთში ტვირთის გადატანას რუსები და აფხაზები მიესალმებიან

საქინფორმის რეგიონული კორესპონდენტი სამეგრელოში **ბატონი ლადო ქირია** ზუგდიდიდან გვატყობინებს:



**„ქალაქებს გალსა და ზუგდიდს შორის სატრანსპორტო მოძრაობა ჩვეულ რიტმს უბრუნდება. რამდენიმე ხნით შეფერხებული ტრანსპორტირება შემოვლითი გზებით ისევ განახლდა. ყოველდღიურად 10-12 ავტობუსი თუ მიკროავტობუსი მოძრაობს გალსა და ზუგდიდს შორის და პირიქით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მაინც არის მცირედი დაბრკოლებები და წინააღმდეგობები.**

**ზუგდიდიდან გალსა და აფხაზეთის დანარჩენი რაიონების მიმართულებით ყოველდღიურად გადის ყველა სახის ტვირთი: სურსათი, ყველი, ბოსტნეული, საყოფაცხოვრებო ნივთები, რაც იქაურ ბაზრებში საკმაოდ სწრაფად იყიდება და რითაც სარგებლობს როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე თვით აფხაზებიც და რუსებიც. ამიტომაც ისინი ხელს არ უშლიან ზუგდიდის მხრიდან ამ ტვირთის შემოდინებას აფხაზეთში. პირიქით – მიესალმებიან და მადლიერებას გამოთქვამენ ქართული მხარის მიმართ, რომ არ კრძალავს და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ატარებს ტვირთს**

საქინფორმი

## „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების“ მორიგი შეხვედრა განმუხურში

როგორც საქინფორმის რეგიონული კორესპონდენტი სამეგრელოში ზუგდიდიდან გვატყობინებს, ლიტვის საელჩოს დაფინანსებით ზუგდიდის რაიონის ენგურსგაღმა სოფელ განმუხურში არასამთავრობო ორგანიზაცია **„ქართულ-აფხაზურმა შერეულმა ოჯახებმა“ (ხელმძღვანელი რეზო ბენდელიანი) მორიგი შეხვედრა ჩაატარა, რომელსაც ესწრებოდნენ ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების, საერ-**



**თაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეზობლები და ნათესავები ენგურსგაღმა და ენგურსგამოღმა სოფლებიდან. „ყველა შეხვედრაზე მთავარი საკითხია კონფლიქტის მოგვარება და ამ საკითხში შერეული ოჯახების, მათი წარმომადგენლების როლი და მნიშვნელობა. პირველ ეტაპზე აუცილებელია ეკონომიკური საკითხების მოგვარება, ანუ მცირე ბიზნესის განვითარება“,** – აღნიშნა რეზო ბენდელიანმა. მისი თქმით, ენგურისპირა სოფლებში უნდა გაიხსნას მცირე ბაზრობები, სავაჭრო ობიექტები, სადაც ქართველებსა და აფხაზებს ერთად შეეძლებათ ბიზნესსაქმიანობაში ჩართვა.

## თბილისის ანტირუსული ისტერია

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კომენტარი დაკავებული ფოტოგრაფების საქმესთან დაკავშირებით უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრე ლუკაშევიჩმა გაავრცელა. მისი თქმით, რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის



ბრალდებით ფოტოგრაფების დაკავება **„თბილისის ანტირუსული ისტერიის“** ნაწილია. **„მხოლოდ იმის კონსტატირება შემიძლია, რომ თბილისში კვლავ ძალებს იკრებს ანტირუსული ისტერია. ხელისუფლება დიდი მონდომებით არწმუნებს მსოფლიო საზოგადოებასა და საკუთარ მოსახლეობას, რომ საქართველო წალეკილია რუსი ჯაშუშებითა და დივერსანტებით, რომელთაც მუხლჩაუხრელად ებრძვიან ქართველი სამართალდამცველები“,** – განაცხადა მან.

## ეჩმიაძინი სააკაშვილს ემადლიერება

წმიდა ეჩმიაძინი სომხური სამოციქულო ეკლესიისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭების შესახებ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მიესალმება და მადლიერებას გამოხატავს პრეზიდენტ სააკაშვილისადმი, რაკი მან ამ საკითხში სომხური სამოციქულო ეკლესიისადმი შემხვედრი ნაბიჯი გადადგა.

ეჩმიაძინის პრესმდივან ვარგამ მელიქიანის განცხადებით, **„ეს პროცესი გარეგინ მეორეს საქართველოში ვიზიტის დროს მიღწეული შეთანხმების შედეგად განხორციელდა“**

**„ვიზიტის ფარგლებში კათოლიკოსმა გარეგინ მეორემ და საქართველოს პრეზიდენტმა მიაღწიეს შეთანხმებას იმასთან დაკავშირებით, რომ სომხეთის სამოციქულო ეკლესიის ქართული ეპარქიისა და ამ ქვეყანაში სომხური სათვისტომოს წინაშე მდგომი საკითხები ეტაპობრივად გადაწყდებოდა. პირველ ეტაპზე სომხეთის სამოციქულო ეკლესიისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭების საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო. ამასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტმა რამდენიმე მოსმენით მიიღო კანონპროექტი, რომელიც ქვეყანაში მოქმედ რამდენიმე რელიგიური გაერთიანებისთვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებას ითვალისწინებს“,** – განაცხადა მელიქიანმა.

რაც შეეხება სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ილია მეორეს პოზიციას, მელიქიანის თქმით, **„ჯერ კიდევ გარეგინ მეორეს საქართველოში ვიზიტის დროს ილია მეორე ამ საკითხის განხილვის გადატანის ინიციატივით გამოვიდა“.**

მისივე აზრით, **„ქართული ეკლესიის შეშფოთება არა იმდენად**



**სომხური სამოციქულო ეკლესიისა და სხვა ტრადიციული ეკლესიებისთვის სტატუსის მინიჭებას შეეხება, რამდენადაც სექტებს, რელიგიურ ორგანიზაციებსა და მიმდინარეობებს“.**

**„საქართველოს საპატრიარქოს განცხადებაში სწორედ ეს ჩანს“** – მიიჩნევს მელიქიანი.

კითხვაზე, იქნება თუ არა შემდეგი ნაბიჯი სომხური სამოციქულო ეკლესიისთვის სომხური ეკლესიების დაბრუნების საკითხი, მელიქიანმა განაცხადა: **„შემდეგი ეტაპი სწორედ სომხური სამოციქულო ეკლესიის ქართული ეპარქიისთვის სომხური ეკლესიების დაბრუნებას ითვალისწინებს, რათა ეპარქიამ შეძლოს, სომეხ ხალხს სრულფასოვნად ემსახუროს და ამ ეტაპზე საუბარი 6 ეკლესიაზეა“.**

საქინფორმი

**გაზეთი „ილორი“: ქართველმა ხალხმა და საქართველოს ეკლესიამ დააფრთხო სააკაშვილის სომხური ხელისუფლება და გზა გადაუკეტა ეჩმიაძინის ბოდვაში გადასულ ამ ოცნებას, მაგრამ მუდამ სხვისას დახარბებული მონოფიზიტები, ვიცი მაინც ვერ მოისვენებენ და მათგან ახალი „სიურპრიზების“ მოლოდინში უნდა ვიყოთ.!**

## დევნილების „დევნა“ გრძელდება

თბილისში, ვარკეთილის 204-ე ბაგა-ბაღის შენობაში, სამღერეთის ქუჩაზე მდებარე თამარ მეფის სახელობის სკოლა-პანსიონში, ყაზბეგის №16-სა და უზნაძის №8-ში კომპაქტურად მცხოვრები დევნილები გამოსახლების მოლოდინში არიან. 8 ივლისს დევნილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლებმა აუწყეს, რომ მათ ეძლევათ ათდღიანი ვადა და 18 ივლისს საცხოვრებლები უნდა დაცალონ.

დევნილებისთვის განკუთვნილ წერილში წერია, რომ თუ ათ დღეში დევნილები აღნიშნულ ობიექტებს არ დაცლიან, შსს-ის 447-ე ბრძანების შესაბამისად, პოლიციას უფლება აქვს, ისინი იძულებით გამოასახლოს

დევნილთათვის მიუღებელია სამინისტროს მიერ სხვადასხვა რეგიონში შეთავაზებული ალტერნატიული საცხოვრებელი ფართები, ამიტომ საკუთარი ნებით ამჟამინდელი საცხოვრებლების დატოვებას არ აპირებენ.



# ბორის ვიქტორის ძე ადლეიბა 80 წლის გახდებოდა



ბორის ვიქტორის ძე ადლეიბა დაიბადა 1931 წლის 17 ივლისს, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოსტაპში. მე-8 კლასამდე სწავლობდა სოფელში, შემდეგ კი სწავლა გააგრძელა ოჩამჩირის №2 რუსულენოვან საშუალო სკოლაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1951 წელს.

ბორისის მამა – ვიქტორი ოჩამჩირის მილიციის უფროსის მოადგილე იყო და ადამიანებისადმი საოცარი ყურადღებიანობითა და გულისხმიერებით გამოირჩეოდა. ასევე თბილი ადამიანი იყო ბორისის დედაც – ქალბატონი ლუბა ჩაჩბა.

ბავშვობა საკმაოდ მხიარული გვქონდა – მთლი სოფლის ბავშვები ერთად ვიკრიბებოდით და დილიდან საღამომდე ბურთს დავდევდით. ფეხბურთი მაშინ **“მოდაში”** გახლდათ, მთელი საბჭოთა კავშირის ფეხბურთელები საწვრთნელი ვარჯიშებისათვის აფხაზეთის შავიზღვისპირეთის კურორტებში ჩამოდიოდნენ, რაც დიდი სტიმული იყო ადგილობრივი ბავშვებისათვის. ამიტომ, საბჭოთა კავშირის **“ა”** და **“ბ”** კლასის გუნდებში ხშირად შეხვდებოდით აფხაზეთში დაბადებულ და აღზრდილ ფეხბურთელებს.

ბორისი საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩაერთო შრომით ფერხულში და როგორც უაღრესად ნიჭიერი და ინიციატივიანი ყმაწვილი, ოჩამჩირის კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორად დანიშნეს. მალე იგი რაიონის ახალგაზრდების თავკაცი გახდა – დანიშნეს ოჩამჩირის კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად. მცირე ხანში მიიქცია რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის ყურადღება და 5 წლის შემდეგ ბორისი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად გადაიყვანეს. არც აქ დაუყოვნებიათ დიდი ხანი – მალე კომპარტიის ოჩამჩირის პირველ მდივნად დააწინაურეს.

შრომისაგან მოუწყვეტლივ დაამთავრა კრასნოდარის იურიდიული ინსტიტუტი. რაიკომის მდივანს საქმეს რა გამოულევდა, ამიტომ, მხოლოდ გვიან ღამის საათებში შეეძლო სახელმძღვანელოებზე მუშაობა – მაშინ, როცა სახლში ყველას ეძინა.

ბევრი რამ გაკეთდა ოჩამჩირის რაიონში და თვით ქალაქშიც, ბორის ადლეიბას პირველი მდივნობის დროს. მეფრინველეობის მსხვილი კომპლექსები აშენდა სოფლებში ახალი კინდღი, მერკულა და ილორი. სოფელ არადუში ექსპლოატაციაში შევიდა მეღორეობის თანამედროვე კომპლექსი 100 ნეზვზე, ასეთივე კომპლექსი აშენდა სოფელ ჩლოუშიც და ა.შ.

ქალაქ ოჩამჩირეში მთლიანად მოასფალტდა 15 ქუჩა, აშენდა რამდენიმე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, მწყობრში ჩადგა რამდენიმე სკოლა, ბაგა-ბაღი, კულტურის სახლი და სხვა მრავალი.

ცნობილია, რომ ქვეყანას არასოდეს ჰყოლია საქმიანი კადრები თავზესაყრელად, ამიტომ, როცა ინიციატივიანი და საქმიანი კაცი გამოჩნდებოდა, ერთ თანამდებობაზე დიდ ხანს არ აჩერებდნენ და ყოველთვის ძნელ უბნებზე აგზავნიდნენ სამუშაოდ. ამიტომ იყო, რომ მალე ბორისი კომპარტიის ტყვარჩელის ქალაქკომის პირველ მდივნად გადაიყვანეს, რამდენიმე თვეში კი პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გახდა. ეს იყო უაღრესად საპასუხისმგებლო თანამდებობა, რადგან მაშინ აფხაზეთი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი რესპუბლიკა გახლდათ.

საკმაოდ გვიან შექმნა ოჯახი – ცოლად შეირთო ლუდმილა (პაუსია) ნესტორის ასული ლაბახუა, რომელიც ოჩამჩირის საავადმყოფოს მთავარ ექიმად მუშაობდა. სამი ვაჟიშვილი შეეძინათ. მათგან ერთ-ერთი – ასთამურ ადლეიბა ქალაქ სოხუმის მერი იყო.

საერთოდ, ოჩამჩირელები გამოირჩეოდნენ თავისი იუმორით, რის გამოც მას აფხაზეთის **“გაბროვოსაც”** კი უწოდებდნენ. სხვებს იუმორში არც სულგანათლებული ბორისი ჩამორჩებოდა. ერთხელ, როცა მე და ჩემმა მეგობარმა – იური ლაგვილავამ ლენინგრადში გამგზავრება გადავწყვიტეთ, ბილეთების **“დასაჯავშნად”** ბორისთან მივედით, რომელიც მაშინ უკვე საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი იყო. დასვენების სეზონზე ბილეთების შოვნა ჭირდა და ბორისის იმედი გვქონდა. თანაშემწეს დავურეკეთ, რომელმაც რაიონში გასულ ბორისს მანქანის ტელეფონით მოახსენა ჩვენი თხოვნის თაობაზე.

– გამოგიყოთ ორი ბილეთის ჯავშანი, მაგრამ არა ლენინგრადში! – სიცილით გვითხრა თანაშემწემ.

– აბა სად? – გავიოცეთ ჩვენ!

– ერთი ბილეთი იურისთვის დაჯავშნა არასაძიხში (ამ სოფელში იურის მამა ცხოვრობდა), თქვენი ბილეთი კი ბესლახუბამდეა დაჯავშნულიო (მე რაიკომიდან მუდამ ამ სოფელში ვიყავი მიმაგრებული).

სამეგობროში ბორისი აშკარად გამორჩეული იყო ყველასაგან. საოცრად ჯანმრთელი ადამიანი გახლდათ, ამიტომ არ მჯერა, რომ იგი ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა. იგი რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელად დარჩენილიყო, ღრმად მწამს, რომ საქმეს აფხაზებისა და ქართველების კონფლიქტამდე არ მიიყვანდა.

ბორისი სოფელ ჩლოუში დაკრძალეს, საოჯახო სამვალეში, სადაც დაკრძალული არიან მისი მშობლებიც.

ახლა, როცა ბორისის ქართველი მეგობრები მოკლებული ვართ მის საფლავზე მისვლისა და ქრისტიანული ვალის მოხდის საშუალებას, კიდევ უფრო გვიმძაფრდება ერთგული მეგობრის და შესანიშნავი მამულიშვილის უდროოდ გარდაცვალებით გამოწვეული სევდა.

ნათელში იყოს შენი სული, ძმაო ბორის!

გვწამს, რომ მალე ვეწვევით შენს სამარადისო განსასვენებელს!

თანაკლასელთა სახელით,

**ჭიჭიკო ბარამია,**
**ზუგდიდი**

**ბორჯი მეოთხე**

იქ, სადაც ადამიანური განზომილებები, ფასეულობანი მარცხდება, რკინაბეტონის ზეიმი აბსურდიაო, იკითხება ნოდარ წულეისკირის რომანის მორალიდან და მეც იმ სირაქლემასავით ვმშვიდდები, აშკარა საფრთხე რომ მოსდგომია კარზე, მაგრამ დიდის მოხერხებულობის წყალობით თავი ქვიშაში უდურთავს,

ამ ადრიან გაზაფხულზე გაზეთები დაუჯერებელ ამბავს მაუწყებენ, გამენდობიან, რომ ენგურს ძველ კალაპოტში დინება შეუწყვეტია და ამიერიდან გალის რაიონში გაჭრილი არხით გაიკვლევს გზას შავი ზღვისაკენ.

ვგრძნობ, რაღაც მშობლიური, რაღაც მახლობელი წამერთმევა ერთხელ და სამუდამოდ, მაგრამ იხტიბარს მაინც არ ვიტეხ, ვერ ვილევი სულზე ძვირფასსა და სანატრელს, დაახლოებით ამგვარი გრძნობებით შეპყრობილი მივადგები ორსანტიიდან დედა-მდინარეს.

ჩემს სულს ამაზრზენად აშმორებული სივრცე და სანახები მოეყრდნობა სავალალოდ.

ენგურის ორდინარი უხმლო ქარქაშივით აგდია.

წარმოსახვა ვერ აღავსებს ნაკლულ ნაპირებს, გონებას ეუძლურება დანაცრული-დაშრეტილის ფენიქსივით მკვდრეთით აღდგენა, სამაგიეროდ გაოცება იფეთქებს ჩემში, გაოცება და ცრემლის კრიალოსნები.

ალაგ-ალაგ დაგუბებულ მდინარეს ფერადი ზოლივით გასდევს ფაბრიკა-ქარხნების გადმონთხეული დორბლი და დარდუბალა.

გაღმა ნაპირზე გარიყული ბორანი არვეს გაუვსია.

უკაცრიელობა, უთვისტომობა მოერევა ჩემს ნებისყოფას...

იმ დღიდან მოყოლებული შურისძიებით აღივსება ჩემი არსება.

სამსახურს დავაგდებ, ზუგდიდის რაიონის ზღვისპირა ჭაობნარში, ჭურიის მწყემსებში გავერევი, საუკუნეს მიტანებულ მეტყევეს, იროდი სართანიას დავუძმაკაცდები.

ჩავუჯდები დავიწყების მტვერმოყრილ მითებს, არქივის სიყვითლეგამჯდარ მასალებს, რათა **"უნიკალურ, უბადლო თაღოვან კაშხალს"** რაღაც მატერიალური, სულიერი განზომილება დავუპირისპირო.

ტრიადა **"სიცოცხლემისჯილების"** პირველი წიგნი როგორღაც გასრულდება, აქ სამი თაობის ადამიანების გვერდით ბინდისფრად რბის ენგური. ებრძვის ნაპირებს, არღვევს დამბებს, ჯებირებსა და გაბაონებს, ატრიალებს წისქვილებს, ანოყივრებს სახნავებს, აწიოკებს ფრინველ-პირუტყვს, რათა ძეხორციელმა სიფრთხილე არ დაჰკარგოს, არ მოდუნდეს, არ გადაჯიშდეს, თუმცა საბოლოოდ იქამდე მიკნინდება, იქამდე მისაბრალოვდება იგი, რომ კოჭლი ჭოფია ანთარიას ბორნის თრევაც გაუძნელდება.

ასე და ამგვარად დასრულდება მისოუსტის მომტაცებელი სტიქიის ქვემო დინების სევდანარევი ისტორია.

ამგვარად დაირიყება მის ფსკერზე ბორნებიცა და არაბიას ფაფარსწაბლაუჭებული წარსულიც. ასე მინებდება იგი — ინდუსტრიული საქართველოს მხურვალე **„მაჯისცემას„**. ასე გაპარტახდება ჩვენი უმწიკვლო, უანგარო მეგობრობა.

— პეტრეს **„პარონი„** გაუქმებულია, ხიდისთვის თანადროულად იჩალიჩებენ ოტობიაელები, მაგრამ ამჟამად გარემოება მაიძულებს გზა ოციოდე კილომეტრით გავიბევრო, განმუხურის რკინის ხიდით შემოვუარო ჩემს სამკვიდრობელს, ოდაბადეს ჩემსას, მექას და ოაზისს ჩემი სიტყვიერებისას.

განზე მრჩება მდინარის უშველებელი, საწნახელივით გავეშებული ტანი, განვერიდები ორსანტიების საუფლოს, საგელენაოს. განველტვი კოკს, საუკუნოვან ნალიმას და გივი ესართიას მითხოვებულ მამიდაშვილ ციალა ჯაბუას საცხოვრისს. გვერდს ავუქცევ ახალ კახათში დაფუძნებულ სისხლხორცთ — გოგიჩაიშვილებისა და ჯალაღონიების საბრძანისს.

მაკვარანცხა ლუარა ბიძაშვილად მერგება, განმუხერელია, ფილოლოგი, აბელის ასული, ეთერ დეის ძმისშვილი, ბებია მარის თარგი ფესვი, ფიჩორში მასწავლებლად ჩამოსულა.

ზამთრისპირია, ოტობაიადან ბაბუა თომას საუფლოსკენ მივაცილებ, მთვარე ჭიოტებს ზემორე და ავყია ძაღლების წამოშლილი ლანდები აქა-იქ ჭინჭარზე უმწვავესად იკბინებიან.

ლუარამ ხუთი თითივით იცის ჩემი გატაცებანი და შეუფერხებლად მაქაქანებს, ოღონდაც რამენაირად შემოკლდეს ცხრაკილომეტრიანი თემშარა და მათხოჯი სტრიქონი უფლისწულად შეფასებულა.

ვახშმობის მიწურულს ჩავაღწევთ ბორისუს უბანში ძაღლების ასაგნიასებლად და ქანდარაზე შემომსხდარი ქათმების ასაკრიახებლად.

— სასაფლაოსთან გამაფრთხილეო, — მეხვეწებოდა ლუარა, თოვლს მივაჭრაჭუნებთ, ხელმარცხნივ ამოვდგომივარ თვისტომს და მივერეკები კოჭლი მერნებითა და ჯაგლაგა როსინანტებით.

შენგელიების სამოსახლოებს რომ გავუთანასწორდებით, ალექსანდრე ბერიშვილის, ამ ცალფეხა დევგმირის (ნებისმიერ ჯანსრულ ადამიანზე უკეთ რომ ჩაგრაგნის ღობეებს თხმელის წკნელით), მოსახვევთან შეყოვნებულს, კვლავ ჩამეკითხება ბიძაშვილი ლუარა:

— ვხედავ, მოვედით, მაგრამ სასაფლაო; სასაფლაო სადღაა;

— საუბარში გამოგავიწყე! — ვუცინი და აქედან მოყოლებული სამუდამოდ ვმეგობრდებით.

მისი გაბედნიერებაც თომა ბაბუას წყალობაა, ეთერ დეისა და ნაპო ბიძიას შეუღლებაზე მომიხსენებია, აწ სიკვდილის პირას მისული ნაბოლარა ამბროსის ანდერძად უტოვებს:

— უკან მომდევნებოდეს ყველა, ვინაც ლუარასა და ბორისის ერთად ყოფნას ხელს შეუშლისო, — დაიბარებს და რომელი გაბედავს აღუსრულებლობას.

ბორის გოგიჩაიშვილი, როგორც ჩვენში იტყვიან, ყვაფიჩალია, ბაბუა თომას დის შვილისშვილი. ლუარა — ბებია მარის ძმისა, ორივე მენათესავება ტრადიციისამებრ და ერთხელაც ახალკახათში ახლობელ ადამიანებს წვეული გაჩაღებულ ბუხართან რომ გავლაღდები, დალოცვისას სიძეს ვუწოდებ ბორისს, რითაც გვარიანად გავანაწყენებ ლუარაზე არანაკლებ მოყვასს, თუმცა ახლა, მშობლიური ოტობაიისკენ დამიზნებულს, აღარ მცალია გოგიჩაიშვილებთან ჩამოსახდომად. არც დარჩელელ თოდუებს და ყორშიებს ვსტუმრობ — ბებია მარის დისშვილებს, თუმცა მანქანა სახალტუროზეა გამოჭერილი ავტოინსპექტორ სერგო როგავას მიერ და სადღელამისოდ ნაბოძები.

დარჩელის გადასახვევთან დედაბერს წამოვეწევი, ტროტუარზე მიდგება მკვლავდაძაგრული მანდილოსანი, უკანა კარს გამოვუღებ, შემოვიპატიჟებ და ხელის ერთი მოსმით ძუბა ჭანიას პროტოტიპსაც წავაწყდები პელაგია მიქახეს რეალობით.

ცისფერთვალებაა, დაღარული სახე — როდენის ნაოსტატარი, კოპლებიანი მანდილი გვაუწყებს, რომ მწუხარება დაღვინებულა მის გულში და ქუსლში ჩარჩენილი ეკალივით დღემდე ფეთქავს შვილიშვილების ჟრიამულის ფონზე, მაგრამ მეტ სითეთრეს არ გაიკარებს ის ლეჩაქი, რამეთუ ტერენტისა არ იყოს, შავეთით იქამდე გაჯერებულა, ისეთი წკვარამიდან მოაბიჯებს, რომ ძლივს ღამემდე მოღწეულა. და რადგანაც ერთხელ შემომიკედლებია უგასამრჯელო მანქანაში, მისი გზასავალით — განმუხურით შემოვდივარ ოტაბაიაში. და ვინაიდან ჩემი ბედისწერაც ცაშია გადაწყვეტილი ცაბაოთისაგან, მიმოზა გელენახეს, ამბროსის ერთ-ერთი წითური ასულის, დედამთილი შემრჩება ხელთ, გულმართალი კუკურის დედა, სოფრომისგან ოცი წლის ასაკში სამი ბაბაღუათი დაქვრივებული პელაგია მიქახე.

სხვა რა ჩარაა, ვგრძნობ გვარიან ხანს ვერაფრით გავცდები მის მაგნიტურ არეს. ჯალაღონიებთანაც მომიწევს დაყოვნება, რამეთუ უკადრისობაში ჩამომერთმევა ხუფენიებთან ნასტუმრები მშობლიური კერიისკენ უჩუმრად გავიპარო.

ქარზე უკეთ ვინ უწყის გაფრენილი ფოთლების მისამართები; სად დაანეშოებს სადაურს, რომელ ნაკადულს მოუფრესკავს ფსკერთა? არის მათში ცისკენ წაწეულიც.

დედაზე უკეთ ვის ეცნაუროს შვილის ნაბიჯების ჩქამი?

აი, აქ, ამ ალაგესთან გაიმაგრეს მუხლი მისმა ბოკვერმა თუ ასულებმა. აი, აქ, ამ ანწლისა და ჭინჭრის გვერდით, მერმე როგორ გაფართოვდა გზა იგი? როგორ აიზვირთა და გაიმრავლა მგზავრი; როგორ იქცა შიშველი ტერფების ტყაპუნი მტკიცე ნაბიჯების ხმად; განუწყვეტლივ ფეთქავს ეს ტუკტუკი დიდი ქალაქების გუგუნში, აყურადებს მშობელი, მისით იგებს შვილის საწუხარს თუ სასიხარულოს და ფარვანასავით უფართქალებს გული, ზოგჯერ მზერა გაუშტერდება ჭიშკრის მიღმა, შარაწვრილისკენ.

მისი თვალებმოჩრდილული სილუეტი ახლობელია ყველასთვის, ვინც ორიოდე ზაფხულით მაინც მოშორებია მშობლიურ ფუძეს და ახოვანი თუთის ხის ძირას ამოფეთქილი ბაო მონატრებია, დედას კი, შვილის მოლოდინით თვალებამოღამებულ დედას, ნიავის ყოველი გაფაჩუნება შეწკვარამებულ სარკმელს მიაცივებს... ეგ რაღა ამოსაცნობია? განარჯიის მუხურულ თუ ოტობაიელ დედებს, ეს საკვნესელი უღრღნით გულს, აქაური ახალგაზრდების ერთმა ნაწილმაც ხომ დიდ ქალაქებს შეაფარა თავი ამბროსისიანებისა არ იყოს, დაივიწყა მშობლიური ნანინა, მადლი მიწისა და ცისა, შემოდგომითღა მიაშურებენ კერიას, როცა ხოჯითხილა და დედოფლისთითა დაბერტყილია. როცა ფინიკიური ლელვი მოდუღებულია, მავთულებზეა გაფენილი ტკბილისკვერებად. როცა სიმინდი შეტეხილია და ბეღელში შეზიდულა. როცა საგვირგვინო დაფნას მზრუნველობით დააბინავებს კოლხი მედეას შთამომავალი.

ისინი კი, ვინც ყოველდღიურ გარჯასთან, თავიანთ უმწიკვლო სინდისის მეზობლად დარჩნენ თენგიზ ფეტელასავით, უპატრონოდ მიტოვებული დედების ეზოებშიც შეიხედავენ ხშირად, ხან შეშას დაუჩეხენ, ხანაც წყალს მოურბენინებენ მოშორებული ჭიდან. აქა-იქ კიბეს შეუკეთებენ და იშვიათად გაბზარულ გულს მოუფონებენ ჭეშმარიტი მემკვიდრის კვალობაზე, ჰოდა, ქვეითად აედევნები მოდუდუნე ენგურის ნაპირებს, რომლის სიკამკამეში ვარსკვლავებივით ჩაკინძულან საუკუნოვანი ლოდები და თვალჭყეტია კენჭები. თუკი შეუწყობ ფეხს მის სრბოლას და მაჯისცემას, თუკი გაგემეტება წუთი მის სიგრილეში შესაცურებლად, თუკი აქოჩრილი ძეწნების და გადაჭადრული ხაბოების სულისმოსაბრუნებელ ნიავს ესანდომები, აქვე — შამბიანის გავლით გემშობლიურა ნეტარ კორტოხი ყოველი, შენი წარმოსახვაც უსათუოდ აჩქარდება, მკითხველო, ჩემო, მურყანების ხერხემლიანი ტყეებით მოზღუდული დობადონასკენ, იგივე ოდაბადე-ობადიშისკენ, განებავთ — ციბედულისკენ, ლარდასკენ თუ მემლექეთისკენ სვანურ-აჭარულად, იმ თავდაპირველი საწყისისაკენ, წყალში ჩავარდნილი კენჭისმიერი რგოლივით რომ ვრცელდება უკიდურესი ნაპირებისკენ, იგივე ოტობაიასკენ, რადგანაც დაუსაბამოდ გეყავარჯნება უმეტყველო მელოდიები ამ უანკარესი დინებისა,

სამხრეთით ათიოდე კილომეტრით მოყრდნობია კუნთხოტობაიას დედა-ენგურის ხატაურები, მერმე განმუხურია, განარჯიის მუხური. ეს მიჯნები ტრიალი მინდვრებით მიაბოტებენ ნაკარღალისკენ, ფიჩორის სანახებისკენ, შემდგომ ზღვაა, ფარღალალა და ჰაეროვანი: ჯუჯა კაქტუსები, ქვიშროვანები, წვერნემსა ჭილები ბუჩქურად შეკონილი, დათითოვებული, ქორფა ნაყოფშემოჭმული კამეჩების ჯოგისგან, და კიდევ — ხაიები, ლანცეტა ფოთლებით, კოკორინების გაუთავებელი ყიპყიპით ზამთრობით, სადაც თოლიების შეუსვენებელი ფარფატია ბოლაზსა და პოსეიდონის გადალურჯებულ ნახნავებში. ზღვისპირას გალარული ტელეგრაფის მავთულების ზუზუნია, ახორხილი ალიანჩალიანი ნაფოტ-ნაგავისა, ლაქვათივით დამჩატებულის და მარილის სუნდაკურულის, რომლის წიაღში სილით ამოგლესილი ალისყურებია, პეშვისოდენა ნიჟარები, ზოგჯერ სალი, და ხანაც — მღელვარების ჟამს დაჩეჩქვილი, დამსხვრეული სრულებით.

გაგიდა ტყისა და ეკალ-ღიჭის ნაჯვარია, მინჯორაიების მინდვრებამდე, მოსახლეობა მაინც გზისპირისკენ შექუჩებულა, როგორც ყარყარა ყელზე მარგალიტების ასხმულა, პერიფერიები თხილნარებსა და აჩალულ ნასიმინდრებს მოუხელთებიათ, მჟავე, ძორგო მიწები გატყლარჭულა ჩრდილო-აღმოსავლეთით ნაბაკევისკენ, სადაც მომცრო საზღვრად შვერნიკის უბადრუკობაა, გაავლებ წარმოსახვით წრფეებს კვლავაც სამხრეთისკენ და ხურჩის მეზობლობის წვეტებით ენისთვის გამოუთქმელი გეომეტრიული სხეული აილანძება, რომლისთვისაც უცხოა წრეწირის კეთილშობილობა, მისი უკვდავი ფორმულა — PR = 3,14, არც რომ ბებისა და კვადრატების, აღარც სექსტოგრამებისა და ტრაპეციების კანონზომიერებას ემორჩილება ჩემი შურობუმუ-ოტობაიას კონფიგურაცია, თუმცა იგი ხელშეუვალი მუყაითობით მკვიდრობს აბსტრაქტულ გალავნებში და ბიჯსაც არ იზამს სამნებიდან, ასე რომ, თამამად შემეძლება შემდგომ განვაცხადო: რუსეთი ოტობაიის ჩრდილოეთ პროვინციაა-მეთქი, ჩინეთი — აღმოსავლეთი, თურქეთი, ირანი-ამერიკა-აფრიკა — სამხრეთი და კიდევ დასავლეთი — ევროკავშირი მთელი.

ჩვენ შეღამებამდე ვეცდებით ჩავაღწიოთ შურობუმუ-ოტობაიამდე, ქვეყანაც რომ დაიქცეს, რამენაირად დავუსხლტებით პელაგია მიქახეს დედობრივ მადლს, ჯალაღონიების თავგადაკლულ მასპინძლობასაც მოვიგერიებთ შეძლებისდაგვარად, კუნთხოტობაიელების უშურველ პურმარილსაც შევიტკბობთ ზომისად, თვალს გავუსწორებთ საუკუნოვან სასაფლაოს ოტობაიას შუაგულში, წამიერდ მივეფერებით მიხფეს, ნაპო ბიძიას დაღვრემილ სამფლობელოს, ჰერიკო პაპასქუას ოქროცურვილ სამკვიდრობელს და ომმოხდილი მეომარივით ჩამოვხდებით ვალებით მოხრილი, ნაცხვაბარა გელენახეს გატყევებულ არე-მიდამოში.

ამჯერად კი კოლხური ჟინჟლიანი ნისლების თრთოლა გადამდებია, მათი მკლავებიღა მაკლია, რათა ერთჯეროვნებით ჩავეკონო ყველა ეზოს, ჩუქურთმებიან აივნებს თუ მუჭისტოლა ჯარგვალიებს: თითქოს იისფერი სიზმრებიდან მიხმობდეს ქვეყნის მარჩენალი, მასპინძელი ჩემი, იქ დავახანებ, იმ ქვექვერია ოდა-სახლის არილში, ბომბორას წაყეფებას აუცაცხანდება პელაგია მიქახე, სამზადისკენ მიფრატუნებს დედაბერი, თანაც გამყივანი ხმით გასძახებს მეზობლებს:

— შურა! თინა! ვანო! ხუნტულიიი!

მიმქრალ ბუხარს მალე დაებერება ფილტვი, მალე ამოიდგამს ენას ცეცხლზე შემოდგმული ქვაბები.

— ნუ გერიდება შვილო, ნამგზავრი ხარ, — მუხლებზე დაწყობილ დამჭკნარ ხელებს დროდადრო გაატოკებს დიასახლისი, რათა ცოტათი მომიახლოვოს სახელდახელოდ გახაზირებული საუზმე, — მიირთვი, თოლიგე, თამაზისა და მატიას დეიდაშვილი ხარ, სტუმარი და მასპინძელი ვინ გაგვყო, განა ღვთისშვილნი არა ვართ? — ამოიოხრებს ერთს, თითქოს ელვისებრ გაკვესებულ სიყრმის სურათებს ჩაექროლოს მეყსეულად, — თუთის არაყია, ჩემს ქმარს უყვარდა ცხონებულს, არც კუკური და შვილიშვილები წუნობენ, გაამოს ბუნების გამჩენმა ძალამ!

ამოუწურავია კოლხი მასპინძლის გული, თუ თითოეული კერძი არ გაუსინჯე, იწყენს, არ შეიმჩნევს კი...

— თქვენია ქვეყანა, შვილო, ჩვენი გაჭირვება და სიდუხჭირე გაშოროთ ღმერთმა! ოღონდ ეგაა, მეტი მოხედვა გვჭირდება დედებს, სოფელს, — ამბობს და დანაოჭებულ სახეზე ღიმილი გაუკრთება, როგორც კი ფუძეს ვუდღეგრძელებ, ჭერს ავუმაღლებ, ქონგურებთან მერცხლების მომლოდინე ბუდეებს დავულოცავ.

მზის ალმაცერ შუქზე, იმ ღიმილში, მაინც გაიელვებს თვალთაგან წამოგორებული კურცხალი, დამნაშავესავით მომაჩერდება, ლეჩაქის წვერს მიაშველებს მალულად.

— იქნება შეგაწყინეთ სტუმარი, მაგრამ იმ მერცხლებმა გამახსენეს თოლიგე, თუმცა რა დროსია, მოვესწრებით ოდესმე, — გააგრძელებს მისუსტებული ხმით, არ მოვეშვები, ვაფიცებ ჯალაბს და სასაუბროდ განვაწყობ.

— თექვსმეტი წლისა მომიტაცა ცხონებულმა, — ვგრძნობ წამისად რარიგად გადაჰკრავს სიწითლე, — შევეწყვეთ თითქოს, დავწვრილშვილდით, ჩქარა ომიც დაიწყო...

ახლა მე ვერიდები მის ცრემლს, მინავლულ ცეცხლს მიშტერებული, ეს უიოლებს გულის ამოთქმას, იქნებ კიდეც გრძნობს ჩემი კითხვების მიზანს — რაც შეიძლება მეტი შევიტყო დიდი ტრადიციების მქონე კარის მეზობელი სოფლის ავანჩავანზე: რამ მოსწყვიტა ახალგაზრდობა კერიას, რამ გააუსაქმურა, რამ მიატოვებინა მშობლიური სახლი. დავანახო ქვეყნიერებას უმისო განმუხური თუ ოტობაია, სინაკლულე ჯეელებისა, რათა გონებადაუნჯებით მივაბრუნო სიყრმის უბოროტო დღეებისკენ, უკეთესი მერმისისკენ, სადაც მამია რატიას სამჭედლოსი არ იყოს, მიყოლებით იწრთობა დაფოლადებული კვერ-სახნისი და ნამგალ-წალდუნა.

— იმ დღეს წვიმდა, — თითქოს ხმამაღლა ფიქრობს ქალი, — წვიმდა გამეტებით და კაბის კალთას ჩაბღაუჭებული პატარების ცრემლი ქრებოდა იმ თქარუნში, შლიდნენ, არღვევდნენ ჩვენს ძველისძველ ოდას, ბუხრის ყელი ჯერაც ბოლავდა, თითქოს სამუდამოდ ეთხოვებაო ოჯახს.

შედით მაინცო, სამზადში მაინც შედითო, მეხვეწებოდა სახლის ახალი პატრონი, მას ხომ თავიდან თვითონ ჩავუვარდი მუხლებში, ოღონდ ეყიდა, ოღონდ გავენთავისუფლე მევალეებისგან, ხანდახან შუაღამითაც რომ მომიკაკუნებდნენ სარკმელზე.

არ უძუნწია, არა! ვებრალებოდით, ზედმეტსაც გვიხდიდა, მაგრამ, იმწუთას ეტყობა სიკვდილი ერჩივნა ყველაფერს.

**გური ოტობაია**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.
ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

## ამადეო კარისო

დაიბადა 1926 წლის 12 ივნისს, არგენტინაში.

თამაშობდა კლუბებში **"რივერ პლეიტი"** (არგენტინა), **"ალიანსა"** (პერუ), **"მილიონარისი"** (კოლუმბია).

ამადეო კარისა ითვლება ერთ-ერთ ყველაზე დღეგრძელ სპორტსმენად, რომელმაც რამდენიმე მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მისი, როგორც მეკარის კარიერა დაიწყო მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში და დასრულდა სამოციან წლებში. ეს უძლიერესი პიროვნება და ფეხბურთის ჭეშმარიტი დიდოსტატი 44 წლის ასაკამდე მონაწილეობდა არგენტინის საფეხბურთო ჩემპიონატებში და 21 სეზონის განმავლობაში 522 მატჩში მიიღო მონაწილეობა. იგი ხუთ მსოფლიო ჩემპიონატში იღებდა მონაწილეობას არგენტინის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში (რაც დღემდე მიუწვდომელ რეკორდად ითვლება) და ბოლოს, როცა უკვე საკმაოდ ხანდაზმული გახლდათ, 1958 წელს შვეციაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატშიც კი ითამაშა. ფეხბურთის სამყაროს დღესაც კარგად ახსოვს მაშინ არგენტინის ნაკრების კატასტროფული მარცხი ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ ნაკრებთან, ანგარიშით 6:1, რასაც მთლიანად კარისოს აბრალებდნენ (თუმცა, მაშინ არგენტინელებს მსაჯებიც დიდად არ წყალობდნენ). მაგრამ, როგორც ჩანს, არც მთლად ასე იყო საქმე, რადგან რამდენიმე თვის შემდეგ ამადეო კარისოს კვლავ უხმეს არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში **"მსოფლიოს მცირე ჩემპიონატში"** მონაწილეობის მისაღებად, რომელიც 1960 წელს გაიმართა ბრაზილიაში. აქ უკვე არგენტინელებმა დაამარცხეს ბრაზილიელები და ინგლისელები და ჩემპიონობა მოიპოვეს. **"რივერ პლეიტიდან"** წასვლის შემდეგ ამადეო კარისო მონაწილეობდა პერუსა და კოლუმბიის ეროვნულ ჩემპიონატებში, დიდი სპორტიდან წასვლისა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი ახალგაზრდულ გუნდებს წვრთნიდა და საკმაოდ ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი აღუზარდა არგენტინას.

## პაულ ბრაიტნერი

დაიბადა 1951 წლის 5 სექტემბერს, გერმანიაში.

თამაშობდა კლუბებში: **"ბავარია"** მიუნჰენი, გერმანია, **"რეალი"** მადრიდი, ესპანეთი, **"აინტრახტი"**, ბრაუნშვაიგი, **"ბავარია"** მიუნჰენი, გერმანია.

პაულ ბრაიტნერი უკვე ფეხბურთის ფენომენალური ვირტუოზი გახლდათ, როცა გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა ჰელმუტ შიონმა იგი ქვეყნის საფეხბურთო ნაკრებში მიიწვია მარცხენა მცველის ადგილზე. ეს მოხდა 1971/1972 წლების საფეხბურთო სეზონზე. იგი გერმანიის ახალი ნაკრების შემადგენლობაში ჩაირიცხა, სადაც ძირითადად **"ბავარიის"** ფეხბურთელები დომინირებდნენ. ესენი იყვნენ ფრანც ბეკენბაუერი, ზეპ მაიერი, ული ჰიონესი და ჰერდ მიულერი. პაულ ბრაიტნერმა მართლაც რომ შესაშური სიმშვიდე გამოავლინა 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ფინალურ მატჩში და უაღრესად დაძაბულ სიტუაციაში ჰოლანდიელთა კარში გადამწყვეტი 11-მეტრიანი გაიტანა. ფეხბურთის ამ ჭეშმარიტმა ინტელექტუალმა ჩასთვალა, რომ **"ბავარიის"** შემადგენლობაში სრულად ვერ ახდენდა საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას და მალე მადრიდის **"რეალში"** გადაბარგდა, სადაც უკვე ნახევარმცველის ადგილი დაიკავა. აქ იგი ნამდვილ გადაულახავ ბარიერად იქცა მოწინააღმდეგის გუნდის ფორვარდებისათვის. გერმანიის ფეხბურთის მაღალჩინოსნებთან კონფლიქტის გამო პაულ ბრაიტნერმა გამოტოვა 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, მაგრამ 1982 წელს კვლავ ითამაშა გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში და ფინალში გოლიც გაიტანა. მაგრამ, გერმანელთათვის სამწუხაროდ, ეს გახლდათ პრესტიჟის გოლი, რადგან ფინალი მაშინ გერმანელებმა იტალიელებთან 3:1 წააგეს. მანამდე მხოლოდ ოთხმა ფეხბურთელმა მოახერხა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ორ ფინალურ მატჩში გაეტანა გოლები.

## ჰერდ მიულერი

დაიბადა 1945 წლის 3 ნოემბერს, გერმანიაში.

თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში **ტსვ "ნორფლინგენი"**, მიუნჰენის **"ბავარია"** გერმანია, **"ფორდ-ლოდერდეილი"** ამერიკის შეერთებული შტატები.

როცა 1964 წელს მიუნჰენის **"ბავარიამ"** შეიძინა მოჭიდავის აღნაგობის მქონე ტანმორჩილი და ჩაფსკვნილი ფეხბურთელი ჰერდ მიულერი, ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი ჩიკ ჩაიკოვსკი ნამდვილად არ ჩანდა აღფრთოვანებული. **"მე არ შემიძლია ეს ტანდაბალი პონი ჩემი ჯიშიანი ბედაურების გვერდით დავაყენო"** – განაცხადა მაშინ ჩაიკოვსკიმ, მაგრამ დრომ დაადასტურა რომ ეს ფეხბურთის დიდი სპეციალისტი მწარედ ცდებოდა. მაგრამ მაშინ, თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ, ჩაიკოვსკიმ მაინც დააყენა მიულერი გუნდის პირველ შემადგენლობაში და ამის გამო არც არასოდეს უნანია. სამი წლის განმავლობაში, მიულერის ოსტატობის წყალობით **„ბავარიამ“** რეგიონალური ლიგის შემადგენლობიდან დამაჯერებლად გაიკაფა გზა ევროპის თასის მფლობელთა თასამდე. სულ, თავისი ხანგრძლივი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში მიულერმა 600 გოლზე მეტი გაიტანა, რაც საკმარისზე მეტია ევროპული ფეხბურთისათვის, სადაც ძირითადი აქცენტები დაცვაზე კეთდება. მათ შორის 365 გოლი გაიტანა ბუნდესლიგაში, რაც დღემდე ითვლება აბსოლუტურ რეკორდად, ხოლო 68 გოლი გაიტანა გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებულ 62 მატჩში. შვეიცარიასთან მატჩში მან ოთხი გოლი გაიტანა, მაგრამ ყველაზე დასახსომებელი იყო 1974 წელს ჰოლანდიის ნაკრების კარში გატანილი გოლი, რამაც მსოფლიო ჩემპიონობა არგუნა გერმანელებს. 1972 წელს კი მიულერი ევროპის ჩემპიონი გახდა.

გიორგი ჯალაღანია

# იუმორი

* * *

კაცი უყვება მეგობარს:
– მივლინებიდან ვადაზე ადრე ვბრუნდები, კარადის კარს ვაღებ და იქ ცოლის საყვარელი მხვდება.
– მერე?
– რა მერე. მერამდენედ ვუმეორებ, იდიოტო, გავშორდი ცოლს და დიდი ხანია სხვაგან ცხოვრობს-მეთქი.

* * *

ქმარი ტელევიზორში კაშპიროვსკის სეანსს უყურებს და ამბობს:
– რა ვქნა, მაგის არ მჯერა!
– და ეკრანს ცერა თითს უჩვენებს. თითი სამჯერ გაეზრდება. კაცი შოკშია, ქალი კი მშვიდად ეუბნება:
– ჯობდა, რამე სხვა გეჩვენებინა!

* * *

თებრო და მარო ჭორაობენ:
– ჩემი მეზობელი მიტუაი კაბის ქვეშ ხელს შემიყოფს ხოლმე და რაღაცას ფათურობს...
– ფრთხილად იყავი, ქა, ფულს ჩულქის ყელში ნუ ინახავ!

* * *

მეგრელი კაფეში შევიდა.
– სუპი მომიტანეთ.
ცოტა ხანში ოფიციანტს ეძახის:
– ეგი სუპია თუ ჩაი? თუ სუპია, მარილი მომიტანე, თუ ჩაია – შაქარი!

* * *

ქუთაისელი ლუვრს ათვალიერებს.
– ნახატებს ხელით ნუ ეხებით! – აფრთხილებს თანამშრომელი.
– რა უჭირს, დაია, აქედან რომ გავალ, ხელს დევიბან...

## ზუგდიდის ენგურისპირა სოფლების მოსახლეობა დახმარებას ითხოვს

როგორც საქინფორმის რეგიონული კორესპონდენტი სამეგრელოში ზუგდიდიდან გვატყობინებს, ზუგდიდის დაბალი ზონის ენგურისპირა სოფლების (განმუხურის, შამგონის, ანაკლიის, კოკის, ორსანტიის) მოსახლეობამ დახმარებისთვის ზუგდიდის მაჟორიტარ დეპუტატ ფრიდონ თოდუას მიამართა. **„არ გვაქვს სასმელი წყალი, დაბინძურებულ წყალს ვხმარობთ, გაგვანადგურა მდინარე ენგურმა – ყოველწლიურად მდინარეს 10-15 ჰა სახნავ-სათესი მიწა მიაქვს. გთხოვთ, დაგვეხმაროთ. უნდა გაკეთდეს არტეზიული ჭები და ჩატარდეს ნაპირსამაგრი სამუშაოები“**, – განუცხადეს ფრიდონ თოდუას სოფლების წარმომადგენლებმა. ფრიდონ თოდუა, თავის მხრივ, მათ დახმარება აღუთქვა: **„მომმართეთ ოფიციალური წერილით, რათა შევძლო თქვენი მოთხოვნების ასახვა 2012 წლის ბიუჯეტში“.**

საქინფორმი



## დაკავებული ფოტორეპორტიორების მხარდამჭერი აქცია ზუგდიდში გაიმართა

როგორც საქინფორმის კორესპონდენტი აქციის ადგილიდან იტყობინება, ზუგდიდელი ჟურნალისტები დაკავებულ ფოტორეპორტიორთა საქმეზე გრიფი **„საიდუმლოს“** მოხსნასა და გამოძიების გამჭვირვალობას ითხოვენ.

მათი თქმით, ისინი არ არიან წინააღმდეგი იმისა, **რომ „დამნაშავე უნდა იქნეს დაკავებული, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეჭვი აქვთ, რომ საქმე ფოტორეპორტიორების პროფესიულ საქმიანობასაც ეხება, რადგან, ადვოკატების ინფორმაციით, ზოგიერთი დაკავებულის საქმეში ბრალეულობის დამადასტურებელი კონკრეტული მტკიცებულებები არ არსებობს“.**

შეგახსენებთ, რომ ირაკლი გედენიძე, ნათია გედენიძე, ზურაბ ქურციკიძე და გიორგი აბდალაძე ორი კვირის წინ დააკავეს. ნათია გედენიძე გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს, დანარჩენი სამი კი ამ დრომდე წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან.



## ბიზნესმენ-გუბერნატორის „შემოჭერილი ქამარი“ – გოროზიას გაუთავებელი პრემიები

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ზაზა გოროზია პრემიას ყოველთვიურად იღებს. გასულ წელს გუბერნატორმა ხელფასთან გათანაბრებული პრემია 17-ჯერ აიღო. ამ სკანდალურ თემაზე რამდენიმე წუთის წინ ჟურნალისტური გამოძიება გამოაქვეყნა საინფორმაციო სააგენტო **„livepress.ge“**-მ. ჟურნალისტ პაატა ლაგვილავას გამოძიებიდან ირკვევა, რომ ზაზა გოროზიამ პრემია 2010 წლის მარტში, ივლისში, აგვისტოში, ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში ორ-ორჯერ აიღო. გოროზიას ხელფასი 2950 ლარია, იმავე თანხას ის პრემიის სახითაც იღებს, ანუ თითოეულ თვეზე რეალურად გოროზიამ შრომის ანაზღაურებისთვის 8850 ლარი მიიღო, რაც მისი გასამმაგებული პრემიაა. პრემია 15-ჯერ აიღო გოროზიამ 2009 წელსაც. ამის პარალელურად, **„ქამრების შემოჭერის“** პოლიტიკის მიუხედავად, კატასტროფულად იზრდება გუბერნატორის ადმინისტრაციის ხარჯებიც. 2009 წელთან შედარებით, 2010 წელს ადმინისტრაციის ხარჯები 160 ათასი ლარით გაიზარდა. გუბერნატორმა გოროზიამ პრემია 2010 წლის მაისში შვებულებაში ყოფნის დროსაც მიიღო. მაშინ ის იძულებით შვებულებაში მესტიის პოლიტიკური ტერორის შემდეგ გაუშვეს, თუმცა, როგორც ჩანს, ამ დანაშაულისთვის მას ხელისუფლებამ პრემია გამოუყო.

გუბერნიაში ჟურნალისტს არ პასუხობენ კითხვაზე, თუ რა დამსახურებისთვის აძლევენ გუბერნატორს ყოველთვიურად ან თვეში ორჯერ პრემიას. უწყებაში ამას ბიუჯეტში თანხის გათვალისწინებით ხსნიან.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი თამარ კორძაია კი მიიჩნევს, რომ **„პრემია არის წამახალისებელი ღონისძიება და ის არანაირი ლოგიკით არ შეიძლება იყოს ხელფასის ოდენობის და, ზოგიერთ შემთხვევაში, ხელფასზე ორჯერ მეტიც, თან – მუდმივად გაიცეს“**. კორძაიას მიაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში ეს გოროზიას უშუალო ანაზღაურებაა და არა პრემია. იურისტის თქმით, **„ეს არის კანონის მანკიერი ფორმა და იძლევა მსგავსი კორუფციული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას“. „ის რომ საჯარო მოხელეს, ამ შემთხვევაში კი, გუბერნატორს, შეუძლია ბოროტად ისარგებლოს სახელმწიფო სახსრებითა და საკუთარი უფლებამოსილებით, ეს არის ჩვენი „საჯარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობის“ პრობლემა, რომლის უსუსურობითაც ეს ადამიანები სარგებლობენ“,–** აცხადებს კორძაია.

ამასთან, ჟურნალისტური გამოძიებით ირკვევა, რომ ზაზა გოროზია კომერციული საქმიანობითაცაა დაკავებული და მან ყურძნის რელიზაციით 12 ათასი ლარი მიიღო. ბიზნესმენ-გუბერნატორი ზაზა გოროზია **„ლიბერთი ბანკში“** 165 ათასი ლარის მფლობელია, იმავე ბანკში 14 ათასი ლარი მისი მეუღლის ანგარიშზეც დევს. ამასთან, გუბერნატორი ნაღდ ფულად თანხასაც ფლობს. დეკლარაციაზე დაყრდნობით, ჟურნალისტი არკვევს, რომ ზაზა გოროზიას 2 700 ევრო, 5 200 ამერიკული დოლარი და 79 500 ლარი აქვს, მის მეუღლე თამთა კობახიძეს კი – 7 700 ლარი.

როგორც ჩანს, გუბერნატორ გოროზიას პორტფელი უფრო და უფრო **„სქელდება“**, მის რეგიონში კი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა დღითიდღე უარესდება – ეს ყველაფერი კი იმის ნათელი მაგალითია, როგორ **„შეიხსნეს“** ნაციონალებმა **„ქამრები“ „ქამრების შემოჭერის“** პრინციპის დანერგვისთანავე.

საქინფორმი

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართია:
თბილისი,
ბაქრაძის ქუჩა №6
მე-4 სართული
სარეგ. №01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ.რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
34-32-95 893-51-01-71
899-34-37-27